

ადამიანის უფლებათა
დაცვის
სახელმძღვანელო
ადგილობრივი და
რეგიონული
ხელისუფლების
ორგანოებისთვის
III ტომი

გარემო და მდგრადი
განვითარება



**ადამიანის უფლებათა დაცვის
სახელმძღვანელო
ადგილობრივი და რეგიონული
ხელისუფლების
ორგანოებისთვის**

III ტომი

**გარემო და
მდგრადი
განვითარება**

ფრანგული ვერსია: *Manuel sur les droits de l'homme pour les élus locaux et régionaux - Vol.3 Environnement et développement durable*

ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ რეპროდუცირების/თარგმნის შესახებ უნდა წარედგინოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

ყველა სხვა კორექსონდენცია, რომელიც ეხება ამ დოკუმენტს, უნდა მიემართოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალურ დირექტორატს.

ყდის დიზაინი და ფორმატირება: www.insecable.com დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტისთვის (SPDP), ევროპის საბჭო.

წინამდებარე პუბლიკაცია არ დაექვემდებარა SPDP-ს სარედაქციო დანაყოფის მიერ რედაქტირებას ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასწორების მიზნით.

© ევროპის საბჭო, 2022 წლის ოქტომბერი დაბეჭდილია ევროპის საბჭოში.



სარჩევი

წინასიტყვაობა	5
ლინდერტ ვერბეკი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის თავმჯდომარე (2021-2024 წწ.)	5
პერალდ ბერგმანი, კონგრესის მომხსენებელი ადამიანის უფლებათა საკითხებში (2021-2026 წწ.)	8
რატომ ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო გარემოსა და მდგრადი განვითარების შესახებ?	11
რატომ უნდა დავიცვათ გარემო და მდგრადი განვითარება?	12
რატომ არის გარემოს დაცვა აქტუალური ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების დონეზე?	19
გარემოს დაცვის საერთო სამართლებრივი ჩარჩო	23
როგორ შეუძლიათ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს დაიცვან გარემო და ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას?	30
მთავარი გამოწვევები	34
მობილობა და ტრანსპორტი	37
განმარტება	38
დონისძიებები	39
რეკომენდაციები	51
ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი	53
განმარტება	54
რეაგირება	55
რეკომენდაციები	72
დასაქმება, ჩართულობა და მდგრადი ეკონომიკა	74
განმარტება	75
რეაგირება	76
რეკომენდაციები	88
ცნობიერების ამაღლება და განათლება	90
განმარტება	91
რეაგირება	93
რეკომენდაციები	101
მომსახურება და შესყიდვები	103
განმარტება	104
რეაგირება	105
რეკომენდაციები	116
მდგრად განვითარებასა და კლიმატთან დაკავშირებული ადგილობრივი სტრატეგიები	118
განმარტება	119
რეაგირება	120
რეკომენდაციები	131
გამოყენებული მასალა და დამატებითი საკითხავი	133

წინასიტყვაობა



ლინდერტ ვერბეკი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის თავმჯდომარე (2021- 2024 წწ.)

2022 წლის ზაფხულში ევროპის ზოგიერთ ნაწილში დაფიქსირდა ბოლო 500 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი გვალვა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების, ცხოველების და გარემოს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

ბევრს აინტერესებდა, ხომ არ იყო ეს ისეთი მომავლის მომასწავებელი, რომელშიც ამგვარი ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობები ნორმად იქცევა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ გვალვამ შეგვახსენა, რომ უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო სათანადოდ უნდა დავაფასოთ და რომ კლიმატის ცვლილება არ არის შორეული პერსპექტივა, არამედ არის რეალობა, რომელიც სწორედ ახლა ახდენს გავლენას ჩვენს ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე, საცხოვრებელ პირობებსა და მომავალზე.

ბოლო წლებში შეიმჩნევა გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის გამოყენების მზარდი ტენდენცია. ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს გარემოსთან დაკავშირებულ ბევრ საქმეზე, სადაც გამოყენებული აქვს ისეთი ცნებები, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, სიტყვის თავისუფლება და ოჯახური ცხოვრების უფლება, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ხშირად გამოიყენება კამპანიის მწარმოებლების მიერ ეროვნულ დონეზე, რათა უბიძგონ ხელისუფლებას შემდგომი ზომების მიღებისკენ.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2022 წლის 28 ივლისის ისტორიული

რეზოლუციით აღიარა სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს დაცვის უფლება ადამიანის საყოველთაო უფლებად, ხოლო ევროპის საბჭოს მიერ 27 სექტემბერს მიღებული რეკომენდაცია მოუწოდებს საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოს, გააკეთონ იგივე ეროვნულ დონეზე. ეს დამატებით სტიმულს აძლევს სახელმწიფოებს, გააძლიერონ გარემოს დაცვასთან და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების განხორციელება, რათა უზრუნველყონ ჯანსაღი გარემო ყველასთვის.

თუმცა, არსებითი და სასწრაფო ცვლილებები, რომლებიც საჭიროა კლიმატის კრიზისის მოსაგვარებლად, ბიომრავალფეროვნების დაკარგვის უკუქცევისთვის და ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურებასთან საბრძოლველად, ვერ მიიღწევა ხელისუფლების მხოლოდ ერთ დონეზე. ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა პლანეტის გადასარჩენად ბრძოლაში, რომლის წაგების უფლებაც ჩვენ არ გვაქვს კაცობრიობის გადარჩენისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონგრესმა გადაწყვიტა „ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის“, მესამე ტომი, მიუძღვნას გარემოსა და მდგრად განვითარებას. სახელმძღვანელო შეგიქმნის უკეთეს წარმოდგენას და მოგვცემს კონკრეტულ მაგალითებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეუძლიათ და რა უნდა გააკეთონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, თითოეული ადამიანის უსაფრთხო გარემოს უფლების დასაცავად და ჩვენს საზოგადოებაში, ქალაქებსა და რეგიონებში მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სახელმძღვანელოს შეუძლია დაეხმაროს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეულ პოლიტიკოსებს გამართლონ ის მაღალი მოლოდინი, რომელიც მოქალაქეებს სამართლიანად აქვთ მათ მიმართ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის კუთხით, გარემოს დაცვის მიმართ ადამიანის უფლებათა დაცვის მიდგომის საფუძველზე.

ვამაყობ, რომ სახელმძღვანელო შეესაბამება 2021-2026 წლებისთვის დასახულ კონგრესის საქმიანობის პრიორიტეტებს გარემოსდაცვით საკითხებთან და კლიმატთან დაკავშირებულ ქმედებებთან მიმართებით და, ამგვარად, ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ამ მხრივ, კონგრესი აპირებს

წახალისოს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ მწვანე ჭრილში წაკითხვა და შეისწავლოს გზები, თუ როგორ შეიძლება უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უფლების დაცვასთან დაკავშირებით ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ვალდებულებების შეტანა იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტში, სავარაუდოდ ქარტიის დამატებით ოქმში, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივ მმართველობას გარემოსდაცვით საკითხებში. ზუსტად ამის რეკომენდაციას იძლევა კონგრესი თავის რეზოლუციაში და რეკომენდაციაში „გარემოს დაცვის ძირითადი უფლება: გამოწვევა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის – ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის ინტერპრეტაცია გარემოს დაცვის კუთხით“, რომელიც განიხილებოდა 2022 წლის ოქტომბერში.

მოდით, კიდევ ერთხელ ავიდოთ უსაფრთხო, სუფთა და მდგრადი გარემოს უფლების დაცვის ვალდებულება და ვითანამშრომლოთ გადაწყვეტილებების მიღების დროს, რათა გადავარჩინოთ პლანეტა დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის.



ჰერალდ ბერგმანი, კონგრესის მომხსენებელი ადამიანის უფლებათა საკითხებში (2021-2026 წწ.)

ერთ-ერთ ციტატაში ნათქვამია, რომ დედამიწა მემკვიდრეობით არ მიგვიღია ჩვენი წინაპრებისგან, არამედ ნათხოვარი გვაქვს

ჩვენი შვილებისგან. ყოველ სიტყვას ვეთანხმები. დედამიწის იმ რესურსებს, რომელსაც მოვიხმართ, ვართმევთ მომავალ თაობებს. ამიტომ ჩვენი მორალური ვალდებულება, სამართლებრივი ვალდებულება და აბსოლუტური აუცილებლობაა, რომ შევინარჩუნოთ პლანეტა და გავაკეთოთ ყველაფერი რაც შეგვიძლია იმისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა შეძლონ ისარგებლონ უსაფრთხო, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს დაცვის უფლებით.

სწორედ ამიტომ, გარემო და მდგრადი განვითარება იქცა „ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის“-ს მესამე ტომის მთავარ საკითხად. ჩემი მუშაობა ამ სახელმძღვანელოზე ასევე ემყარება ჩემს მტკიცე რწმენას, რომ კარგი დემოკრატიული მმართველობა ყველა დონეზე უნდა ეფუძნებოდეს გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალურ ძალისხმევაში გარემოს გაუარესებისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. ისინი ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან და მათ ყველაზე უკეთ შეუძლიათ რეაგირება ადგილობრივ პრობლემებზე, რადგან ისინი მოქმედებენ კლიმატთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროში, დაწყებული დაბინძურების პრევენციით და დამთავრებული ნარჩენების მართვისა და ტრანსპორტის სისტემების გაუმჯობესებით და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობით.

ამ სახელმძღვანელოს მიზანია გვიხელმძღვანელოს ჩვენ, ადგილობრივ და რეგიონულ წარმომადგენლებს, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით გაწეულ ძალისხმევაში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. აქედან

გამომდინარე, დევიზი „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“ განსაკუთრებით შეესაბამება ჩვენს გარემოსდაცვით მოქმედებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო დაყოფილია შვიდ თავად. პირველ თავში მოკლედ არის აღწერილი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და განმარტებულია, თუ რა წვლილი შეაქვთ სუბნაციონალურ ხელისუფლების ორგანოებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციაში, ასევე წარმოდგენილია ამ კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევები.

II-VII თავებში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია სუბნაციონალური ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციების მთავარ სფეროებზე, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან, როგორცაა ტრანსპორტი და მობილობა; ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი; დასაქმება, ჩართულობა და მდგრადი ეკონომიკა; განათლება და ცნობიერების ამაღლება; მომსახურება და შესყიდვები; მდგრად განვითარებასა და კლიმატთან დაკავშირებული ადგილობრივი სტრატეგიები. ყოველი თავი მოიცავს კარგი გარემოსდაცვითი პრაქტიკის მაგალითებს და კონკრეტულ რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავხადოთ ჩვენი საზოგადოება უფრო ჯანსაღი, უფრო მწვანე, უკეთ ინფორმირებული, ასევე უფრო მდგრადი, ჩართული, წარმატებული და გამძლე.

მადლობელი ვარ კონგრესის წევრების და ყველა იმ ადამიანის, რომელიც დამეხმარა ამ სახელმძღვანელოს შედგენაში თავიანთი მოსაზრებებით, რჩევებით, ინფორმაციითა თუ გამამხნეველი სიტყვებით. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის ექსპერტ ტატიანა კაკარას, ამ სახელმძღვანელოს შედგენაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის. ასეთი ძლიერი მხარდაჭერით შთაგონებული, მე გავაგრძელებ ჩემი წვლილის შეტანას კონგრესის მუშაობაში კლიმატის კრიზისის დაძლევის მიმართულებით, მათ შორის, ამ სფეროში ეფექტური მრავალდონიანი თანამშრომლობისთვის სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებით „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ დამატებით ოქმში.

მოგიწოდებთ, წაიკითხოთ ეს სახელმძღვანელო, იპოვოთ შთაგონება თქვენი გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკისთვის და პრაქტიკაში გამოიყენოთ ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რეკომენდაციები. ჩვენი პლანეტის მომავალი ამად ღირს.



რატომ ადამიანის
უფლებათა დაცვის
სახელმძღვანელო
გარემოსა და მდგრადი
განვითარების შესახებ?

რატომ უნდა დავიცვათ გარემო და მდგრადი განვითარება?

„ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო“ პირველი და მეორე ტომების გამოცემის შემდეგ, რომლებიც ეხება შესაბამისად დისკრიმინაციის აკრძალვასა და სოციალურ უფლებებს, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი აგრძელებს ძალისხმევას, რათა დახმარება გაუწიოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს და მათ საჯარო ადმინისტრაციებს პოლიტიკის შემუშავებისას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებაში. I ტომში განხილული დისკრიმინაციის აკრძალვის უფლება განეკუთვნება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების „პირველ თაობას“. მის შესავსებად, სოციალური უფლებების შესახებ II ტომში განხილული იყო „მეორე თაობის“ უფლებები.

წინამდებარე III ტომში ყურადღება კვლავ გადატანილია იმ უფლებების განხილვაზე, რომლებიც დაკავშირებულია ჯანსაღ, სუფთა და მდგრად გარემოსთან. უფლებების ეს კატეგორია განსაკუთრებულია, რადგან ის მოიცავს და აერთიანებს პირველი და მეორე თაობის უფლებებს და ასევე სცილდება მათ და ინდივიდუალური უფლებების ჩარჩოებს და კონცენტრირებულია კოლექტიურ ცნებებზე, როგორიცაა საზოგადოება, ხალხი და გარემო.

უფლებების მესამე თაობამ ასახვა პოვა საერთაშორისო სამართლის ბევრ მოწინავე დოკუმენტში, მათ შორის, 1972 წელს სტოკჰოლმში, გაეროს ადამიანის საარსებო გარემოს კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაციაში, ასევე 1992 წლის რიოს დეკლარაციაში გარემოსა და განვითარების შესახებ, და ის მოიცავს არა მხოლოდ გარემოსთან და მდგრადობასთან დაკავშირებულ უფლებებს, არამედ ასევე კოლექტიურ უფლებებს, კომუნიკაციის უფლებებს, მონაწილეობის უფლებებს კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით და ა.შ.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია გარემოსთან და მდგრადობასთან დაკავშირებულ უფლებებზე, რადგან უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო წარმოადგენს ნებისმიერი სახის უფლებით სარგებლობის წინაპირობას.



გარემო არ არის აბსტრაქტული ცნება, არამედ ის წარმოადგენს საცხოვრებელ სივრცეს, ცხოვრების ხარისხს და ადამიანების, მათ შორის, მომავალი თაობების, ჯანმრთელობას.¹

❌ ცრუ ინფორმაცია

კლიმატის ცვლილება არის ბუნებრივი მოვლენა. მდგომარეობა არც ისეთი საშიშელია, როგორც ზოგიერთს სურს, რომ გვეგონოს. ბოლო წლების განმავლობაში არსებული ცივი ზამთრის ფონზე გლობალურ დათბობაზე როგორ საუბრობენ?

აუცილებელი არაა, რომ ადგილობრივად ვეძებოთ კლიმატის ცვლილების მტკიცებულება, არამედ, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო მასშტაბით განვითარებული უჩვეულო მოვლენების (ხანძარი, წყალდიდობა) რაოდენობას, მივხვდებით, რომ ასეთი რამ მსგავსი სიძლიერით აქამდე არ მომხდარა. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ვითარდება მოვლენები გლობალურად, აშკარაა, რომ ეს ფენომენები გაჭიანურების დროს არ გვიტოვებს: ჩვენ ვიცით, რომ ბოლო 50-60 წლის განმავლობაში დათბობა იყო ძალიან ძლიერი, ბუნებრივ ცვალებადობაზე ძლიერიც კი.

✅ ფაქტი

ამ არგუმენტიდან ჩანს, რომ ადამიანებს არ ესმით, თუ რა არის კლიმატის პრობლემა და როგორ ვითარდება ის. სამრეწველო რევოლუციის შემდეგ ადამიანის საქმიანობა არღვევს ჩვენს ეკოსისტემას. მაგალითად, არსებობს მეცნიერული კონსენსუსი იმის შესახებ, რომ სათბური აირები არსებობს, დიდხანს რჩება ატმოსფეროში და იწვევს მნიშვნელოვან დათბობას.

ბოლო წლებში განვითარებულმა საგანგამო მოვლენებმა, როგორცაა გარემოს გაუარესება, კლიმატის ცვლილება, ჰაერისა და წყლის დაბინძურება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ძალიან იმოქმედა ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე.² გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ცალსახად გაგვაფრთხილა, რომ „გარემოს დეგრადაცია, კლიმატის ცვლილება და არამდგრადი განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და სერიოზულ საფრთხეს დღევანდელი და მომავალი თაობების მიერ სიცოცხლის უფლებით სარგებლობისთვის“.³ ჩვენი გადარჩენისთვის ადამიანები დამოკიდებულნი ვართ ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოზე. ამის გარეშე ვერც კი შევძლებდით ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს მიანიშნებს აშკარა ურთიერთდამოკიდებულებაზე ადამიანის სიცოცხლესა და ბუნებას შორის და, აქედან გამომდინარე, ძლიერ კავშირზე და ურთიერთკავშირზე გარემოსა და ადამიანის უფლებებს შორის. ეს ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის არსებობდა, თუმცა შედარებით გაძლიერდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენს გლობალიზებულ საზოგადოებაში, სადაც გარემოს დაბინძურება და საკვების წარმოების ინდუსტრიალიზაცია ბუნდოვანს ხდის ზღვარს ცხოველისა და ადამიანის სიცოცხლეს შორის.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ეს ურთიერთდამოკიდებულება არის ორმხრივი: როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა განაცხადა, „ჯანმრთელობისთვის მავნებელ გარემოში ცხოვრებამ შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დარღვევა, და პირიქით, ადამიანის უფლებებს ასევე არსებითი როლი ენიჭება გარემოს დეგრადაციის უკუქცევის და მისი უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვის კუთხით. [...] შეუძლებელი იქნებოდა გარემოს დაცვა ადამიანის ისეთ უფლებებზე დაყრდნობის გარეშე, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება, ან განათლების მიღების უფლება, თუ ჩამოვთვლით რამდენიმე ე.წ. „უფლებააღმჭურველ“ უფლებას.“⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს მიღებული რეკომენდაცია CM/Rec(2022)20 „ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის შესახებ“ კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო სტანდარტებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით საკითხებთან, რათა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები და

პასუხისმგებლობები ადამიანის უფლებების პატივისცემასა და გარემოსდაცვით ფაქტორებთან დაკავშირებული კრიტიკისგან მათ დაცვასთან მიმართებით. ის ასახავს როგორც სახელმწიფოების ვალდებულებებს, არ ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომლის ზემოქმედებამ გარემოზე შეიძლება დაარღვიოს ინდივიდუალური უფლებები, ისე მათ პოზიტიურ ვალდებულებებს, დაიცვან ეს უფლებები არასათანადო ჩარევისგან, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების, მათ შორის, ბიზნესის, საქმიანობის და მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების გარემოზე ზემოქმედებით. აქედან გამომდინარე, არსებობს იმის უზრუნველყოფის საერთაშორისოდ აღიარებული აუცილებლობა, რომ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების მიზნით ხელისუფლების ყველა დონეზე მიღებული ზომები შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს. სწორედ ამიტომ, კლიმატის დაცვისა და მდგრადობის სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიღებას.

იცოდით თუ არა, რომ



„ერთიანი ჯანმრთელობის“ მიდგომა

ადამიანებს, ცხოველებსა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გადასაჭრელად, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ყველას გვაქვს ერთი და იგივე ეკოსისტემა, შემუშავებულ იქნა „ერთიანი ჯანმრთელობის“ მიდგომა, რომელიც ასახავს ერთდროულად ადამიანების, ცხოველებისა და გარემოს ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად ერთობლივი, მრავალდარგობრივი და მრავალპროფილური ძალისხმევის საჭიროებას (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია).

COVID-19-ის პანდემიამ გააძლიერა „ერთიანი ჯანმრთელობის“ მიდგომის აქტუალურობა, რადგან წარმოაჩინა ისეთი ინფექციური დაავადებების გაჩენის რისკი, რომელთაც შეუძლიათ გადალახონ სახეობებს შორის ბარიერი (იხ. Ruckert et. al პუბლიკაცია).

წყაროები: <https://www.who.int/news-room/q-a-detail/one-health> ; Ruckert, A. et al., “What role for One Health in the COVID-19 pandemic?” *კანადის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჟურნალი*, 111, გვ. 641-644, 2020 წ.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მორგება გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებაზე და გამძლე და მდგრადი ეკოსისტემის შექმნა არის ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე. ბუნებრივი რესურსების მუდმივი ამოწურვა, კლიმატის ცვლილება და სახეობათა გადაშენება სავარაუდოდ სერიოზულ ტვირთად დააწვება მომავალ თაობებს. აქედან გამომდინარე, როგორც გარემოს დაცვა, ისე მდგრადი განვითარება ხშირად ასოცირდება თაობათაშორისი თანასწორობის ცნებასთან, რაც თაობებს შორის სამართლიანობასა და კანონიერებას უზრუნველყოფს.

ამ თეორიული მოსაზრებების მიღმა ყოველდღიურად ვხდებით ადამიანის უფლებათა დაცვაზე გაუარესებული გარემოს რეალური ზემოქმედების მოწმენი. მაგალითად, ჰაერის დაბინძურება იწვევს ყოველწლიურად თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანის ნაადრევ სიკვდილს მხოლოდ ევროკავშირის მასშტაბით და ის ხელს უწყობს რესპირატორული დაავადებების გაჩენას, როგორცაა ასთმა და

ალერგიები ბავშვებში, რაც დადასტურდა ევროპის საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ჩატარებული კვლევებით.⁵ კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა არის წყლის ხელმისაწვდომობა, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს კლიმატის ცვლილება, ურბანიზაცია და დაბინძურება; ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ბარსელონა და ლონდონი, არსებობს წყლის დეფიციტი, ხოლო სამხრეთის ქვეყნებში, როგორიცაა საბერძნეთი და პორტუგალია, არის ძლიერი გვალვები და ტყის ხანძრები. ადამიანის უფლებათა კომისარი, ქ-ნი დუნია მიატოვიჩი, აღნიშნავს, რომ გარემოს დეგრადაციის ყველა ეს უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის უფლებათა დაცვაზე კიდევ უფრო მწვავედ და არაპროპორციულად იგრძნობა მოწყვლად თემებში,⁶ რაც ასევე წამოჭრის სოციალური თანასწორობის საკითხებს. ამგვარად, ჩვენ ვართ ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი ცხოვრების და საცხოვრებლის უფლებების დარღვევის მოწმენი, რაც შესაძლოა, გამოსწორდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრირებას მოვახდენთ გარემოს დაცვაზე და დავნერგავთ ეკოლოგიაზე (ბუნებაზე) ორიენტირებულ მიდგომას ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის ძალისხმევის ფარგლებში.

მიზანი!



ამგვარად, ამ სახელმძღვანელოს მიზანია გარემოს დაცვის კუთხით ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის განმსაზღვრელების პასუხისმგებლობის, ხელშეწყობის წარმატებული ძალისხმევის წარმოჩენა და დაჩქარება.

მომდევნო თავებში განხილულია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მიერ დანერგილი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის წარმატებული მაგალითები გარემოს დაცვასთან და მდგრადი განვითარების ხელშეწყობასთან მიმართებით.

ვინაიდან „ჯანსაღი გარემოს დაცვის უფლება“, როგორც ასეთი, არ არის ერთნაირად კოდიფიცირებული ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა აღიარებს და

იცავს სხვადასხვა სტანდარტსა და წესს. აქედან გამომდინარე, საუკეთესო პრაქტიკის ერთობლიობა ვერ დაიყოფა უფლებათა კატეგორიების მიხედვით, როგორც ეს მოხდა სოციალური უფლებების შესახებ სახელმძღვანელოს მეორე ტომში. ჩვენ უნდა გვავიქნა ჩარჩოებს მიღმა იმისთვის, რომ მოგვეხდინა კატეგორიზაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, მასში გაგვეერთიანებინა შეძლებისდაგვარად ყველაზე მეტი გარემოსდაცვითი პრაქტიკა სხვადასხვა სფეროდან. ამგვარად, გადაწყვიტეთ პრაქტიკის კატეგორიზაცია შემდეგი დარგების/საქმიანობის სფეროების მიხედვით:

- ▶ ტრანსპორტი და მობილობა;
- ▶ ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი;
- ▶ დასაქმება, ჩართულობა და მდგრადი ეკონომიკა;
- ▶ განათლება და ცნობიერების ამაღლება;
- ▶ მომსახურება და შესყიდვები;
- ▶ მდგრად განვითარებასა და კლიმატთან დაკავშირებული ადგილობრივი სტრატეგიები.

საუკეთესო პრაქტიკის ეს ერთობლიობა ზოგად წარმოდგენას შეუქმნის ამ სახელმძღვანელოს მკითხველს იმის შესახებ, თუ როგორ შეგვიძლია გავხადოთ ჩვენი საზოგადოება უფრო ჯანსაღი, უფრო მწვანე, უფრო მდგრადი, უფრო ჩართული, უკეთ ინფორმირებული და ასევე უფრო წარმატებული და გამძლე.

ამავდროულად, ბევრი პრაქტიკა ეხება გარემოს დაცვის გამოწვევას დარგთაშორისი მიმართულებით, თანასწორობის, სამართლიანობისა და ყველაზე გაჭირვებული მოქალაქეების უგულებელყოფის გარეშე. როგორც შესავალ თავში განვიხილეთ, გარემოს დეგრადაცია და კლიმატის ცვლილება ყველაზე მწვავედ მოქმედებს ჩვენი საზოგადოების ნაკლებად პრივილეგირებულ და ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფებზე. ამ მხრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვის კუთხით საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მოსახლეობის სრული სპექტრისთვის. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არსებული ბევრი პრაქტიკა ითვალისწინებს მოსახლეობის ყველა ნაწილის ჩართვას კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგალითად, „მწვანე სამუშაო ადგილების“ შექმნის გზით, რომელიც ემსახურება ეკოლოგიას და, ამავდროულად, ამცირებს უმუშევრობას და ხელს უწყობს ჩართულობას.

რატომ არის გარემოს დაცვა აქტუალური ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების დონეზე?

გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად, როგორცაა გარემოს გაუარესება და კლიმატის ცვლილება, საჭიროა გლობალური მიდგომა, მათ შორის, თითოეული ჩვენგანის მხრიდან. ეს მოიცავს მმართველობის ყველა დონეს, ცალკეული მოქალაქიდან საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოთა თანამშრომლობამდე. კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში და გარემოს დაცვის მიმართულებით მთავარი აქტორები არიან ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის განმსაზღვრელები. ამ ძალისხმევაში არსებითი როლი ენიჭებათ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს, რადგან ისინი ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეებთან და მათ ყველაზე უკეთ შეუძლიათ ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირება. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს ასევე აქვთ ამ სფეროში მკაფიოდ მინიჭებული კომპეტენციები, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შეუძლიათ გადადგან კონკრეტული ნაბიჯები და მიიღონ კონკრეტული ზომები გარემოს დასაცავად, მაგალითად, ადგილობრივ დონეზე ჰაერის დაბინძურების პრევენციის, ნარჩენების მართვისა და ტრანსპორტის სისტემების გაუმჯობესების, ან ცირკულარული ეკონომიკისა და უფრო მწვანე და ჩართული საზოგადოების ხელშეწყობის გზით. ლოკალიზაციის ამგვარი ძალისხმევა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ის „მიანიშნებს ადგილობრივ დონეზე სტრატეგიების განსაზღვრის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესზე გლობალური, ეროვნული და სუბნაციონალური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად“. გლობალური კლიმატის ცვლილება აღიქმება ლოკალიზებულ ფენომენად, ადგილობრივი გეოგრაფიული და სხვა გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების საპასუხოდ.⁷

არ დაგავიწყდეთ!



ლოკალიზაცია, ეს არის ადგილობრივ დონეზე სტრატეგიების განსაზღვრის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი გლობალური, ეროვნული და სუბნაციონალური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.⁸

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებასთან მათი სიახლოვიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის კუთხით. მათი ფართო კომპეტენციებიდან და სხვადასხვა სფეროში მრავალფეროვანი საქმიანობიდან და პროექტებიდან გამომდინარე, როგორცაა ტრანსპორტი და მობილობა, ნარჩენების მართვა, ინფრასტრუქტურა და ურბანული დაგეგმარება, მომსახურება და შესყიდვები, ასევე განათლება და ცნობიერების ამაღლება, მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ უფრო ჯანსაღი, წარმატებული, ჩართული, მდგრადი და მოქნილი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

უკვე არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი, კლიმატთან დაკავშირებული და მდგრადობის ინიციატივა, რომელიც მიმართულია კონკრეტულად ადგილობრივი დონის მმართველობაზე.

საერთაშორისო დონეზე, „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ოფიციალურად აერთიანებს ევროკავშირის „მერების შეთანხმებას“ და „მერების ხელშეკრულებას“, ქალაქებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორ ძირითად ინიციატივას მსოფლიოში, ქალაქების დონეზე დაბალ ემისიაზე და კლიმატმედეგ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობისა და ადგილობრივი მოქმედების გლობალური გავლენის დემონსტრირების მიზნით. „მერების შეთანხმება“ მოიცავს ცვლილებების მყარ დღის წესრიგს ამბიციური და ადგილობრივ დონეზე შესაფერისი გადაწყვეტილებების ხელშეწყობით იმ დარგებში, სადაც ქალაქებს აქვთ ყველაზე მეტი ზემოქმედების შესაძლებლობა. ეს ქალაქები არეგისტრირებენ, ახორციელებენ და მონიტორინგს უწევენ თავიანთ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმებს და საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდიან ინფორმაციას გაწეული ძალისხმევისა და მიღწეული შედეგების

შესახებ.⁹

ევროკავშირის „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ შეიქმნა ევროკავშირის დონეზე, ხოლო მოგვიანებით გავრცელდა ევროკავშირის საზღვრებს მიღმაც, და მან გააერთიანა ათასობით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო, რომლებმაც საკუთარი ნებით მოისურვეს კლიმატთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებული ევროკავშირის მიზნების განხორციელება. ინიციატივა ამჟამად აერთიანებს 9 000-ზე მეტ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოს 57 ქვეყანაში, უყრდნობა რა მსოფლიო მასშტაბით მრავალ დაინტერესებულ მხარეთა მოძრაობის ძლიერ მხარეებს და შესაბამისი სამსახურების მიერ შეთავაზებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას.¹⁰

კიდევ ერთი ინიციატივა ევროკავშირის დონეზე არის „მწვანე ქალაქების შეთანხმება“, რომელიც ამოქმედდა 2019 წელს ევროკომისიის მიერ და განხორციელდა „Eurocities“-თან ერთად და რომელიც მიზნად ისახავს 2030 წლისთვის ქალაქების გარემოსდაცვით მოქმედებას ხუთ კონკრეტულ სფეროში. ინიციატივაზე ხელმოწერით ქალაქები იღებენ ვალდებულებას გააუმჯობესონ ჰაერისა და წყლის ხარისხი, დაიცვან ბიომრავალფეროვნება, შეამცირონ ხმაურით დაბინძურება და ხელი შეუწყონ ცირკულარულ ეკონომიკას. ქალაქები რეგულარულად მოამზადებენ ანგარიშებს მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით; მიზანს ასევე წარმოადგენს ქსელის მასშტაბით კარგი პრაქტიკის გავრცელება.¹¹

გარდა ამისა, რეკომენდაციაში CM/Rec(2022)20 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს თავის 46 წევრ სახელმწიფოს, გაიარონ კონსულტაციები სუბნაციონალურ ორგანოებთან, კერძოდ ქალაქებთან და რეგიონებთან, რითაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელოვან როლს გარემოს დაცვაში. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (96) 12 ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს შორის გარემოსთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების შესახებ. ჯერ კიდევ 1996 წელს ეს რეკომენდაცია მოიცავდა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მატერიალურ უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა უფლების მიცემა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის გაეთვალისწინებინათ გარემოსდაცვითი კრიტერიუმები სატენდერო

მოთხოვნებში, ჰაერისა და წყლის ობიექტების დაბინძურების პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების მდგრადი სეპარირებული შეგროვების სტრატეგიების შემუშავება, ურბანული სატრანსპორტო ქსელების შექმნა, ან ურბანულ გარემოში მწვანე სივრცეების შექმნის ხელშეწყობა და მათი დაცვა.¹²

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა მმართველმა კომიტეტმა“ (CDDH) გამოსცა „სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა დაცვისა და გარემოს შესახებ“ (2006 წ.). სახელმძღვანელო ხელახლა გამოიცა 2012 წელს და კომიტეტი ამჟამად მუშაობს სახელმძღვანელოს განახლებაზე და ასევე აღნიშნულ სფეროში არასავალდებულო დოკუმენტის პროექტის შემუშავების შესაძლებლობაზე.

იცოდით თუ არა, რომ

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და მათი გავრცელება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე



„მდგრადი განვითარების მიზნები“ წარმოადგენს 17 ურთიერთდაკავშირებული გლობალური მიზნის ერთობლიობას, რომელიც შექმნილია როგორც „პროგრამა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად ყველასთვის“. ეს მიზნები განისაზღვრა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წელს და მათი მიღწევა დაგეგმილია 2030 წლისთვის (ე.წ. „2030 წლის დღის წესრიგი“). მდგრადი განვითარების 17 მიზანი არის შემდეგი: (1) სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა, (2) მიმდინარე აღმოფხვრა, (3) ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, (4) ხარისხიანი განათლება, (5) გენდერული თანასწორობა, (6) სუფთა წყალი და სანიტარია, (7) ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია, (8) დირსეული შრომა და ეკონომიკური ზრდა, (9) მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, (10) უთანასწორობის შემცირება, (11) მდგრადი ქალაქები და დასახლებები, (12) გონივრული მოხმარება და წარმოება, (13) კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები, (14) წყლის რესურსები, (15) ხმელეთის რესურსები, (16) მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები, (17) პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.

მდგრადი განვითარების ყველა მიზანს აქვს ამოცანა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ყოველდღიურ მუშაობასთან. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები არ უნდა იყვნენ დღის წესრიგის უბრალო განმარტებლები. ისინი არიან პოლიტიკის განმსაზღვრელები და ცვლილებების გამომწვევები და წარმოადგენენ მთავრობის იმ დონეს, რომელიც აკავშირებს გლობალურ მიზნებს ადგილობრივ საზოგადოებასთან და ტერიტორიულ რეალობასთან. ამგვარად, გაეროს გლობალური კონსულტაციებით დადასტურდა, რომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების „ლოკალიზაცია“ არის მდგრადი ჩართული ტერიტორიების ძლიერი მამოძრავებელი ძალა, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს ძალისხმევა და გააუმჯობესოს მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტურობა და მათი მიღწევა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაცია დაკავშირებულია შემდეგთან:

- თუ როგორ შეუძლიათ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს მხარი დაუჭირონ 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევას ქვევიდან ზევით მოქმედებით;
- თუ როგორ ქმნის მდგრადი განვითარების მიზნები ადგილობრივი განვითარების პოლიტიკის ჩარჩოს.²⁴ სხვა ინიციატივებთან ერთად ასევე ამოქმედდა „მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის საშუალებები“ გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და გაეროს ადამიანთა დასახლებების პროგრამასთან (UN-Habitat) პარტნიორობით.

გარემოს დაცვის საერთო სამართლებრივი ჩარჩო

გარემოს გაუარესებამ და კლიმატის ცვლილებამ დააჩქარა ადამიანის უფლებათა ახალი თაობის, კერძოდ სუფთა და უსაფრთხო გარემოს დაცვის უფლების, წარმოქმნის აუცილებლობა. გაჩნდა პარადიგმის გადასვლის აუცილებლობა გარემოს დაცვიდან, როგორც უბრალოდ პოლიტიკის დონისძიებიდან, ადამიანის გარემოს დაცვის თვითმყოფად უფლებაზე, და ამ მიზნით გაძლიერდა ბევრი ეროვნული, რეგიონული თუ საერთაშორისო ძალისხმევა.

ამ ეტაპზე არ არსებობს ადამიანის ამ უფლების ერთიანი განმარტება და სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს დაცვის სხვადასხვა დონე.

მიუხედავად ამისა, ჯანსაღი, სუფთა, მდგრადი და უსაფრთხო გარემოს დაცვის თვითმყოფადი უფლების აღიარების გაძლიერებულმა ძალისხმევამ გამოიწვია მნიშვნელოვანი მოქმედებები და ინიციატივები ყველა დონეზე.

მიზანი!

ჯანსაღი გარემო არა მხოლოდ როგორც უბრალო პოლიტიკის დონისძიება, არამედ როგორც თვითმყოფადი უფლება



ევროპის საბჭოს სისტემასთან მიმართებით არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ოქმები და არც ევროპის სოციალური ქარტია პირდაპირ არ უზრუნველყოფს ჯანსაღი გარემოს დაცვის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ჯანსაღი გარემოს დაცვის უფლებას, როგორც ასეთს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოუწოდეს, შექმნას პრეცედენტული სამართალი გარემოსდაცვით საკითხებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარკვეული უფლებების განხორციელებას შესაძლოა, საფრთხე შეექმნას გარემოსთვის ზიანის არსებობით და გარემოსდაცვითი რისკების ზემოქმედებით. უფლებები, როგორცაა პირადი ცხოვრების ან საცხოვრებლის უფლება, სასამართლომ გამოიყენა მავნე ნივთიერებების შემთხვევაში, რომლებიც გამოწვეული იყო განაშენიანებით და სამრეწველო დაბინძურებით, რაც გავლენას ახდენდა მაცხოვრებლების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

რეკომენდაციაში CM/Rec(2022)20 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს თავის 46 წევრ სახელმწიფოს, ეროვნულ დონეზე აღიარონ სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს დაცვის უფლება ადამიანის უფლებად და უზრუნველყონ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ და „ევროპის სოციალური ქარტიით“ და „შესწორებული ევროპის სოციალური ქარტიით“ დადგენილი უფლებებით ეფექტურად სარგებლობა, მათ შორის, გარემოსთან მიმართებით. გარდა ამისა,

გვერდი 24 ► ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

ახლახან სასამართლომ მიიღო პირველი საქმეები კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასთან დაკავშირებით.¹³

ასევე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა უკვე მუშაობს მწვანე ოქმზე ან კონვენციაზე.¹⁴ ასევე აღსანიშნავია საქართველოს, საბერძნეთისა და გერმანიის ერთობლივი დეკლარაცია მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავებას გარემოსა და ადამიანის უფლებების შესახებ.¹⁵

იცოდით თუ არა, რომ



❌ ცრუ ინფორმაცია

გარემოს დაცვის უფლებები არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას.

✅ ფაქტი

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილებები გარემოსთან დაკავშირებულ ასობით საქმეზე. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ირიბად ითვალისწინებს

გარემოს დაცვის უფლებას მხოლოდ იმ გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევების დასჯით, რაც ამავდროულად არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებულ ადამიანის სხვა უფლებებსაც.

ადამიანის უფლებებთან და გარემოსთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო ჩარჩო

• **1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის** (გაეროს ადამიანის საარსებო გარემოს კონფერენციის მიერ 1972 წლის 16 ივნისს, სტოკჰოლმში, მიღებული დეკლარაცია) უპირველესი პრინციპია გარემოს დაცვის პასუხისმგებლობის ადამიანზე ორიენტირებულობა. ის აცხადებს ცნებას, რომ „ადამიანს ეკისრება [...] ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა“.

• **ადამიანის და ხალხთა უფლებების 1981 წლის აფრიკულ ქარტიამი**, ასევე ცნობილი როგორც „ბანჯულის ქარტია“ (რომელიც მიღებულ იქნა ნაირობიში (კენია) 1981 წლის 7 ივნისს), აღნიშნულია, რომ „ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება საერთო დამაკმაყოფილებელ გარემოზე, რომელიც ხელსაყრელია მათი განვითარებისთვის“ (24-ე მუხლი).

• **1985 წლის ვენის კონვენცია** ოზონის შრის დაცვის შესახებ, რომლითაც სახელმწიფოები თანხმდებიან ითანამშრომლონ ოზონის პრობლემის მეცნიერული შეფასების მიმართულებით, გაცვალონ ინფორმაცია და მიიღონ ზომები ისეთი საქმიანობის პრევენციისთვის, რომელიც აზიანებს ოზონის შრეს. მას დაემატა მონრეალის ოქმი (1987 წელს).

• **1992 წლის კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ** (რომელიც მიღებულ იქნა რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) 1992 წლის 5 ივნისს) შემუშავებული იყო როგორც პრაქტიკული მექანიზმი, რომელიც აღიარებს, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნება ეხება არა მხოლოდ მცენარეებსა და ცხოველებს, არამედ ადამიანებსაც. ის ითვალისწინებს როგორც ეკონომიკურ ინტერესებს, ისე თანასწორობას, და კონცენტრირებულია მდგრადი განვითარების პროცესზე.

• **1992 წლის რიოს დეკლარაცია** გარემოსა და განვითარების შესახებ მიღებულ იქნა 1992 წლის 16 ივნისს, გაეროს კონფერენციაზე გარემოსა და მისი განვითარების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციის არცერთი დებულება პირდაპირ არ ეხება ადამიანის უფლებებს, მისი ზოგიერთი პრინციპი უზრუნველყოფს სამართლიანი განვითარების

უფლებას, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის საჭიროებას და ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრების უფლებას.

• 1994 წლის **გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია**, რომელიც რატიფიცირებულია 197 ქვეყნის მიერ და რომლის მიზანია კლიმატის სისტემის დაცვა ადამიანის „სახიფათო“ ჩარევისგან, ამჟამად მოქმედებს კიოტოს ოქმით, რომელიც ადგენს შესასრულებლად სავალდებულო მიზნებს განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში გაფრქვევების შესამცირებლად.

• 1998 წლის **ორჰუსის კონვენცია** (მიღებულ იქნა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ 1998 წლის 25 ივნისს, ორჰუსში, დანიაში) ეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვით საკითხებში.

• 2011 წლის **„ანალიტიკური კვლევა კლიმატის ცვლილებასა და ადამიანის უფლებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“** (რომელიც წარმოდგენილ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის ადამიანის უფლებათა საბჭოზე 2011 წლის 16 დეკემბერს) არის გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები უნდა იყოს ინფორმირებული და გამყარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებითა და პრინციპებით.

• 2016 წლის **პარიზის შეთანხმებაში** პირველადაა ნახსენები ადამიანის უფლებები კლიმატის ცვლილების/გლობალურ გარემოსდაცვით ხელშეკრულებაში. ხუთ წელიწადში ერთხელ, თითოეულმა ქვეყანამ უნდა წარადგინოს განახლებული კლიმატთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმა („ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი“).

• 2018 წლის **გაეროს ადამიანის უფლებებისა და გარემოს ჩარჩო პრინციპები** ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა სამართლის თანახმად, რომელიც ეხება „უსაფრთხო, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოთი სარგებლობას“.

• გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში (76/300), რომელიც მიღებულ იქნა 2022 წლის 28 ივლისს, აღნიშნულია, რომ სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს ხელმისაწვდომობა არის ადამიანის საყოველთაო უფლება.

• რეკომენდაცია CM/Rec(2022)20, რომელიც მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს, მოუწოდებს საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოს, ეროვნულ დონეზე აღიარონ სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს დაცვის უფლება ადამიანის უფლებად.

• ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის რეზოლუცია და რეკომენდაცია „გარემოს დაცვის ძირითადი უფლება: გამოწვევა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის“, რომელიც განხილულ იქნა 2022 წლის 26 ოქტომბერს, მოუწოდებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ გარემოსდაცვითი ძრილობი წაკითხვისკენ.



ევროპული სამართლებრივი ჩარჩო

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია არ არის შედგენილი ისე, რომ ითვალისწინებდეს, ზოგადად, გარემოს დაცვას, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით პროგრესის მისაღწევად ხდება გარკვეულ სუბიექტებზე და სამართლებრივ ინსტრუმენტებზე დაყრდნობა.

• დღემდე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული აქვს გარემოსთან დაკავშირებულ 300 საქმეზე, სადაც ისეთი ცნებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, სიტყვის თავისუფლება და ოჯახური ცხოვრების უფლება, გამოყენებული აქვს ბევრ სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, მათ შორის, როგორებიცაა დაბინძურება, ტექნოგენური და ბუნებრივი კატასტროფები და

გარემოსდაცვითი უფლებების ხელმისაწვდომობა. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ირიბად ითვალისწინებს გარემოს დაცვის უფლებას მხოლოდ იმ გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევების დასჯით, რაც ამავდროულად არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებულ ადამიანის სხვა უფლებებსაც.

• **შესწორებული ევროპის სოციალური ქარტია** „ირიბად გთავაზობს გარკვეული დონის დაცვას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით.“¹⁶ შესწორებული ქარტიის მე-11 მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ნებისმიერი ზომებით, რომელიც საშუალებას აძლევს მას, ისარგებლოს შესაძლებელი უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურებით“. ჯანმრთელობის უფლება განიმარტება ისე, რომ მოიცავდეს ჯანსაღი გარემოს დაცვის უფლებას, რადგან ის ასევე გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაბინძურების შემცირებისა და აღმოფხვრის ვალდებულებას.

• **ევროპის საბჭოს მიერ 1993 წელს მიღებული ლუგანოს კონვენცია** არის კონვენცია გარემოსთვის საზიფათო საქმიანობით მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ (ასევე მოხსენიებული როგორც კონვენცია No. 150). კონვენციის მიზანია პრევენციისა და აღდგენის საშუალებების უზრუნველყოფა და მასში აღნიშნულია, რომ ზიანი შესაძლოა, მიადგეს არა მხოლოდ უშუალოდ გარემოს, არამედ ადამიანებსაც (სიკვდილი ან პირადი ზიანი).

• **ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ბერნის კონვენცია** (რომელიც მიღებულ იქნა 1979 წელს ბერნში, შვეიცარიაში) არის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც იცავს როგორც სახეობებს, ისე ჰაბიტატებს, და მოუწოდებს ქვეყნებს, მიიღონ ერთობლივი ზომები ბუნების დაცვასა და ბუნებრივ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

• **ევროპის ლანდშაფტების კონვენცია** (რომელიც ასევე ცნობილია როგორც ფლორენციის კონვენცია და რომელიც მიღებულ იქნა 2000 წელს იტალიის ქალაქ ფლორენციაში) არის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც

ექსკლუზიურად ეძღვნება ევროპის ლანდშაფტების ყველა ასპექტს და მოიცავს ბუნებრივ, სოფლის, ქალაქის და ქალაქის მიმდებარე რაიონებს, ხოლო ლანდშაფტების პოლიტიკის ცენტრში აყენებს ადამიანებს.

• **შეთანხმება ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ძირითადი საფრთხეების შესახებ** (რომელიც შედგენილ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წელს) არის ძირითადი ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფების სფეროში თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც მოიცავს კატასტროფების რისკის შემცირებას, კერძოდ, ცოდნას, პრევენციას, მზადყოფნას, რისკების მართვას და კრიზისების შემდგომ ანალიზს.

• 1998 წლის **სტრასბურგის კონვენცია** სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის შესახებ (რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 4 ნოემბერს სტრასბურგში, საფრანგეთში) გთავაზობს ჰარმონიზაციისა და თანამშრომლობის მოდელს, რომელიც ადგენს ზოგად სისხლის სამართლის პოლიტიკას, რომლის მიზანია გარემოს დაცვა.

როგორ შეუძლიათ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს ორგანოებს დაიცვან გარემო და ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას?

გარემო ნიშნავს ყველა გარე პირობის ერთობლიობას, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზმის სიცოცხლეზე, განვითარებასა და გადარჩენაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემო მოიცავს ბუნებრივად წარმოქმნილ ფიზიკურ გარემოს, რომელზედაც კაცობრიობა მთლიანად არის დამოკიდებული თავის ყველა საქმიანობაში.¹⁷

მდგრადი განვითარება განისაზღვრება როგორც განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს ახლანდელი თაობის საჭიროებებს, მომავალი თაობების მიერ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. ეს ეხება მრავალ პროცესსა და გზას მდგრადობის მისაღწევად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ისეთ მომავალზე ფიქრის პარადიგმას, რომელშიც

დაბალანსებული იქნება გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.¹⁸

არ დაგავიწყდეთ!

სიცოცხლე და კეთილდღეობა ჩვენს პლანეტაზე დამოკიდებულია კაცობრიობის ერთობლივ შესაძლებლობაზე, უზრუნველყოს როგორც ადამიანის უფლებათა დაცვა, ისე ჯანსაღი გარემოს არსებობა მომავალი თაობებისთვის.¹⁹



მუნიციპალიტეტები და რეგიონები უკვე ძალიან აქტიურნი არიან ამ სფეროში, განსაკუთრებით ენერგომახასიათებლებისა და ენერგოეფექტურობის, გარემოს დაცვის მართვის და ნარჩენების შეგროვების, მწვანე ურბანული ტერიტორიებისა და მდგრადი მიწათსარგებლობის, წყლის მოხმარების, ეკონომოვაციებისა და მდგრადი დასაქმების, ბიომრავალფეროვნების, ადგილობრივი ტრანსპორტისა და ბევრ სხვა სფეროში. მდგრადი და მწვანე შესყიდვები ასევე წარმოადგენს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის სამოქმედო სფეროს, რაც გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ შექმნილი პროდუქტები და შეთავაზებული მომსახურება იყოს არა მხოლოდ ხარჯთეფექტური, არამედ ასევე ქმნიდეს სარგებელს გარემოსთვის, საზოგადოებისა და ეკონომიკისთვის. და ბოლოს, „მწვანე და ლურჯი ურბანული დაგეგმარება“ ამცირებს კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას და ენერჯისა და საკვების უკმარისობას ურბანულ დასახლებებში. ამ ტიპის ურბანული დაგეგმარება ქმნის უფრო მეტ სივრცეს ბიომრავალფეროვნებისა და უფრო ჯანსაღი და მიმზიდველი საცხოვრებელი გარემოს განვითარებისთვის,²⁰ და ქალაქებს უფრო მდგრადს, გამძლეს და კლიმატმედეგს ხდის.²¹

მაგალითად, ესტონეთში, ადგილობრივმა საზოგადოებამ დაიწყო მწვანე მუნიციპალიტეტის მოდელის შემუშავება საქმიანობის მდგრადი გარდაქმნის მიზნით. ნიდერლანდების ქალაქ როტერდამში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად გამოიყენება

ელექტრო სატვირთო მანქანები, რომლებიც გაცილებით ნაკლებად აბინძურებენ გარემოს.²² გერმანიის ქალაქ გოტენბურგში ხორციელდება ახალი პროგრამა, რათა ქალაქი გახდეს უფრო მწვანე „ციფრული ორეულის“ ვირტუალური სიმულაციის გამოყენებით, რომლითაც ხდება იმ გავლენის შეფასება, რომელსაც მწვანე გადაწყვეტილებები იქონიებდა ადამიანებსა და ადგილობრივ საზოგადოებაზე. ქალაქი „მწვანე“ საკითხებს სოციალურ საკითხებად აღიქვამს, რადგან ამისთვის საჭიროა, რომ ყველა ადამიანი და ადგილობრივი კომპანია იყოს ჩართული ამ პროგრამის განხორციელებაში. უტრეხტმა (ნიდერლანდები) დააჩქარა ინვესტირება ქალაქის სტრატეგიაში „ჯანსაღი ურბანული ცხოვრება ყველასთვის“, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჯანსაღ ურბანულ გარემოსა და სოციალურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას და, ამავდროულად, ზოგავს სამუშაო ადგილებს და ეხმარება ადამიანებს სამსახურში დაბრუნებაში. კინის მუნიციპალიტეტში (ნორვეგია), მუნიციპალურ და რეგიონულ საწარმოებთან და დამწყებ კომპანიებთან თანამშრომლობით დამონტაჟდა სუპერ დამტენი ელექტრონავებისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის, ბიზნესისთვის, სატრანსპორტო კომპანიებისა და კომერციული ხომალდებისთვის. ეს გადაწყვეტილება საინტერესო აღმოჩნდა ბერგენისა და ოსლოს (ნორვეგია) უფრო დიდი ნავსადგურებისთვისაც, რადგან ბატარეის დამუხტვას 20%-დან 80%-მდე მხოლოდ 20 წუთი სჭირდება. მიდელბურგში (ნიდერლანდები) მოქმედებს ადაპტაციის წინადადება ქალაქის შენობებისთვის, ქარის ენერჯის, ახალი დიზაინის და ლურჯი და მწვანე ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გამოყენებით. როგორც ქალაქის მერი აღნიშნავს, „ურბანული დასახლებების მოდიფიკაცია იმ მიზნით, რომ გავხადოთ ისინი უფრო მწვანე და უფრო ადაპტირებული, წარმოადგენს კლიმატმედეგი ქალაქების, ახალი ურბანული გაფართოებისა და აუთვისებელი მიწის განაშენიანების არსებით ელემენტს“.²³

იცოდით თუ არა, რომ



ევროპის მწვანე დედაქალაქის ჯილდო

„ევროპის მწვანე დედაქალაქის ჯილდო“ (European Green Capital Award) არის 15 ევროპული ქალაქის (ტალინი, ჰელსინკი, რიგა, ვილნიუსი, ბერლინი, ვარშავა, მადრიდი, ლუბლიანა, პრაღა, ვენა, კიელი, კოტკა დარტფორდი, ტარტუ და გლაზგო) და ესტონეთის ქალაქების გაერთიანების მიერ 2006 წლის 15 მაისს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, წამოწყებული ინიციატივის შედეგი. ინიციატივა ამოქმედდა ევროკომისიის მიერ 2008 წელს.

2010 წლიდან ყოველწლიურად ხდება ევროპის ერთ-ერთი ქალაქის არჩევა წლის „ევროპის მწვანე დედაქალაქად“. ჯილდო გადაეცემა ქალაქს:

- რომელიც თანმიმდევრულად აკმაყოფილებს მაღალ გარემოსდაცვით ნორმებს;
- რომელსაც აქვს მუდმივი და ამბიციური მიზნები გარემოს გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით;
- რომელსაც შეუძლია იყოს მისაბადი მაგალითი სხვა ქალაქების შთაგონებისა და ევროპის ყველა სხვა ქალაქში საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციისთვის.

დღემდე ეს ჯილდო მიღებული აქვთ შემდეგ ქალაქებს: სტოკჰოლმს 2010 წელს, ჰამბურგს 2011 წელს, ვიტორია-გასტეის 2012 წელს, ნანტის 2013 წელს, კოპენჰაგენს 2014 წელს, ბრისტოლს 2015 წელს, ლუბლიანას 2016 წელს, ესენს 2017 წელს, ნეიმეგენს 2018 წელს, ოსლოს 2019 წელს, ლისაბონს 2020 წელს და ლაჰტის 2021 წელს. ყველა მათგანი აღიარებულია მაღალი გარემოსდაცვითი ნორმების თანმიმდევრულად დაკმაყოფილებისა და ამბიციური მიზნებისადმი სწრაფვისთვის.

წყარო: <https://ec.europa.eu/environment/europeangreencapital/>.

მთავარი გამოწვევები

კოდიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი გამოწვევების და გარემოსთან და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების განსხვავებულად აღქმის გარდა, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები ასევე დგანან სხვა გამოწვევების წინაშეც გარემოს დაცვასთან მიმართებით ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის განხორციელების კუთხით, რომელთაგან ზოგიერთი ჩამოთვლილია ქვემოთ.

წვდომა ექსპერტულ ცოდნასა და ნოუ-ჰაუსზე, ფინანსური ავტონომია: ხელისუფლების სუბნაციონალურ დონეზე ხშირად რთულია საჭირო ინფორმაციის, ნოუ-ჰაუსა და დაფინანსების მიღება პოლიტიკის შემუშავებისას კლიმატთან და მდგრადობასთან დაკავშირებული ძალისხმევის დასაჩქარებლად. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას, ღია კომუნიკაციის ქალაქებს შორის და რეპროდუცირებადი ინიციატივების შექმნას.

კავშირები ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის და გამჭვირვალობა: მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ მოხდეს ქალაქებისა და რეგიონების მიერ მიღებული ზომებისა და მათი ძალისხმევის აღიარება და გათვალისწინება ეროვნულ დონეზე, სადაც ხელისუფლება სახავს თანაბრად ამბიციურ კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს. ანალოგიურად, ადგილობრივ და რეგიონულ აქტორებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი შესაძლებლობები და კომპეტენციები, რომ წვლილი შეიტანონ კლიმატთან და მდგრადობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევაში როგორც ეროვნულ, ისე ევროპის დონეზე.

საზოგადოების ყველა ნაწილის ჩართვასთან დაკავშირებული გამოწვევები: როგორც ზემოთაა განმარტებული, გარემოს დეგრადაცია არათანაზომიერ გავლენას ახდენს ღარიბ და ყველაზე მოწყვლად მოსახლეობაზე და ზრდის უთანასწორობას, ძალადობასა და დისკრიმინაციას. ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის განმსაზღვრელებისთვის დიდი გამოწვევაა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეხება და ვრცელდება ყველაზე ნაკლებპრივილეგირებულ და მარგინალიზებულ მოქალაქეებზე მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება გარემოსდაცვით შეგნებას.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა: დაბოლოს, დიდი გამოწვევაა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოქმედებასთან ერთად ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეების ჩართულობას. იმისთვის, რომ ყველამ გააცნობიეროს და გამოიყენოს გარემოსდაცვითი და კლიმატის საკითხების თაობათაშორისი დონის აქტუალურობა, საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა და მონდომება.

არ დაგავიწყდეთ!



ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის ხელშეწყობას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გარემოს გადარჩენაში და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში!



მობილობა და ტრანსპორტი

განმარტება

მობილობა არის ერთ-ერთი უდიდესი გარემოსდაცვითი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს ვდგავართ. საზოგადოებისა და ეკონომიკის შესანარჩუნებლად ადამიანებს გვჭირდება მრავალდონიანი სატრანსპორტო ქსელები: მანქანები, ავტობუსები, მატარებლები და ა.შ. ეს და სხვა სატრანსპორტო საშუალებები თავის კვალს ტოვებენ გარემოზე. CO₂-ის გლობალური გაფრქვევების დაახლოებით მეოთხედი გამოწვეულია ადამიანებისა და ტვირთის ტრანსპორტირების შედეგად. დღესდღეობით, მდგრადი სატრანსპორტო გადაწყვეტილებების შექმნა არის მთავარი ფაქტორი გარემოსდაცვითი კუთხით მეტად გაცნობიერებული მომავლის უზრუნველსაყოფად. ამ გამოწვევის წინა ხაზზე დგანან ქალაქები და რეგიონები, თუმცა ეს არის ასევე დიდი შესაძლებლობა ქალაქებსა და რეგიონებში ნახშირბადის დაბალი გაფრქვევების მიზნის მიღწევისთვის.

უფრო და უფრო მეტი ქალაქი იღებს ამ გამოწვევას და პოულობს გადაწყვეტილებებს კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ ნაწილში განხილულია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ყველა ძალისხმევა და ინიციატივა, რომელიც მიმართულია დაბინძურების შემცირების მიზნით საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების განახლებისკენ, ასევე ყოველგვარი ძალისხმევა მაღალემისიური სატრანსპორტო საშუალებების ალტერნატივის უზრუნველსაყოფად, როგორცაა ადგილობრივად დაფინანსებული ველოსიპედები.

იცოდით თუ არა, რომ

წვრილი მყარი ნაწილაკებით ჰაერის დაბინძურება უდიდეს გარემოსდაცვით საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას მთელ მსოფლიოში. ატმოსფერული და შიდა ჰაერის დაბინძურება ფართო სპექტრის გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მათ შორის, იწვევს რესპირატორულ დაავადებებს, გულის დაავადებებს, ინსულტს, ფილტვის კიბოს, ან ასთმას ბავშვებში. 2020 წელს ჰაერის დაბინძურებამ გამოიწვია 6 მილიონზე მეტი ადამიანის სიკვდილი მსოფლიოში. სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც დღეს ვიყენებთ, მნიშვნელოვნად აბინძურებს ჰაერს ჩვენს ქალაქებში.





მსოფლიო ღონის სატრანსპორტო სისტემა – ბურგასი (ბულგარეთი)²⁵

 მოსახლეობა: 202 766

ბურგასი არის ნოვატორი სატრანსპორტო დარგში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. „ბურგასის ინტეგრირებული ურბანული ტრანსპორტის პროექტი“ (Burgas Integrated Urban Transport Project), რომელიც ამოქმედდა 2009 წელს, შედგება რამდენიმე კომპონენტისგან და მოიცავს ურბანული ტრანსპორტის სხვადასხვა სფეროს. ბურგასი აპირებს სრულიად გარდაქმნას არსებული სატრანსპორტო სისტემა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სატრანსპორტო მომსახურება.

ქალაქმა აამოქმედა კონკრეტული შუალედური საინვესტიციო გეგმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოდერნიზებისა და სხვადასხვა მეთოდის საშუალებით მისი ენერგოეფექტურობის გასაზრდელად. ამ ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემას ემატება სხვა ღონისძიებები, რომელთა მიზანია ალტერნატიული სატრანსპორტო რეჟიმების წახალისება და ტრანსპორტიდან სათბური აირების გაფრქვევის შემცირება. ასეთი ღონისძიებები მოიცავს ველოსიპედების გაზიარების სისტემას, ველოსიპედების ახალ მარშრუტებს (30 კმ-ზე მეტი სიგრძის) და საფენმავლო მარშრუტებს, ქვეითთა გადასასვლელების გაუმჯობესებას და პარკირების მართვის ახალ სისტემას. პროექტის ყველა ამ ელემენტის ამოქმედების შემდეგ, ქალაქში დაიწყება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ინტენსიური კამპანია როგორც ავტობუსების ახალი ქსელის, ისე სხვა ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო რეჟიმების პოპულარიზაციისთვის. ინტეგრირებული ტრანსპორტის პროექტი გაზრდის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმზიდველობას გაზრდილი ხელმისაწვდომობიდან და მგზავრთქვეადობიდან და, ასევე მგზავრობის დროის შემცირებიდან გამომდინარე. ის ასევე ხელს შეუწყობს ქალაქის ფუნქციების შესრულებას ბურგასში და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს CO₂-ის გაფრქვევების და ჰაერის დაბინძურების შემცირებაში. როგორც შედეგებიდან ჩანს, დღემდე სათბური აირების გაფრქვევა შემცირდა წელიწადში დაახლოებით 1 500 ტონით, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა

გაიზარდა; კერძოდ, 2013 წელს საზოგადოებრივი ტრანსპორტით განხორციელდა დღეში 33,6 მილიონი მგზავრობა.

საკონტაქტო პირი

რუსკა ბოიადჟიევა, ექსპერტი პროექტების მენეჯერი, ქალაქი ბურგასი (ბულგარეთი)
r.boyadzhieva@burgas.bg



ხელოვნება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება, დუბულტის არტ-სადგური – იურმალას მუნიციპალიტეტი (ლატვია)

 მისახლეობა: 49 687

2015 წელს იურმალას ქალაქის საბჭომ გააფორმა საკრედიტო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება სახელმწიფო სააქციო საზოგადოებასთან „Latvijas dzelzceļš“ (ლატვიის რკინიგზა) და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება ფონდ „კულტურის ფორუმთან“, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა დუბულტის რკინიგზის სადგურზე თანამედროვე ხელოვნების აქტივობებისთვის სივრცის შექმნა. ამჟამად დუბულტის არტ-სადგური ასრულებს ორ ფუნქციას: ის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე ხელოვნებას ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის და ასევე უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებას. ამგვარად, ის არა მხოლოდ ახორციელებს ევროკავშირის ინიციატივას „ახალი ევროპული ბაუჰაუსი“ (New European Bauhaus), რომელიც გულისხმობს არსებული შენობა-ნაგებობების შენარჩუნებას და მათთვის ახალი დამატებითი ფუნქციების შექმნას, არამედ ასევე წარმოადგენს ურბანული გარემოს შენარჩუნებისკენ და მდგრადი და მწვანე აზროვნების განვითარებისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

ლატვიის ერთ-ერთი უძველესი სარკინიგზო დამაკავშირებელი ხაზი რიგა-ტუკუშის გაიხსნა 1877 წელს; იმავე წელს დაარსდა დუბულტის რკინიგზის სადგურიც. დუბულტის რკინიგზის სადგური უკვე 144 წელია მუშაობს და დღესაც ის არის ერთ-ერთი მთავარი რკინიგზის სადგური იურმალაში. რიგა-დუბულტი იყო პირველი ელექტრიზებული მატარებლის ხაზი ლატვიაში, რომელიც გაიხსნა 1950 წელს. სადგურის ამჟამინდელი შენობა აშენებულია 1977 წელს. ეს არის მოდერნისტული სტილის შენობა, რომელიც თავისი ლაკონიზმითა და ტევადობით შესაფერისია თანამედროვე სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენებისთვის.

იქიდან გამომდინარე რომ ციფრული ეპოქა ამცირებს ადგილზე მომსახურების საჭიროებას, ბევრი რკინიგზის სადგური კარგავს თავის მნიშვნელობას და მომავალში მათი შენობები შესაძლოა, უფუნქციოდ დარჩეს. სადგურის ძირითადი ფუნქციის და არსებული შენობის შესანარჩუნებლად დუბულტის რკინიგზის სადგურზე მოეწყო სახვითი ხელოვნების გალერეა, სადაც მგზავრებს შეუძლიათ შეიძინონ ბილეთები და ასევე ისიამოვნონ გამოფენით მატარებლის მოლოდინში. დუბულტის არტ-სადგური არის იმის შესანიშნავი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს „ევროპის მწვანე შეთანხმება“ და მოხდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაცია, არსებული შენობების ადაპტირება ახალ და ინოვაციურ ფუნქციებთან და მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება ახალი შენობების აშენების ნაცვლად.

დუბულტის არტ-სადგური არის ერთადერთი თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა ევროპაში, რომელიც მდებარეობს მოქმედ რკინიგზის სადგურზე. იქ გამართული ხელოვნების ნიმუშების გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების წყალობით რკინიგზის სადგური იქცა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურული ღონისძიებების განსაკუთრებულ ადგილად იურმალაში, საერთაშორისო რეზონანსით. ამ სივრცეში მოეწყო ისეთი გამოფენები, როგორცაა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა „გადასვლა/მეხსიერებასა და წარმოსახვას შორის“, ვირტუალური რეალობის ხელოვანის გინტს გაბრანსის ვირტუალური რეალობის გამოფენა „დიდი საბოლოო გახსნა“ და, რიგას საერთაშორისო ბიენალეს „RIBOCCO1“ ფარგლებში, ინტერაქტიური გამოფენა „შეგრძნება: სხეულის შენელების ლაბორატორია და გრძნობების ახალი პოლიტიკა“ (კურატორი სოლვეი ჰელვეგ ოვესენი). დუბულტის არტ-სადგური ასევე მასპინძლობს თანამედროვე პროზის კითხვის ყოველწლიურ ღონისძიებასაც. ამ ღონისძიებების დროს რკინიგზის სადგურის ყველა სტუმარს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს საერთო პროზაული ნაწარმოებების შექმნაში. დუბულტის არტ-სადგური ყოველწლიურად მასპინძლობს საშუალოდ სამ ან ოთხ სახვითი ხელოვნების გამოფენას ბევრი სხვადასხვა თემატური ღონისძიებითა და შემოქმედებითი პრაქტიკული სემინარით ბავშვებისა და მოზრდილებისთვის.

საკონტაქტო პირი

იევა შპონბერგა, იურმალას ქალაქის საბჭოს ტურიზმისა და ბიზნესის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი (ლატვია)

+37/126 39 93 42

ieva.sponberga@jurmala.lv



მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა და მოქალაქეთა ჩართულობა – კრუშევაცი (სერბეთი)²⁶

მოსახლეობა: 127 429

კრუშევაცი არის პირველი ქალაქი სერბეთში, რომელმაც ევროკავშირის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მიიღო „მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა 2017-30“ (Sustainable Urban Mobility Plan (SUMP) 2017-30), რომელშიც ჩართულია სხვადასხვა ადგილობრივი დაინტერესებული მხარე. მოქალაქეთა ჩართულობა დაგეგმვის პროცესის დასაწყისიდანვე იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ამ გზით ქალაქმა მიიღო მაღალი დონის იდეები, რომელთა განხორციელებაც არ არის ძვირი და რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მოქალაქეთა ცხოვრების დონე, რაც წარმოადგენს კიდევ „მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის“ მთავარ მიზანს.

„მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის“ დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, სამუშაო ჯგუფების, სამუშაო შეხვედრების, გამოკითხვებისა და სხვა სარეკლამო ღონისძიებების საშუალებით. „მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის“ შემუშავების პროცესი დაიწყო „ევროპის მობილობის კვირეულით“ (#MobilityWeek) 2015 წელს, როდესაც ღონისძიება პირველად ჩატარდა სრულად (მოხდა მუდმივი ზომების პოპულარიზაცია, აქტივობები ხორციელდებოდა სრული შვიდი დღის განმავლობაში და აღინიშნა „დღე ავტომობილების გარეშე“). მთელი ღონისძიების განმავლობაში ქალაქის ცენტრში ყოველ საღამოს იკეტებოდა საავტომობილო მოძრაობა. ძალიან პოზიტიური გამოხმაურებიდან გამომდინარე საავტომობილო მოძრაობის ეს რეჟიმი გამოიყენებოდა და გაგრძელდა ღონისძიების ყოველ მომდევნო წელს, ხოლო 2019 წელს ქალაქის ცენტრში იკეტებოდა საავტომობილო მოძრაობა ყოველ საღამოს, აპრილის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. ამ გზით როგორც მოქალაქეებს, ისე გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და დამგეგმავებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ენახათ, თუ როგორ გამოიყურებოდა ქალაქის ცენტრი გადაკეტილი საავტომობილო მოძრაობის პირობებში და თუ როგორ შეიძლებოდა ამ ტერიტორიის სხვა დანიშნულებით გამოყენება. იმავე წელს მოქალაქეებს შორის ჩატარდა გამოკითხვა კითხვით: „როგორი წარმოგიდგენიათ ქალაქის ცენტრი 2021 წელს?“, რომელსაც ჰქონდა 11 ასარჩევი პასუხი. პასუხებს შორის იყო ვარიანტები, რომ ეს ტერიტორია გადაქცეულიყო საფენმავლო ზონად ან ყველაფერი უცვლელად დარჩენილიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს კრუშევაცს დაარსებიდან 650 წელი შესრულდა, დაიგეგმა ქალაქის ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქცია. გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდა ქალაქის ვებგვერდზე. ამის შემდეგ კი გამოცხადდა საჯარო ტენდერი და მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია. სამუშაოები უახლოეს პერიოდში დასრულდება. ქალაქის ცენტრის წინა იერსახისგან განსხვავებით, ამჯერად უფრო მეტი სივრცე იქნება ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეთათვის, არსებული საფეხმავლო ზონა გაფართოვდება და დაუკავშირდება მოედანს; უკვე გაფართოვდა ტროტუარები და მოეწყო ტაქტილური ბილიკები. მოეწყო ველოსიპედის ბილიკები, ხოლო ქუჩაში პარკირების ადგილები გაუქმდა. ასევე მოეწყო საჯარო ავტოსადგომი.

საკონტაქტო პირი

იელენა ნიკოლიჩი, მდგრადი ურბანული მობილობის რეგიონული ექსპერტი (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მუდმივმოქმედი კონფერენცია (SKGO)), მრჩეველი მდგრადი ურბანული მობილობისა და ენერგოეფექტურობის საკითხებში, ქალაქი კრუშევაცი (სერბეთი)
jelena.nikolic@krusevac.rs



„მე დავდივარ მწვანე ტრანსპორტით“ – კრისტიანსანდის მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)

 მოსახლეობა: 111 634

„მე დავდივარ მწვანე ტრანსპორტით“ (I Drive Green) არის ცნობიერების ამაღლების ყოველწლიური კამპანია, რომელსაც ახორციელებს კრისტიანსანდის მუნიციპალიტეტი, სატრანსპორტო ორგანოს სახელით, კრისტიანსანდის ურბანულ ტერიტორიაზე. კამპანია დაიწყო 2010 წელს და მას შემდეგ მასში მონაწილეობა მიიღო 14 000 ადამიანმა. კამპანიის მიზანია სათბური აირების გაფრქვევის შემცირება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ადგილობრივი დაბინძურების შეზღუდვა.

კამპანია მოიცავს კონკურსს, რომლის ფარგლებშიც ფიზიკური პირები არეგისტრირებენ მწვანე მგზავრობას, ასევე კონკურსს ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რომლის ფარგლებშიც დიდი და მცირე კერძო და საჯარო კომპანიები უჯიბრებიან ერთმანეთს, თუ რომელი იქნება საუკეთესო მწვანე მგზავრობის თვალსაზრისით. ცნობიერების ამაღლებისა და შეძლებისდაგვარად ბევრი მონაწილის მოზიდვის

მიზნით მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ელჩებთან სპორტული სამყაროდან და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. კონკურსის ფარგლებში ქულების მინიჭება ხდება თითოეულ გადაადგილებაზე ფეხით, ველოსიპედით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ასევე მანქანის გარეშე გატარებულ თითოეულ დღეზე ან ფრენის გარეშე გატარებულ თითოეულ თვეზე, შემდეგნაირად:

- ▶ 1 ქულა: გადაადგილება ფეხით, ველოსიპედით ან ავტობუსით/მატარებლით (მაგალითად, გადაადგილება სახლიდან მაღაზიამდე ან სამსახურამდე);
- ▶ 2 ქულა: უკან დაბრუნება ფეხით, ველოსიპედით ან ავტობუსით/მატარებლით (მაგალითად, გადაადგილება სახლიდან მაღაზიამდე ან სამსახურამდე და უკან დაბრუნება);
- ▶ 3 ქულა: ერთი დღე მანქანის გარეშე (კვირის დღის მიუხედავად), რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი არც თავად მართავდეს მანქანას და არც მანქანის ან ტაქსის მგზავრი იყოს;
- ▶ 15 ქულა: ერთი თვე ფრენის გარეშე.

ქულების დარეგისტრირება ხდება სპეციალურ „მწვანე აპლიკაციაში“ ან ვებგვერდზე.²⁷ „მდგრადობის მრიცხველი“ ითვლის, თუ რამდენად სტაბილურია მონაწილეთა ქცევა ყოველკვირეულად (12 ქულა კვირაში). იმისთვის, რომ მონაწილის ქცევა ჩაითვალოს სტაბილურად კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში, მან უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 ქულა. მდგრადობის მრუდი იცვლება ყოველდღიურად იმის მიხედვით, თუ რამდენ ქულას დაარეგისტრირებს მონაწილე. გამარჯვებულების გამოვლენა ხდება სხვადასხვა კატეგორიაში კამპანიის ბოლოს.

საკონტაქტო პირი

ენ რემი, მრჩეველი მობილობის საკითხებში, კრისტიანსანდის მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)
+47/458 37 091
aenne.ramm@kristiansand.kommune.no



არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების პოპულარიზაცია – სარაგოსა (ესპანეთი)²⁸

მოსახლეობა: 666 880

დღესდღეობით, ევროპის ქალაქები სერიოზულ ზომებს იღებენ ველოსიპედით გადაადგილების პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიების საშუალებით, რათა ტრანსპორტის ეს საშუალება უფრო მოსახერხებელი, მიმზიდველი და უსაფრთხო გახდეს. ამ კუთხით, ველოსიპედის გამოყენების თავდაპირველი დაბალი დონიდან დღემდე სარაგოსამ მთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია. ეს პროგრესი მიღწეულ იქნა სხვადასხვა ინიციატივის საშუალებით, როგორცაა ველობილიკების რაოდენობის გაზრდა და ველოსიპედების გაქირავების მომსახურების დანერგვა.

არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების პოპულარიზაციისთვის, როგორცაა ველოსიპედი, საკმარისი არ არის მისი გამოყენების რეკომენდაციის მიცემა. ასევე აუცილებელია საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვა ღონისძიებების გატარება, რომლებიც მისასაღმებელი იქნება მაცხოვრებლების მხრიდან. ყველას უნდა შეეძლოს ველოსიპედის გამოყენება ქალაქში გადაადგილებისთვის ყოველგვარი რისკის გარეშე და ისე, რომ ეს დაბრკოლებას არ უქმნიდეს ფეხით მოსიარულეებს. აქედან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალელურად, შემუშავდა პოპულარიზაციისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მთელი რიგი ღონისძიებები, რათა მომხდარიყო ველოსიპედის, როგორც სატრანსპორტო საშუალების, ინტეგრირება და პოპულარიზაცია ქალაქში. ორი ასეთი ღონისძიება მოიცავდა შემდეგს:

- ▶ ველობილიკების საერთო სიგრძე 2003 წელს არსებული 13 780 კმ-დან 2011 წელს 104 145 კმ-მდე გაიზარდა, მათ შორის, გზებზე მოეწყო დამოუკიდებელი ზოლები ველოსიპედისთვის. ველოსიპედის ზოლების გამოყოფა მოხდა პოლიეთილენის ნაწილაკების გამოყენებით, რაც აადვილებს გზისა და ველოსიპედის ზოლების შერწყმას და ასევე ხელს არ უშლის ქუჩის სადრენაჟო სისტემის გამართულად ფუნქციონირებას.
- ▶ ამოქმედდა ველოსიპედების გაქირავების საზოგადოებრივი სისტემაც. ამჟამად, ველოსიპედი წარმოადგენს ალტერნატიულ სატრანსპორტო საშუალებას ქალაქ სარაგოსას

მოსახლეობისთვის. „Bizi“ მომსახურება ამოქმედდა 2008 წლის 28 მაისს. დღემდე აშენებულია 130 სადგური 1 300 ველოსიპედით.

ევროკომისიის 2014 წლის მონაცემებით, სარაგოსას მოსახლეობის 41.5% იყენებს ველოსიპედს: 9.8% იყენებს მას თითქმის ყოველდღე, 9.5% – კვირაში ერთხელ მაინც, ხოლო 7.4% – შაბათ-კვირას.

საკონტაქტო პირი

ხესუს ჰიმენეს პერესი, სარაგოსას მუნიციპალიტეტი (ესპანეთი)
+34/976 72 42 00
dpto-ecologiaurbana@zaragoza.es

არ დაგავიწყდეთ!



ყველას არ შეუძლია ველოსიპედის ტარება და საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ყოველთვის ყველასთვის ხელმისაწვდომი. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ავტობუსის, ტრამვაის და მეტროს ხელმისაწვდომობა შეძლებისდაგვარად ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს სივრცეები უსაფრთხო იყოს ქალებისთვის.



„ჭკვიანი“ მობილობა – ვენა (ავსტრია)

 მოსახლეობა: 1 897 000

მობილობას და ტრანსპორტს არსებითი მნიშვნელობა აქვს ვენის მოსახლეობისთვის. ისინი არსებითად განსაზღვრავენ მოქალაქეთა ცხოვრების დონეს და წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს ბიზნესის წარმატებული ადგილმდებარეობისთვის. „ჭკვიანი ქალაქი ვენა“ (Smart City Wien) უზრუნველყოფს კომფორტულ, უსაფრთხო, დაბრკოლებების გარეშე და ხელმისაწვდომ გადაადგილებას ყველასთვის, მათთვისაც კი, ვისაც მანქანა არ ჰყავს. მოტორიზებულ ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებებზე მოდის სათბური აირების გაფრქვევის ყველაზე მაღალი წილი, ისინი იწვევენ გარემოს მეტად დაბინძურებას (ნელეულის მოხმარება, ჰაერის დამაბინძურებლები, ხმაური) და დიდ ადგილს იკავებენ საერთო სარგებლობის სივრცეებში. აქედან გამომდინარე, მობილობა და ტრანსპორტი კომბინირებულად უნდა განვითარდეს გვერდით 46 ► ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

„ჭკვიანი ქალაქის“ სულისკვეთების ფარგლებში. ამის წინაპირობაა კომპაქტური განაშენიანება და ეფექტური საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაფართოება, რათა მოხდეს მზარდი ქალაქის დასახლების მობილობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ვენის სატრანსპორტო პოლიტიკა ეფუძნება „ჭკვიანი მობილობის“ კონცეფციას.

პოლიტიკის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ვენის მოსახლეობა სწრაფად, უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილდებოდეს და რომ საგზაო მოძრაობა დაპროექტებული იყოს ქალაქთან შესაბამისობაში და იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო. ასევე, თავიდან უნდა იქნეს აცილებული არასაჭირო საგზაო მოძრაობა. მომავალში, მგზავრობის 80% უნდა განხორციელდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებებით (საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ველოსიპედით ან ფეხით გადაადგილება). მიწისზედა და მიწისქვეშა მეტრო, ტრამვაი და ავტობუსი წარმოადგენენ ვენის ეკოლოგიურად უსაფრთხო გადაადგილების სისტემის ხერხემალს, რომელსაც გადაჰყავს ყოველდღიურად დაახლოებით 2.6 მილიონი მგზავრი. ყოველდღიურად ითვლება დაახლოებით 2.6 მილიონი მგზავრი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გარდა ასევე მუშაობენ მინი ავტობუსები, ტაქსის სადგურები და მიკრო საზოგადოებრივი ტრანსპორტი. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს პრიორიტეტული სატრანსპორტო პოლიტიკაში.

ეკონომიკური განვითარების მთავარი წინაპირობაა ასევე ფუნქციონირებადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ, ქალაქი ვენა კონცენტრირებულია „ჭკვიან“ და დასაქმების თვალსაზრისით ინტენსიურ ინვესტიციებზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში. ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დასაქმებისა და ღირებულებების შექმნის თვალსაზრისით:

- ▶ საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ჩქაროსნული ტრამვაით;
- ▶ ქალაქებში ტრამვაის ხაზების გაფართოება და აჩქარება;
- ▶ ტრამვაის პოპულარიზაცია ასევე შიდა ქალაქებში „სუფთა სატრანსპორტო საშუალებების დირექტივის“ განხორციელების მიზნით, და ქუჩების განახლება;
- ▶ ქალაქის ელექტროველოსიპედების ქსელის გაფართოება და დანერგვა გარეუბნებშიც; ქსელის გახშირება;

- ▶ მიზნობრივი წახალისება მანქანის გაზიარების მომსახურების მიმწოდებლებისთვის (ბიზნესსაქმიანობის სფეროს მოთხოვნა ტენდერით);
- ▶ პროექტის „ვენის ქალაქის ველოსიპედები“ (City Bike Wien) მოდერნიზაცია და ამოქმედება გარეუბნებში.

საბოლოო მიზანს წარმოადგენს 2030 წლისთვის მანქანის მგზავრების რაოდენობის განახევრება და ასევე საჯარო სივრცეებში მანქანების გასაჩერებელი ადგილების გრძელვადიანი შემცირება, აგრეთვე ვენის მონაწილეობა ქვემო ავსტრიაში „Park & Ride“ ობიექტების მშენებლობაში. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.wien.gv.at/regierungsabkommen2020/smart-city-wien/smart-mobilitat/>.

საკონტაქტო პირი

უფლი სიმა, ქალაქის აღმასრულებელი საბჭოს წევრი ინოვაციების, ურბანული დაგეგმარებისა და მობილობის საკითხებში, ქალაქი ვენა (ავსტრია)
 ulli.sima@wien.gv.at



ადგილობრივი ტრანსპორტის ერთობლივი გეგმა – ბრისტოლი (გაერთიანებული სამეფო)

მოსახლეობა: 535 907

სუფთა ჰაერი მთავარი პრიორიტეტია ევროპის ყველა ქალაქისთვის. თუმცა, სუფთა ჰაერის უზრუნველყოფა რთული ამოცანაა ქალაქებისთვის ურბანული ცხოვრების ყველა სხვა ასპექტთან შეხების მაღალი დონიდან გამომდინარე. ქალაქი ბრისტოლი გთავაზობს მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება. ამჟამად, ბრისტოლის ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა არის „ადგილობრივი ტრანსპორტის ერთობლივი გეგმის“ ნაწილი და მოიცავს ქალაქ ბრისტოლს მთლიანად. ქალაქში ტრანსპორტით გამოწვეული დაბინძურების შესამცირებლად ბრისტოლმა შეიმუშავა რეგულირების, ინვესტირების, საავტომობილო გზების მართვისა და პოპულარიზაციის მნიშვნელოვანი პროგრამა.

დღეის მდგომარეობით ბრისტოლში გაუმჯობესებულია საგზაო მოძრაობის მართვა და შემცირებულია გაფრქვევები „ჰაერის ხარისხის მართვის ზონებში“. შედეგად შემცირდა გზების გადატვირთვა და გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა, ასევე მდგრადობა და ცხოვრების დონე. საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის გვერდს 48 ▶ ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

თვალსაზრისით, ბრისტოლის მიზანია გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, ამიტომ ქალაქში სხვადასხვა არხით ვრცელდება ინფორმაცია ჰაერის ხარისხის შესახებ. როდესაც ხდება ჰაერის ხარისხის სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეთავაზება ან როდესაც იცვლება „ჰაერის ხარისხის მართვის ზონის“ საზღვრები, ქალაქი რეგულარულად ახდენს მოსახლეობასთან კომუნიკაციას ახალი საკონსულტაციო ვებგვერდის „Citizen Space“ საშუალებით.

საკონტაქტო პირი

საბჭოს წევრი კაი დადი, კაბინეტის წევრი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საკითხებში, ქალაქი ბრისტოლი (გაერთიანებული სამეფო)
+44/11 79 03 67 01



მადრიდი მოძრაობაში – მადრიდი (ესპანეთი)

 მოსახლეობა: 6 668 865

მადრიდი, რომელიც მიზნად ისახავს 2030 წლისთვის სათბური აირების გაფრქვევის 65%-ით შემცირებას 1990 წელთან შედარებით, ხოლო 2050 წლისთვის კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევას, არის ერთ-ერთი მოწინავე ქალაქი ევროპაში „მწვანე განვითარების“ მიმართულებით. ეს მისწრაფება მოიცავს მთელი მადრიდის დაბალემისიურ ზონად გარდაქმნისა და მიკრო და საერთო მობილობის ჰოპულარიზაციის გეგმებს.

ქალაქის გარემოსდაცვითი მდგრადობის სტრატეგიით „მადრიდი 360“ (Madrid 360), რომელიც მოიცავს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ 200-ზე მეტ ღონისძიებას და ასევე კლიმატის შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებებს, ქალაქი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე „ევროპის მწვანე შეთანხმების“ განხორციელებაში მისი წილის შესრულებაა. ამის მაგალითებია ისეთი სისტემების ისტორიული გაფართოება, როგორცაა „BiciMad“, ელექტროველოსიპედების გაქირავების საჯარო სისტემა და „Zero Lines“ (ნულოვანი გაფრქვევები, ნულოვანი ხარჯები მომხმარებლებისთვის), ქალაქში პირველი უფასო ელექტროავტობუსების ხაზი, რომელიც თითქმის ერთი წელია, ფუნქციონირებს დედაქალაქის ცენტრში. ამგვარი განვითარება, ფეხით მოსიარულეთათვის და ველოსიპედებისთვის შექმნილ ახალ ინფრასტრუქტურასთან ერთად, და დაბალემისიური ზონა ნიშნავს იმას, რომ ქალაქი მუშაობს კლიმატთან დაკავშირებული მიზნების

მიღწევაზე და, ამავდროულად, ახდენს მდგრადი მობილობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას.

საკონტაქტო პირი

ფრანცისკო დე ბორხა კარაბანტე მუნტადა, საბჭოს წევრი, დელეგატი გარემოსა და მობილობის სფეროში, ქალაქი მადრიდი (ესპანეთი)
ag.ambientemovilidad@madrid.es



ენერგოეფექტური ავტობუსები – ედინბურგი (გაერთიანებული სამეფო)²⁹

მოსახლეობა: 537 000

ედინბურგში და მის მიმდებარე რაიონებში დაბინძურების შემცირების მიმდინარე სტრატეგიის ფარგლებში, კომპანია „Lothian Buses“ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა მისი ავტობუსების მიერ გარემოზე ზემოქმედების შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებებში, რითაც დაეხმარა ედინბურგის ქალაქის საბჭოს ნახშირბადის გაფრქვევების 42%-ით შემცირების ვალდებულების შესრულებაში. „Lothian Buses“ ოთხი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა კომპანია „ვოლვოსთან“ შოტლანდიაში ჰიბრიდული ავტობუსების ტექნოლოგიის დანერგვის მიმართულებით. ჰიბრიდული ავტობუსი მუშაობს ბატარეასა და დიზელზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი ძრავა მუშაობს უფრო ეფექტურად, შეუფერხებლად და ჩუმად, ვიდრე ტრადიციული ავტობუსის ძრავა.

ედინბურგში პირველი 15 ჰიბრიდული ავტობუსი ექსპლუატაციაში შევიდა 2011 წელს, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ მარშრუტზე. ეს ავტობუსები მოიხმარენ 35%-ით ნაკლებ საწვავს, რაც უდრის ნახშირბადის გაფრქვევების შემცირებას წელიწადში 600 ტონით მხოლოდ ამ მარშრუტზე. 2014 წლის ბოლოსთვის კომპანია „Lothian Buses“ ჰყავდა 65 ჰიბრიდული ავტობუსი, რომლებიც მუშაობდნენ ედინბურგის ყველაზე დაბინძურებულ უბნებში, და ასევე შეკვეთა ჰქონდა გაკეთებული 20 ახალ ორსართულიან ჰიბრიდულ ავტობუსზე.

საკონტაქტო პირი

კლერ მაკვიკარი, გარემოს დაცვის ოფიცერი, კომპანია „Lothian Buses“
cmcvicar@lothianbuses.co.uk



- **აირჩიეთ** მწვანე სატრანსპორტო კომპანია თქვენს მუნიციპალიტეტში ან რეგიონში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების შეთავაზებისთვის (ანუ კომპანია, რომელიც იყენებს ელექტრო ან ჰიბრიდულ ავტობუსებს).
- **ხელი შეუწყვეთ** ველოსიპედების გამოყენებას უსაფრთხო ველოსიპედის ზოლების დამატებით ან ველოსიპედის გაზიარების სისტემის შექმნით.
- **გაუმჯობესეთ** საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიზიდველობა, განსაკუთრებით ხელმისაწვდომობისა და მგზავრთქვეადობის გაზრდით.
- **წახალისეთ** მგზავრობის გაზიარების მომსახურება, როგორცაა ავტომობილის საზიაროდ გამოყენება, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ხელმისაწვდომი.
- **უზრუნველყავით** წახალისების საშუალებები მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ხელშეწყობისთვის, როგორცაა ინდივიდუალური კონკურსები და ჯილდოები (ნორვეგიის მაგალითზე).
- **შეზღუდეთ** მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ქალაქის ცენტრებში შაბათ-კვირას.
- **წახალისეთ** ფეხით სიარული დაჯილდოების სისტემის დანერგვით ადგილობრივი/მცირე ბიზნესის ჩართულობით, რომელიც მოქალაქეებს შესთავაზებს ფასდაკლებებს გარკვეული მანძილის გავლის შემთხვევაში.



ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი

განმარტება

ინფრასტრუქტურა ორპირიანი ხმალივითაა გარემოს შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. ერთი მხრივ, ის გამოიყენება ადამიანებისა და საქონლის ეფექტურად გადაადგილებისთვის. თუმცა, ის ყველაზე ხშირად გამოიყენება ბუნებაზე კონტროლისა და რესურსების მოსაპოვებლად. ის, თუ როგორ ვაყალიბებთ ჩვენს საცხოვრებელ სივრცეებს შენობა-ნაგებობებისა და ადამიანის ხელით შექმნილი სხვა კონსტრუქციების მშენებლობით, წარუშლელ გავლენას ახდენს ჩვენს ბუნებრივ გარემოზე. სწორედ ამიტომ, იმისთვის, რომ გავიაზროთ კლიმატის ცვლილება, ასევე უნდა გვესმოდეს გარემოზე ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებლის გავლენის მნიშვნელობაც. მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად ასევე მკვეთრად იზრდება ინფრასტრუქტურის რაოდენობა და მასშტაბებიც. ჩვენ გვჭირდება მდგრადი გადაწყვეტილებები ისეთი სივრცეების შესაქმნელად, სადაც ადამიანებსა და ბუნებას შეეძლება თანაარსებობა.

ამ ქვეთავში განხილულია ყველა ინიციატივა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების, ქუჩებისა და ზოგადი ინფრასტრუქტურის აღდგენასა და რესტრუქტურისაგან, რათა ისინი გახდეს „უფრო მწვანე“, უფრო ენერგოეფექტური, უფრო მდგრადი და უფრო გამძლე გრძელვადიან პერსპექტივაში.

დაიმახსოვრეთ!



სოციალური და რასობრივი უთანასწორობა

გათვალისწინებული უნდა იქნეს იმისთვის, რომ გავიაზროთ და გადავჭრათ ენერჯის მოხმარების საკითხი. კვლევებმა აჩვენა, რომ ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე უბნებში ფიქსირდება ერთ კვადრატულ მეტრზე ენერჯის ბევრად უფრო მაღალი მოხმარების მაჩვენებელი, განსაკუთრებით ცუდად იზოლირებული საცხოვრებლის გამო.



ნახშირბადის დაბალი გაფრქვევების მქონე უბანი – ვარშავა (პოლონეთი)³⁰

მოსახლეობა: 1 765 000

ვარშავას აქვს გეგმები ნახშირბადის დაბალი გაფრქვევების მქონე უბანთან დაკავშირებით, რომელიც შთაგონებულია არსებული მოდელებით, როგორიცაა „Hammarby“ სტოკჰოლმში.³¹ აღნიშნული პროექტი იქნება ენერგოეფექტური დაგეგმვის, შენობა-ნაგებობების, ტრანსპორტის, ნარჩენების მართვის და წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვის მაგალითი და ამ ტიპის პირველი პროექტი პოლონეთში.

პროექტი მოიცავს გადაწყვეტილებებს ენერგოეფექტურობის, ბუნებრივი გარემოს და სათბური აირების დაბალი გაფრქვევების მიმართულებით. ის ეხება ამ სფეროს ქალაქდაგეგმარებას, ენერგოქსელეზს, შენობა-ნაგებობების მშენებლობას, ტრანსპორტირების სისტემებს და ნარჩენების, წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვას. სხვა ქვეყნებში ნახშირბადის დაბალი გაფრქვევების მქონე უბნის („მწვანე და ლურჯი ურბანული დაგეგმარება“) პროექტების წარმატებით განხორციელებამ წაახალისა დაინტერესებული მხარეები ვარშავაში შეემუშავებინათ მსგავსი პროექტი. ქალაქი პროექტის დაფინანსებას აპირებს მუნიციპალური და გარე დაფინანსებით და ასევე აქვს ევროპული თანადაფინანსების მიღების იმედი. პროექტი ჯერ საწყის ეტაპზეა და მის სრულ განხორციელებას სავარაუდოდ დაახლოებით 10 წელი დასჭირდება. ენერგეტიკის სტანდარტების ხშირი განახლებიდან გამომდინარე, ვარშავისთვის გამოწვევა იქნება უახლესი მოთხოვნების დაკმაყოფილება 10-15 წელიწადში, როდესაც პროექტი დასრულდება.

საკონტაქტო პირი

მარსინ ვრუბლევსკი, მთავარი სპეციალისტი, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, ქალაქ ვარშავის მუნიციპალიტეტი (პოლონეთი)
mwroblewski@um.warszawa.pl



მდგრადი და ენერგოეფექტური ცხოვრება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში – ვალმიერა (ლატვია)

 მოსახლეობა: 24 868

ვალმიერა არის ლატვიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მუნიციპალიტეტი, რომელიც ხელს უწყობს საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას. ქალაქში არსებული 167 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უმეტესობა აშენებულია საბჭოთა პერიოდსა და 1990-იან წლებს შორის. ამის მიუხედავად, ამ შენობათა 50%-ს ჩაუტარდა ფასადის სრული რეკონსტრუქცია, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი ენერგომახასიათებლები და აღდგა მათი საინჟინრო სტრუქტურა, რამაც შესაძლებელი გახდა მათი უსაფრთხოდ ექსპლუატაცია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა ლატვიაში. ასეთი სახლების უმეტესობა ბინის მესაკუთრეთა ერთობლივ საკუთრებაშია. აქედან გამომდინარე, ბინის მესაკუთრეები უნდა შეთანხმდნენ ერთობლივად შესასრულებელ სარემონტო ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, 2009 წლისთვის, როდესაც ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ენერგომახასიათებლების გაუმჯობესებისთვის, ბინის მესაკუთრეებს უკვე გარემონტებული ჰქონდათ 10 შენობა ვალმიერაში.

2013 წლიდან, მუნიციპალურმა თანადაფინანსებამ მკვეთრად შეუწყო ხელი შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციას. აღნიშნულმა ასევე აქტიურად იმოქმედა და დაარწმუნა ქალაქის მაცხოვრებლები განეხორციელებინათ ენერგოეფექტური პროექტები საცხოვრებელი სახლებისთვის, ევროკავშირის ფონდების 50%-იანი თანადაფინანსებით.

საკონტაქტო პირი

ლიგა ბიეზინა, გარემოსდაცვითი კომუნიკაციების სპეციალისტი, ბრენდირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ვალმიერას ქალაქის საბჭო (ლატვია)
liga.biezina@valmiera.lv



მოქალაქეთა სასარგებლოდ შუქნიშნების ადაპტიური მართვის სისტემა – ბელგრადი (სერბეთი)



მოსახლეობა: 1 374 000

ქალაქ ბელგრადში მიმდინარეობს სამწლიანი პროექტის „შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა, დაპროექტება და შუქნიშნების ადაპტიური მართვის სისტემის დანერგვა ბელგრადში“³² განხორციელება, ქალაქის ქუჩებში 322 გზაჯვარედინზე შუქნიშნების სისტემის მოდერნიზაციის საშუალებით. საგზაო მოძრაობის ადაპტიური მართვის ზონალური სისტემის დანერგვით მოსალოდნელია საგზაო მოძრაობის სისტემის ფუნქციონირების მრავალმხრივი გაუმჯობესება და მოქალაქეებისთვის სარგებლის მოტანა გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. პროექტი ამჟამად ხორციელდება 95 გზაჯვარედინზე.

ბელგრადში შუქნიშნების ადაპტიური კონტროლის სისტემაში გამოყენებულია ამ სფეროში უახლესი ტექნოლოგია. განსაკუთრებით გამოირჩევა შუქნიშნის SX მაკონტროლებელი, რომელსაც აქვს შუქნიშნის ნათების 1 ვატიანი ტექნოლოგიის მხარდაჭერა, რაც წარმოადგენს მაქსიმალურ შესაძლო ენერგოდანაზოგს. ცენტრალური სისტემის კონტროლის ქვეშ მოექცევა ბევრი, კერძოდ 274, გზაჯვარედინი. დროის მოკლე ინტერვალებით, გზებზე დამონტაჟებული დეტექტორების მიერ დაფიქსირებული საგზაო დატვირთვის ცვლილების საფუძველზე, მოხდება შუქნიშნის მაკონტროლებლების მუშაობის ოპტიმიზაცია გზაჯვარედინებზე, რომლის მიზანიცაა მგზავრობის დროისა და საგზაო საცობების შემცირება. ადგილობრივი დეტექტორები ამუშავდება 48 გზაჯვარედინზე, სადაც მათთან გარკვეული მიახლოების მომსახურება განისაზღვრება ცალკეულ გზაჯვარედინთან მიახლოებისას გზის დეტექტორების საშუალებით დაფიქსირებული სატრანსპორტო საშუალებებიდან გამომდინარე. ამ სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ის პრიორიტეტს ანიჭებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს. თითოეული ტრამვაი აღჭურვილი იქნება საბორტო მოწყობილობით (OBU), რომელიც იყენებს გლობალური პოზიციონირების სისტემას (GPS) რათა განსაზღვროს პოზიცია და მობილური ოპერატორის ქსელი მონაცემების ცენტრალურ სისტემაში გადასაგზავნად. ცენტრალურ სისტემაში დამუშავების შემდეგ ეს მონაცემები გადაეცემა შუქნიშნის მაკონტროლებლებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მწვანე შუქზე,

რათა უპირატესობა მიენიჭოს ტრამვაის.

საგზაო მოძრაობის ადაპტიური მართვის ზონალური სისტემის დანერგვის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობები აისახება შემდეგი კუთხით: არსებული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება; მართვის სისტემის საიმედოობის გაზრდა; საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის პოპულარიზაცია მგზავრობის დროის შემცირებით და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის (ან გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის) უპირატესობის მინიჭებით; ენერგოეფექტურობის გაზრდა ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების შედეგად; დადებითი გავლენა გარემოზე ხმაურის და გამონაბოლქვის შემცირებით იმის ხარჯზე, რომ სატრანსპორტო ნაკადი გზებზე იმოდრავებს მინიმალური გაჩერებებით, რაც შეამცირებს ქსელში გატარებულ დროს; მოქალაქეთა უსაფრთხოების გაზრდა გადაუდებელი დახმარების სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით; სატრანსპორტო ნაკადის ქსელური პარამეტრების გაუმჯობესება: მგზავრობის დროის შემცირება, გაჩერებების მინიმუმამდე დაყვანა, გამონაბოლქვის და ხმაურის შემცირება და ხარჯების შემცირება ტრანსპორტის მომხმარებლებისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის ბელგრადში. ზემოაღნიშნული მოქალაქეებზე აისახება შემდეგი კუთხით: მგზავრობის დროის შემცირება ყველა მოტორიზებული საშუალებით გადაადგილების შემთხვევაში, რათა მოქალაქეებმა დაზოგონ დრო (10-15%-ით); ქვეითთა გადასასვლელებზე მოძრაობის შემაჩერებელი დილაკების გამოყენება, რაც მოახდენს შუქნიშნებთან ფეხით მოსიარულეთა მოლოდინის დროის ოპტიმიზაციას; გადაუდებელი დახმარების სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისთვის პრიორიტეტის მინიჭება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ყველა მოქალაქის ზოგად უსაფრთხოებას, რადგან ის შეამცირებს გადაუდებელი დახმარების სამსახურის რეაგირების დროს; საგზაო მოძრაობისას მავნე აირების გამონაბოლქვის შემცირება, რაც გავლენას ახდენს გარემოსდაცვით ასპექტზე ყველა მოქალაქისთვის.

საკონტაქტო პირი


ოგნიენ ტოდოროვიჩი, ურბანული მობილობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქალაქი ბელგრადი (სერბეთი)
ogjen.todorovic@beograd.gov.rs

იცოდით თუ არა, რომ

საცხოვრებლით არასათანადო უზრუნველყოფამ შესაძლოა, გამოიწვიოს ჰაერის მეტად დაბინძურება, რაც დაკავშირებულია მობილობასთან. რაც უფრო მეტი სახლი მდებარეობს სამუშაო ადგილიდან მოშორებით, მით მაღალია გადაადგილებისთვის მანქანების გამოყენების მაჩვენებელი.



კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება მდინარე დაუგავაზე – იეკაბპილსი (ლატვია)

 **მოსახლეობა:** 40 790 (ახლად ჩამოყალიბებული იეკაბპილსის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)

იეკაბპილსის, კოკნისის და ოგრეს მუნიციპალიტეტებმა, რომლებიც მდებარეობს მდინარე დაუგავას გასწვრივ, შეიმუშავეს პროექტი თავიანთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების, დაცვისა და მდგრადი განვითარების მიზნით, როგორცაა კრუსტიპილსის სასახლე ქალაქ იეკაბპილსში, შუა საუკუნეების კოკნისის ციხესიმაგრის ნანგრევები და ოგრეს სანატორიუმი. ამ ქალაქებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს შთამბეჭდავი შედეგების მიღწევის, ისტორიული ფასეულობების შენარჩუნებისა და ტურიზმის ხარისხის ამაღლების კუთხით, ამავდროულად, გარემოს დაცვის უზრუნველყოფით.

ამ პროექტის შედეგი იყო ისტორიული მემკვიდრეობის სამი ძეგლის მდგრადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო აღდგენა, კერძოდ:

- ▶ კრუსტიპილსის სასახლის, განსაკუთრებით მთავარი შენობისა და ფასადის, გარემონტება, ეზოს აღდგენა და შადრევნისა და ბაღის რეკონსტრუქცია;
- ▶ სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, კოკნისის ციხესიმაგრის ნანგრევების, კონსერვაციისა და კეთილმოწყობის

სამუშაოები;

- ▶ ოგრეს სანატორიუმის სახურავის კონსტრუქციისა და ა. ცირულისის ფრესკული ნახატების აღდგენა და ოგრეს ბუნებრივი პარკის „Zilie Kalni“ ინფრასტრუქტურის შექმნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კრუსტიპილისის სასახლეს ჩაუტარდა მის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური აღდგენითი სამუშაოები. მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ფრესკების აღდგენა და შვიდ ოთახში მოეწყო გამოფენა ქალაქის ისტორიის შესახებ. შენობის მეორე სართულზე გარემონტდა ისტორიული ფართი კულტურული ღონისძიებების გასამართად. ასევე აღდგენილ იქნა სასახლის ბაღი, თავისივე შადრევნით ისტორიულ ადგილზე. იეკაბპილისის მუნიციპალიტეტმა ინვესტიცია განახორციელა სანადირო დარბაზისა და გარდერობის განახლებაში და ასევე ავეჯით უზრუნველყოფაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

აღნიშნულ ობიექტებში განხორციელებული ინვესტიციები უზრუნველყოფს, რომ სოციალურ-ეკონომიკურმა სარგებელმა გადაწონოს ობიექტის შენახვის ხარჯები, რადგან დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების გრძელვადიან შენარჩუნებას და მათ მდგრად განვითარებასა და მონახულებას. ეს პროექტი მხარს უჭერს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს იქიდან გამომდინარე, რომ უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, მუნიციპალური შემოსავლების გაზრდას და ამ ადგილებსა და მიმართულებებზე სტუმართა რაოდენობის მატებას. პროექტის განხორციელების შემდეგ გარემოს ხარისხი და მუნიციპალიტეტების მაცხოვრებელთა ცხოვრების დონე, ისევე როგორც სტუმართა ამოცდილება, ბევრად უფრო გაუმჯობესდა.

საკონტაქტო პირი

ინეს ვიტოლა, პროექტების მენეჯერი, იეკაბპილისის მუნიციპალიტეტი (ლატვია)

+371/65 20 74 23

inese.vitola@jekabpils.lv



„გაადიდე შენი სახურავის გამოსახულება“: სხვენის იზოლაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება – ანტვერპენი (ბელგია)³³

მოსახლეობა: 1 042 000

პროექტმა „გაადიდე შენი სახურავის გამოსახულება“ (Zoom in on your roof) გამოიყენა ქალაქის თერმოგრაფიული სატელიტური რუკა, რათა ხაზი გაესვა საყოფაცხოვრებო შენობების ენერგოეფექტურობისა და სახურავის იზოლაციის მნიშვნელობისთვის ქალაქ ანტვერპენის მაცხოვრებლებისთვის. პროექტის ფარგლებში, რომელიც ამოქმედდა 2009 წელს, ქალაქის მაცხოვრებლებს შეუძლიათ ახლო ხედით დაინახონ საკუთარი სახურავები. რუკაზე სხვადასხვა ფერითაა აღნიშნული სახურავების იზოლაციის დონე, სადაც ლურჯი და მწვანე აღნიშნავს ყველაზე ენერგოეფექტურს, ხოლო ნარინჯისფერი და წითელი კი – ყველაზე ნაკლებად ენერგოეფექტურს. რუკის სრულყოფისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერაქტიურ ვებგვერდზე, ქალაქი მართავს ჩვენებებს, იძლევა პერსონალურ რჩევებს სახლის მესაკუთრეთათვის ხელმისაწვდომ დაფინანსებასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს მაცხოვრებლებს საშუალებებით, რომლებიც დაეხმარება მათ საყოფაცხოვრებო ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაში. ჩვენებები ასევე უზრუნველყოფს იმას, რომ პროექტის შესახებ გაიგოს შეძლებისდაგვარად ბევრმა მოქალაქემ, მათ შორის, იმ მოქალაქეებმაც, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა.

სახურავების იზოლაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ქალაქისა და რეგიონის ხელისუფლება ერთობლივად სთავაზობს გრანტებს სახლის მესაკუთრეებს, რომელთაც სურთ სახურავზე ახალი იზოლაციის გაკეთება. გრანტით მთლიანობაში გათვალისწინებულია 10 ევრო/მ² იზოლაციაზე, საიდანაც 6 ევროს აფინანსებს რეგიონული ხელისუფლება, ხოლო 4 ევროს – ქალაქის ხელისუფლება. დამატებითი სარგებელი მოქმედებს მათთვის, ვინც იზოლაციას ორგანული მასალით გააკეთებს. ასევე, ფინანსური ტვირთის შემსუბუქების მიზნით, პროექტის ფარგლებში ფედერალური გადასახადი 30%-ით არის შემცირებული. ქალაქი ასევე იძლევა მწვანე სესხების გაცემის რეკომენდაციას, რომლებიც განკუთვნილია სახლებში ენერგოდამზოგველი ინვესტიციების

დასაფინანსებლად. ანტვერპენის მაცხოვრებლებისთვის სესხის მოცულობა შესაძლოა, იყოს 10 000 ევრომდე თითო მაცხოვრებელი ერთეულისთვის და 50 000 ევრომდე მრავალბინიანი მაცხოვრებელი სახლის მესაკუთრეთათვის. მაცხოვრებლებისთვის, რომელთაც სურთ, რომ მათი სახლი იყოს უფრო მეტად ეკოლოგიურად უსაფრთხო, ასეთი სესხები მიზიდველ გარიგებას წარმოადგენს, რადგან მათ აქვთ დაბალი ან საერთოდ ნულოვანი საპროცენტო განაკვეთი და მათი დაფარვის პერიოდი შეადგენს 60 თვეს. 2012 წლის მაისისთვის გაცემულ იქნა 1 500 მწვანე სესხი.

კვლევებმა აჩვენა, რომ კამპანია „გაადიდე შენი სახურავის გამოსახულება“ პოპულარობით სარგებლობს ანტვერპენის მაცხოვრებლებში. პროექტის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა იზოლაციის გრანტებზე, სკანირებასა და ენერგოკრედიტებზე, ხოლო თერმომოგრაფიული რუკა არის ბრწყინვალე მექანიზმი ქალაქის დონეზე გარემოსდაცვითი პოლიტიკის მხარდაჭერისა და სრულყოფისთვის. მთლიანობაში გაკეთდა 423 603 მ² სახურავის იზოლაცია, რაც წარმოადგენს სწორ საფუძველს 2020 წლისთვის ქალაქის ყველა მაცხოვრებლისთვის თბილი სახლის უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად. ქალაქმა გადაწყვიტა გაემორებინა ეს პროექტი 2013-2014 წლებში, ამჯერად ტექნიკური გაუმჯობესების მიმართულებით, როგორცაა შენობის სიმყარის გაუმჯობესება. ახლა უკვე ბელგიის სხვა ქალაქები, ისევე როგორც საფრანგეთის ხუთი ქალაქი და გერმანიის ერთი ქალაქი, მიჰყვებიან ანტვერპენის მაგალითს ნიშნად იმისა, რომ ევროპის ზოგიერთ ნაწილში დეკემბერში ნახშირის მიწოდება შემცირდება.

საკონტაქტო პირი

ლუკ რედიგი, პროექტის კოორდინატორი, ქალაქი ანტვერპენი (ბელგია)
luc.redig@stad.antwerpen.be

იცოდით თუ არა, რომ



2019 წელს ენერჯის საყოფაცხოვრებო მოხმარება მოდიოდა ძირითადად გათბობაზე და შეადგენდა ენერჯის საბოლოო მოხმარების 64%-ს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა შევამციროთ ენერჯის ხარჯვა.



ვენტსპილსის სამუსიკო სკოლა და საკონცერტო დარბაზი – ვენტსპილსი (ლატვია)



მოსახლეობა: 37 571

პროექტის „ვენტსპილსის სამუსიკო სკოლისა და საკონცერტო დარბაზისთვის დაბალი ენერგომოხმარების შენობის მშენებლობა“ შედეგად, გაფრქვევებთან დაკავშირებული აუქციონის მექანიზმის საშუალებით დაფინანსებული პროექტების დია ტენდერის ფარგლებში, ქალაქმა უნიკალური შენობა შეიძინა. ვენტსპილსის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ახლა თანამედროვე შენობაში მუშაობენ, რომელიც დაპროექტდა და აშენდა სასწავლო პროცესის მიზნების გათვალისწინებით. სკოლასთან ფუნქციონირებს აკუსტიკური საკონცერტო დარბაზი „Latvija“.

პროექტის საგანმანათლებლო და სახელოვნებო ღირებულების გარდა, შენობა გამოირჩევა 13 დაბალი ენერგომოხმარების გადაწყვეტილებით, რაც მას ლატვიაში ეკოლოგიურად ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო შენობად აქცევს.

- ▶ ენერჯის მაღალეფექტური აღდგენა სავენტილაციო სისტემაში: ხდება ჰაერის გასათბობად გამოყენებული ენერჯის 85%-მდე აღდგენა.
- ▶ დეცენტრალიზებული სავენტილაციო სისტემა: არარეგულარულად გამოყენებადი ოთახები აღჭურვილია მექანიკური ვენტილაციის მოწყობილობებით, რომლებიც უზრუნველყოფს გათბობას და გაგრილებას ოთახში არსებული CO₂-ის დონის შესაბამისად.
- ▶ ჰიბრიდული ვენტილაცია: დაბალინტენსიური გამოყენების დროს დიდ დარბაზში, მცირე დარბაზში და ფოიეში ხდება მექანიკური ვენტილაციის ნაცვლად ბუნებრივი ვენტილაციის გამოყენება. ბუნებრივი ჰაერის ნაკადების მიწოდება სისტემაში ხდება გეოთერმული არხებით, სადაც ზამთარში ჰაერი თბება, ზაფხულში კი გრილდება. ეს მეთოდი იძლევა როგორც გათბობისთვის, ისე გაგრილებისთვის ენერგომოხმარების შემცირების საშუალებას.
- ▶ მაღალეფექტური თბოიზოლაციის გადაწყვეტილებები: შენობის გარე კედლები, სახურავი და იატაკი აგებულია პასიური შენობის

პრინციპების დაცვით. შენობაში შეძლებისდაგვარად თავიდან იქნა აცილებული თბოხილები. გარე კედლები აშენდა მასიური სამშენებლო მასალების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს თერმული ინერციის გამოყენებას.

- ▶ მალაღებეექტური ფანჯრები: სამშრიანი ფანჯრები უზრუნველყოფს სითბოს მინიმალურ დანაკარგს.
- ▶ სახურავის ფანჯრები უზრუნველყოფს მთავარი დარბაზის ბუნებრივ განათებას, რაც ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას დღის საათებში.
- ▶ კონტროლის ჭკვიანი სისტემა უზრუნველყოფს შენობის ზუსტ და ლოგიკურ კონტროლს და ასევე მოხმარებელთა საჭიროებებზე სწრაფად მორგებას.
- ▶ კლიმატის და დროის საინფორმაციო სისტემები: საინფორმაციო ეკრანებზე ნაჩვენებია ტემპერატურა, CO₂-ის დონე, ტენიანობა და დრო.
- ▶ ჟალუზების კონტროლის სისტემა: ეს სისტემა მუშაობს კლიმატისა და განათების მაკონტროლებელ სისტემასთან ერთად და აკონტროლებს შენობაში არსებულ განათებასა და მიკროკლიმატს დღის სინათლიდან და ჰორიზონტთან მიმართებაში მზის მდებარეობიდან გამომდინარე.
- ▶ „ციფრულად მართვადი განათების ინტერფეისი“-ს (DALI) განათების კონტროლის სისტემა იძლევა შენობის შიდა და გარე განათების ავტომატურად და ხელით კონტროლის შესაძლებლობას.
- ▶ კლიმატის კონტროლის სისტემა: ფოიეში დამონტაჟებულ ორ ეკრანზე გამოტანილია ინფორმაცია რეალურ დროში ენერგოეფექტურობის პარამეტრების, ენერგიის მოხმარების და შენობის შიგნით და გარეთ არსებული კლიმატური პირობების შესახებ.
- ▶ ენერგიის მოხმარების ადრიცხვის სისტემები: წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარების დისტანციურად ადრიცხვა.
- ▶ სითბური ტუმბოების სისტემა: სითბური ტუმბოების საშუალებით მიწოდებული გეოთერმული ენერგია არის შენობის გათბობისა და გაგრილების სისტემებისთვის ენერგიის ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

საკონტაქტო პირი

რაილო ბლუმბერგის, საინვესტიციო განყოფილების ხელმძღვანელი,
ვენტსპილისის ქალაქის საბჭოს დაწესებულება "Komunālā pārvalde" (ლატვია)
+371/63 62 42 69
kom.parvalde@ventspils.lv



ენერგოეფექტური კულტურული მემკვიდრეობის შენობები – ტამპერე (ფინეთი)³⁴



მოსახლეობა: 343 625

ტამპერე ახორციელებს დონისძიებებს, რათა ქალაქში არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენობები უფრო ენერგოეფექტური გახდეს, და ამავდროულად ესმარება ახალგაზრდებს ამ სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ტექნიკური უნარების შექნაში. მაცხოვრებლებისთვის იმის ჩვენებით, რომ ასეთი შენობები შეიძლება გახდეს უფრო ენერგოეფექტური, ქალაქი ქმნის სამუშაო ადგილებს გადაშვადებული ახალგაზრდებისთვის და ასევე იმის საშუალებას, რომ ხანდაზმულ მაცხოვრებლებს შეეძლოთ თავიანთ სახლებში უფრო დიდხანს დარჩენა.

ფინეთის ეროვნული რეგულაციის თანახმად, სახლის ნებისმიერი მსხვილმასშტაბიანი რემონტი ასევე უნდა გულისხმობდეს შენობის ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფასაც. ეს სირთულეებს უქმნის ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ ტამპერეს კულტურული მემკვიდრეობის შენობებში. იმისთვის, რომ მათ გააგრძელონ დამოუკიდებლად ცხოვრება ასეთ შენობებში, ხშირად საჭიროა, რომ ისინი უფრო ხელმისაწვდომი და უფრო ადვილად მოსავლელი იყოს, მაგალითად, აბაზანის ან ტუალეტის ფართის გაზრდის გზით. თუმცა, ენერგოეფექტურობის ეს დამატებითი დონისძიებები რთულად განსახორციელებელია კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობის და ასევე იმის გამო, რომ თანამედროვე მასალები ყოველთვის არ არის თავსებადი კულტურული მემკვიდრეობის შენობებთან. ასევე რთულია ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეს ძველი შენობები გახდეს უფრო ენერგოეფექტური და, ამავდროულად, შენარჩუნებულ იქნეს მათი ღირებულება. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, რომელთა წინაშეც ხანდაზმულები დგანან, კულტურული მემკვიდრეობის შენობების ყველა მაცხოვრებელს უწევს ენერჯის მაღალი

გადასახადების გადახდა, ხოლო არაენერგოეფექტური შენობები უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე. ტამპერეს ახალგაზრდა მაცხოვრებლებს ურჩევნიათ ახალ შენობებში ცხოვრება; თუმცა, ახალი საცხოვრებელი შენობების აშენება უფრო მეტ ნარჩენებს ქმნის, ვიდრე ძველის გარემონტება.

თავდაპირველად შეიქმნა პროექტი „ტამპერეს რეგიონის შენობების კულტურული მემკვიდრეობა“ (Tampere Region Building Heritage). პროექტის ფარგლებში ორგანიზაციები, სკოლები, სასწავლო ცენტრები, დარგის პროფესიონალები და საწარმოები გაერთიანდნენ, რათა ეპოვათ ახალი გზები, თუ როგორ შეიძლებოდა კულტურული მემკვიდრეობის შენობების გარემონტება ისე, რომ არ დაკარგულიყო მათი ღირებულება. პროექტს ხელმძღვანელობდა Ekokumppanit Oy (EcoFellows Ltd), ქალაქ ტამპერეს თანამფლობელობაში არსებული არაკომერციული ორგანიზაცია. პროექტის აქტივობები მოიცავდა შემდეგს: გამოფენებს და სამუშაო შეხვედრებს მაცხოვრებლების წახალისების მიზნით, შენარჩუნებინათ კულტურული მემკვიდრეობის შენობები; სხვადასხვა გადაწყვეტილების ჩვენებას და ძველი სახლების ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლებას; ონლაინ მონაცემთა ბაზების წარმოებას სხვადასხვა მეთოდთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლებოდა კულტურული მემკვიდრეობის შენობების ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფა, აგრეთვე მაცხოვრებლებისთვის იმის სწავლებას, თუ როგორ შეესრულებინათ მცირემასშტაბიანი სარემონტო სამუშაოები, როგორცაა, მაგალითად, ფანჯრების ჰერმეტიზაცია.

2013 წელს დაახლოებით 1 262 ადამიანი დაესწრო სხვადასხვა შეხვედრასა და ღონისძიებას, ხოლო ონლაინ მონაცემთა ბაზას თვეში დაახლოებით 1000 მომხმარებელი სტუმრობდა. ამ პროგრამის შედეგად კულტურული მემკვიდრეობის სახლების მაცხოვრებლები უკეთ არიან ინფორმირებულნი, თუ როგორ შეასრულონ სარემონტო სამუშაოები, და მათ ასევე შეუძლიათ კვალიფიციური მუშახელის მოძიება. ეს საშუალებას აძლევს მათ, პანსიონატებში გადასვლის ნაცვლად დარჩნენ საკუთარ სახლებში, რაც აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს და ასევე ზოგავს სახელმწიფოს ინსტიტუციური ზრუნვის ხარჯებს.

საკონტაქტო პირი

საცხოვრებლის მართვის დეპარტამენტი, ქალაქი ტამპერე (ფინეთი)
+358/356 56 11
asuntotoimi@tampere.fi



ენერგოეფექტური განათების დაყენება იომას ქუჩაზე – იურმალა (ლატვია)



მოსახლეობა: 49 687

2019-2021 წლებში იურმალას ქალაქის საბჭომ განახორციელა „რეგიონთაშორისი ბალტიის ზღვის რეგიონის“ (Interreg Baltic Sea Region) პროგრამის 2014-20 წლების პროექტი „LUCIA“. პროექტის ფარგლებში ერთობლივად მუშაობდა 11 პარტნიორი ბალტიის ზღვის რეგიონის შვიდი ქვეყნიდან. პროექტი დაეხმარა ბალტიის ზღვის რეგიონის მუნიციპალიტეტებს ენერგოეფექტური ურბანული განათების მოწყობის უზარმაზარი პოტენციალის გამოყენებაში. პროექტის პარტნიორებმა დაამონტაჟეს თანამედროვე LED განათება ბალტიის ზღვის რეგიონის ექვს ქალაქში, მისი პოტენციალის მატერიალურად გამოყენების მიზნით. პროექტის საპილოტე ქალაქები იყო: ალბერტსლუნი (დანია), ჰამბურგი (გერმანია), იურმალა (ლატვია), ჰორვოო (ფინეთი), სანქტ-პეტერბურგი (რუსეთი) და ტალინი (ესტონეთი). იურმალაში განათება განახლდა დაახლოებით 1 კმ. სიგრძის მონაკვეთზე იომას ქუჩაზე, რომელიც არის ცენტრალური საფეხმავლო ქუჩა. 2021 წლის სექტემბერში შეიცვალა ქუჩის განათების 100-მდე ნათურა და დამონტაჟდა მოძრაობის ჭკვიანი სენსორები.

იურმალას ცენტრალური საფეხმავლო ქუჩა – იომას ქუჩა, არის შეხვედრებისთვის, ფეხით სიარულისა და რეკრეაციისთვის საყვარელი ადგილი ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის. ქუჩას ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი სტუმრობს. ამ ქუჩაზე მდებარეობს უამრავი კაფე და რესტორანი, ასევე ხელმისაწვდომია სხვა სერვისებიც. სივრცის (საპილოტე ტერიტორიის) მანასიათებლები არის შემდეგი:

- ▶ დაახლოებით 1.1 კმ. საფეხმავლო მარშრუტი;
- ▶ საფეხმავლო მარშრუტი იომას ქუჩაზე მდებარეობს ქალაქის ცენტრში, მაჯორის რკინიგზის სადგურთან ახლოს;
- ▶ ყოველწლიურად იმართება იომას ქუჩის ფესტივალი საფეხმავლო ქუჩის პატივსაცემად;
- ▶ ამ საფეხმავლო ქუჩაზე გადაადგილებიან ტურისტები და ქალაქ იურმალას მაცხოვრებლები, რადგან იქ მდებარეობს ბევრი კაფე, რესტორანი და სასტუმრო.

ამჟამად, საფეხმავლო ქუჩაზე არის 109 გარე განათების ბოძი არაეფექტური და ძველი განათებით (70 ვატიანი 3Na ნათურებით). აქედან გამომდინარე, საპილოტე სივრცის პროექტის მიზნებია:

- ▶ იომას ქუჩა უფრო მიმზიდველი გახდეს მაცხოვრებლებისა და ტურისტებისთვის;
- ▶ ჭკვიანი განათების დამონტაჟება;
- ▶ ენერგოეფექტურობის გაზრდა ძველი განათების შეცვლის გზით.

პროექტისთვის იომას ქუჩა შეირჩა ქალაქ იურმალას განვითარებისთვის მისი მნიშვნელობის გამო. ქუჩის განათების გაუმჯობესება სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ ქალაქის მაცხოვრებლებს, არამედ ტურისტებსაც. იომას ქუჩა იურმალას ერთ-ერთი უძველესი და ცენტრალური ქუჩაა რესტორნებით, საზაფხულო ტერასებით, სასტუმროებითა და ცოცხალი მუსიკის მქონე კაფეებით. ნათურები 109 გარე განათების ბოძზე შეიცვლება ენერგოეფექტური LED ნათურებით და დამონტაჟდება მოძრაობის სენსორიანი განათების მაკონტროლებლები. მოძრაობის სენსორები გააკონტროლებენ განათების ინტენსივობას ფეხით მოსიარულეთა მოძრაობისა და ნაკადის შესაბამისად და დაზოგავენ ელექტროენერჯის, როდესაც ქუჩა იქნება ცარიელი. იურმალას ქალაქის საბჭო გააგრძელებს ინვესტიციის განხორციელებას პროექტის დასრულების თარიღიდან მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში, რადგან იურმალას ქალაქის საბჭო ფლობს მიწას და ინფრასტრუქტურას დაგეგმილი პროექტის საპილოტე ადგილზე, იომას ქუჩაზე. მთლიანი განათების ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მომსახურებას და მართვას ახორციელებს მუნიციპალური განათების კომპანია „Jūrmalas gaisma Ltd.“, შესაბამისად, მდგრადობა საპილოტე პროექტის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილია.

საკონტაქტო პირი

იევა შპონბერგა, ტურიზმისა და ბიზნესის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, იურმალას ქალაქის საბჭო
+371/26 39 93 42
ieva.sponberga@jurmala.lv
დამატებითი ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია პროექტის ვებგვერდზე: <https://lucia-project.eu/>



ჭკვიანი და მდგრადი ქუჩები – ვალენსია (ესპანეთი)³⁵

 მოსახლეობა: 834 000

პროექტების „ჭკვიანი ქალაქი ვალენსია“ (Smart City Valencia) ფარგლებში ქალაქმა შეიმუშავა პროექტი, რომლის მიზანია დაახლოებით 194 შენობისა და მუნიციპალური ობიექტის უფრო თანამედროვე და ეფექტური მართვა. ყველა ამ მუნიციპალურ სივრცეში გათვალისწინებულია შიდა და გარე გარემოს სენსორების დაყენება, რომელიც იძლევა ატმოსფერული ჰაერის და განათებით დაბინძურების, ტემპერატურის, ტენიანობის და ა.შ. მონიტორინგის საშუალებას. გარდა ამისა, დამონტაჟდება ენერჯისა და წყლის მოხმარების სენსორები ენერგოეფექტურობისა და ეკონომიკური დაზოგვის უზრუნველსაყოფად.

კერძოდ, ეს ინიციატივა მოიცავს სპორტული დანიშნულების შენობებს, მუნიციპალურ მუზეუმებს, ბაზრებსა და სკოლის შენობებს. პროექტში ჩართული იქნება 58 სპორტული დანიშნულების შენობა, რაც უზრუნველყოფს მათ უკეთ მართვას შემდეგი მიმართულებებით: ტექნიკური მომსახურება, მოედნისა და აქტივობების დაჯავშნა, ხელმისაწვდომობის მონიტორინგისთვის დაკავებულობის მაჩვენებელი სენსორების დამონტაჟება, რაც გააუმჯობესებს შეთავაზებულ მომსახურებას და უზრუნველყოფს მეტ ხელმისაწვდომობას და კომფორტს მომხმარებლებისთვის. პროექტით გათვალისწინებულია ბილეთების ონლაინ გაყიდვის პლატფორმისა და შინაარსის ჩვენების დინამიკური სისტემის დამონტაჟება და ასევე გეოლოკაციასა და აუგმენტურ რეალობასთან დაკავშირებული მომსახურების დანერგვა 22 მუზეუმისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის. 16 მუნიციპალურ ბაზართან მიმართებით იგეგმება ახალი მომსახურების შეთავაზება ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რითაც ისარგებლებენ როგორც მომხმარებლები, ასევე გამყიდველები და მენეჯერები. ასევე, 98 საჯარო სკოლა ისარგებლებს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების პლატფორმით საგანმანათლებლო საზოგადოებისთვის, რომელიც მოიცავს მომსახურებას როგორც ონლაინ, ისე აპლიკაციის (ქალაქის აპლიკაციის) საშუალებით. გარდა ამისა, პროექტში ჩართვა შეუძლიათ ასევე კერძო სკოლებსაც.

საკონტაქტო პირი

სანდრა გომეს ლოპესი, მრჩეველი ურბანული დაგეგმარების საკითხებში,
ქალაქი ვალენსია (ესპანეთი)

+34/962 08 41 47

Contacta.vlci@valencia.es



ხეების კარტოგრაფირება – ბილა ცერკვა (უკრაინა)³⁶



მოსახლეობა: 209 238

ბილა ცერკვას მუნიციპალიტეტი ძალისხმევას არ იშურებს იმისთვის, რომ შექმნას უსაფრთხო, მწვანე და კომფორტული საცხოვრებელი გარემო თავისი მოქალაქეებისთვის და ასევე უფრო მეტად გააცნოს მაცხოვრებლებს ქალაქის მწვანე გარემო და ინფრასტრუქტურა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ქალაქის გამწვანებული ტერიტორიების ინოვაციური ინტერაქტიური რუკის „Smart Green Bila Tserkva“ შექმნა. რუკა ხელმისაწვდომია როგორც პერსონალურ კომპიუტერებზე, ისე სმარტფონის აპლიკაციის სახით.

რუკაზე მომხმარებლებს შეუძლიათ ნახონ ხის „პასპორტი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხის სახეობის, ასაკისა და მდგომარეობის შესახებ და ასევე ფოტოს. ეს იძლევა რეესტრში ხეების მარტივად დამატების საშუალებას და ხელს უწყობს მიმდინარე და გრძელვადიანი გამწვანების გეგმების შემუშავებას. ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად რთავს მოქალაქეებს გამწვანების ღონისძიებებში, რათა მათ ერთობლივად გახადონ გარემო უფრო კომფორტული ყველასთვის.

საკონტაქტო პირი

„Smart green БЛ“, ქალაქი ბილა ცერკვა, შეპტირკოგოს ქ. 2

+380/456 39 94 82

djkg@bc-rada.gov.ua



11. ერთი ხე ერთი დაბადება – ქალაქი მონაკო (მონაკო)



მოსახლეობა: 38 350

ტყის აღდგენის პროგრამა, რომლის განხორციელებაც დაიწყო 2008 წელს მუნიციპალური საბჭოს ინიციატივით, განასახიერებს მონაკოს მერიის გარემოსდაცვით პოლიტიკას. ეს პროექტი არის გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) და მისი აღმატებული პრინც ალბერ II-ის მიერ დაფინანსებული კამპანიის „დარგე პლანეტისთვის“ (Plant for the Planet) ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ერთი მილიარდი ხის დარგვას.

პროექტის პრინციპი მარტივია: სამთავროში ბავშვის დაბადების ყოველ რეგისტრაციაზე მონაკოს მერია იღებს ერთი ხის დარგვის ვალდებულებას მონაკოსთან ახლოს (კუპ დეი, ლა ტურბი და ა.შ.). საფრანგეთის ეროვნულ სატყეო სამსახურთან და მეზობელ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, ყოველ წელს დაირგვება იმდენი ხე, რამდენი ბავშვიც დაიბადება წინა წელს.

2020 წელს პროექტის ფარგლებში მერიამ დარგო 12 000-ზე მეტი ხე.

საკონტაქტო პირი

ჟერომ ბონინი, ვაჭრობის, ადმინისტრაციული ნაგებობებისა და ბაზრების კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელი, ქალაქი მონაკო
jbonnin@mairie.mc



- **წახალისეთ** ენერგოეფექტურობა როგორც საცხოვრებელ სახლებში, ისე საზოგადოებრივ შენობებში, განახლებისა და უკეთესი იზოლაციის გაკეთების გზით.
- **ხელი შეუწყვით** ენერგოეფექტურობას როგორც საცხოვრებელ სახლებში, ისე საზოგადოებრივ შენობებში, განახლებისა და უკეთესი იზოლაციის გაკეთების გზით.
- **აირჩიეთ** ისეთი კონტრაქტორები, რომლებიც იყენებენ მდგრად მასალებს, როგორცაა ნახშირბადნეიტრალური ცემენტი, და აშენებენ მდგრად შენობებს ძველი შენობების მასალების ხელახლა გამოყენებით.
- **გაზარდეთ** გამწვანება თქვენს მუნიციპალიტეტში ან რეგიონში ხეების დარგვის და პარკების გაშენების ან გაფართოების გზით.
- **წახალისეთ** სახურავებზე ბალების მოწყობის პროექტები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება შენობის მაცხოვრებლებისთვის არა მხოლოდ ჩვეულებრივი მცენარეების დასარგავად, არამედ ასევე ფუტკრების მოსაშენებლად ან საკვები პროდუქტების მოსაყვანად, რათა მოახდინოთ სახლში მოყვანილი და ადგილობრივი საკვები პროდუქტის პოპულარიზაცია.
- **განავითარეთ** ხელმისაწვდომი საკვები პროდუქტების მომყვანი ობიექტები, რომლებიც მოიხმარენ განახლებადი ენერჯის წყაროებს, როგორცაა LED განათება რომელიც იკვებება მზის პანელებიდან.
- **განაახლეთ** შენობები მეტი გამწვანების უზრუნველყოფით, მაგალითად, შენობების გარე კედლებზე მცენარეების გაშენებით, ან ქალაქის ცენტრებში მეტი გამწვანებული სივრცეების მოწყობით.
- **წახალისეთ** ფეხით მოსიარულეთათვის მოსახერხებელი გზების მოწყობა – მეტი ხე და ნაკლები მანქანა გზებს უფრო სასიამოვნოს ხდის როგორც გარემოსთვის, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის.



დასაქმება, ჩართულობა და მდგრადი ეკონომიკა

განმარტება

მწვანე ეკონომიკა ქმნის უკეთეს სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს სოციალურ ჩართულობას და სიღარიბის დაძლევას. მწვანე ეკონომიკა განიმარტება როგორც „ეკოლოგიურად სუფთა, რესურსეფექტური და სოციალური ჩართულობის მქონე ეკონომიკა“.³⁷ დასაქმებაც და სოციალური ჩართულობაც სრულად უნდა იყოს დაკავშირებული მდგრადი განვითარების სტრატეგიებთან. დასაქმება არის არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ გარემოსდაცვითი გამოწვევაც. მდგრადი ეკონომიკის შექმნა ნიშნავს სამუშაო ადგილების შექმნას უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს ყველა ადამიანს. მდგრადი ეკონომიკა დაფუძნებულია ადგილზე და ეყრდნობა საჯარო და კერძო პარტნიორობას, რომლის საერთო მიზანსაც წარმოადგენს ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა ყველასთვის, საერთო კეთილდღეობით.

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში წარმოდგენილი ყველა პრაქტიკა ეხება დასაქმების შესაძლებლობების შექმნას და, ზოგადად, კლიმატთან დაკავშირებულ ისეთ ინიციატივებს, რომლებიც მოიცავს საზოგადოების ყველა წევრს, მათ შორის, ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებულ წევრებსაც, და, მაგალითად, მწვანე სამუშაო ადგილებს.

იცოდით თუ არა, რომ



მწვანე ზრდის ცნება

მწვანე ზრდა ნიშნავს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ხელშეწყობას და, ამავდროულად, ჩვენივე კეთილდღეობისთვის, რესურსებისა და გარემოსდაცვითი მომსახურების უზრუნველყოფას. მწვანე პოლიტიკის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილი და, ამავდროულად, დავიცვათ გარემო.

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილები შეიძლება დაიკარგოს ზოგიერთ დარგში, მათ ნაცვლად გამოჩნდება ახალი შესაძლებლობები. მაგალითად, ყველა სამუშაო ადგილის ნაცვლად, რომელიც გაუქმდება ენერგოინტენსიურ და დამაბინძურებელ მრეწველობაში, შექმნება სამუშაო ადგილები ახლად განვითარებულ მწვანე სექტორებში, როგორიცაა განახლებადი ენერჯია.



მოსახლეობა: 174 383

გარემოს გაუმჯობესება შეიძლება იქცეს სამუშაო ადგილების შექმნის წყაროდ. ამ მიზნის მისაღწევად ბრიუსელის მთავრობამ 2010 წელს დააფუძნა „დასაქმებისა და გარემოს ალიანსი“ (Alliance Emploi-Environnement), რომელიც წარმოადგენს მონაწილეობით და ინტეგრირებულ მიდგომას, რომლის მიზანია გაარემოს გაუმჯობესების, როგორც ბრიუსელის მაცხოვრებლებისთვის ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის მამოძრავებელი ძალის, ხელშეწყობა.

ალიანსმა მხარი დაუჭირა 200 ინიციატივის შემუშავებას ოთხ პერსპექტიულ ეკონომიკურ სექტორში: მდგრადი მშენებლობა (2011 წლიდან), წყალი (2012 წლიდან), მდგრადი სურსათი და რესურსები და ნარჩენები (2013 წლიდან). ალიანსისთვის გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 23 მილიონ ევროს მისი განხორციელების ოთხი წლის განმავლობაში (2011-2014 წწ.). მდგრადი მშენებლობის, წყლის, რესურსების, ნარჩენებისა და მდგრადი სურსათის მიმართულებებისთვის ამ ბიუჯეტიდან, შესაბამისად, გათვალისწინებული იყო 60%, 20%, 10% და 10%. ალიანსის სამი მთავარი ამოცანაა:

- ▶ ბრიუსელის მაცხოვრებელთათვის სამუშაო ადგილების შექმნა, მათ შორის, ნაკლებად კვალიფიციური პირებისთვის;
- ▶ ბრიუსელის ეკონომიკის გამოცოცხლება ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების კუთხით გარკვეული პერსპექტიული სექტორების სტიმულირებით და მათი განვითარების მხარდაჭერით, რათა ეს სექტორები გახდეს მეტად მდგრადი და კონკურენტუნარიანი; და
- ▶ ბრიუსელის რეგიონში გარემოსდაცვითი ბალანსის გაუმჯობესება.

ალიანსის მიერ 2014 წლის ბოლოს/2015 წლის დასაწყისში განხორციელებულმა შეფასებამ გამოავლინა დასახული მიზნების შესაბამისობა და დაწყებული დინამიკის სარგებლიანობა, ასევე სხვადასხვა სუბიექტის ზოგადი სურვილი, გააგრძელონ ეს ინიციატივა, თუმცა გარკვეული დადებითი ცვლილებებით.

გვერდი 76 ▶ ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების



ადგილობრივი ნარჩენების მართვის ინკლუზიური გეგმა – ჩაჟეტინა (სერბეთი)



მოსახლეობა: 14 745

ღია დიალოგი ნარჩენების ადგილობრივი მართვის მიდგომებთან დაკავშირებით იძლევა მაცხოვრებლებისა და ტურისტების ჩართვისა და მათი იდეების გათვალისწინების საშუალებას. ჩაჟეტინას მუნიციპალიტეტმა მოამზადა ნარჩენების მართვის ადგილობრივი გეგმა 2019-2028³⁹ წლებისთვის, რომლის მთავარი მიზანია მუდმივი და მდგრადი პირობების შექმნა მოქალაქეებისა და სტუმრებისთვის ხარისხიანი გარემოს უზრუნველსაყოფად. გეგმას მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს მუნიციპალიტეტის ურბანულ, სოფლის, ტურისტულ და სატრანზიტო დასახლებებში შეგროვებული ყველა სახის ნარჩენების განკარგვის კონცეფციაში. გეგმაში გათვალისწინებული იყო ჩაჟეტინას მუნიციპალიტეტის ყველა სპეციფიკური მახასიათებელი და ბევრ დაინტერესებულ ჯგუფთან, მაცხოვრებელთან და ტურისტთან ჩატარებული ღია დიალოგის ფარგლებში მიღებული წინადადებები.

ჩაჟეტინას მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია ნარჩენების პრევენცია, ყველა სახის ნარჩენების უსაფრთხო მართვა და ნარჩენების, როგორც რესურსის, ხელახლა გამოყენება. ცვლილებები, რომლებსაც ეს გეგმა იწვევს, ეხება კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, კომუნალური აღჭურვილობის შესყიდვას, ტექნოლოგიური პროცედურების შემუშავებას ყველა სახის ნარჩენების განკარგვის მიმართულებით, ნარჩენების წარმოქმნისა და განკარგვის პროცესში ყველა მონაწილის ჩვევების გათვალისწინებას და ასევე ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობების გადანაწილებას, განსაკუთრებით პირადი პასუხისმგებლობისა და იურიდიული პირების პასუხისმგებლობის ზრდასთან დაკავშირებით. გეგმის შედგენისას პასუხისმგებელმა ჯგუფმა გამოავლინა და გაითვალისწინა ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები. აღნიშნული მოიცავდა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიას,

როგორცაა პენსიონერები, ადგილობრივი მაცხოვრებლები, მოქალაქეთა გაერთიანებები, ქალთა გაერთიანების წარმომადგენლები, ზღატიბორის მთაზე მდებარე სასტუმროებისა და რესტორნების წარმომადგენლები, ადგილობრივი თემების წარმომადგენლები, ხორცის გადამამუშავებელი და ხორცპროდუქტების მწარმოებელი საწარმოების წარმომადგენლები, დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეები და ასევე სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლები. თითოეული სამუშაო შეხვედრის დროს გამოვლენილ იქნა ახალი შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ რას ფიქრობდნენ მოქალაქეები ნარჩენების მართვის არსებულ სისტემასთან და ასევე წარმოშობის ადგილზე მუნიციპალური ნარჩენების პირველად გადარჩევასთან დაკავშირებით. ყველა შეგროვებული მონაცემი ქმნიდა სერიოზულ საფუძველს გეგმის შემუშავებისთვის. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ძალიან აქტიურობდა დისკუსიებში მათი ტერიტორიებიდან ნარჩენების შეგროვების საკითხებზე, რამაც ხელი შეუწყო გეგმის შემუშავებას, რომელიც ითვალისწინებს ნარჩენების შეგროვების და წარმოშობის ადგილზე ნარჩენების პირველადი გადარჩევის ორ განსხვავებულ პროცესს, კერძოდ, ერთს სოფლად, ხოლო მეორეს – ურბანულ გარემოში. გეგმის პროექტი წარედგინა ადგილობრივი თემების და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს, საჯარო სექტორის თანამშრომლებს, სასკოლო ასაკის ბავშვებს, ასევე კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის „Zlatibor“ თანამშრომლებს, რომელიც ახორციელებს საქმიანობის დიდ ნაწილს. ნარჩენების მართვის ადგილობრივი გეგმის მიღების შემდეგ მომზადდა ბროშურა,⁴⁰ რომელშიც შეჯამებული იყო აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსი, და ის დაურიგდა კომუნალური მომსახურების ყველა მომხმარებელს, ნარჩენების მართვის სფეროში მიღებულ ახალ გეგმასთან ერთად.

საკონტაქტო პირი

ვერა ბლაგოჟევიჩი, კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელი, კომპანია „JKP Zlatibor“, ჩაუტინა (სერბეთი)
vera.blagojevic1983@gmail.com



ნელი ქალაქის⁴¹ სამეზობლო პროგრამა – იზმირი (თურქეთი)



მოსახლეობა: 3 024 000

„ნელი ქალაქის სამეზობლო პროგრამა“ (Cittaslow Neighbourhood Programme), რომელიც შემუშავდა იზმირის დიდ მუნიციპალიტეტთან და „ნელი ქალაქების საერთაშორისო ასოციაციასთან“ ერთად, მიზნად ისახავს დიდ ქალაქებში ძირითადი საქონლისა და მომსახურების დეცენტრალიზაციას და უბნების უფრო მეტი მდგრადობის და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. პროგრამის მიზანია ნელი ქალაქის კონცეფციის დამკვიდრება დიდ ქალაქებში, სადაც ადამიანები შეძლებენ ისიამოვნონ ცხოვრებით, შეხვდნენ ერთმანეთს, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ და სპორტულ აქტივობებში და ჰქონდეთ ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრება. COVID-19-ის პანდემიამ გამოავლინა მრავალი სისტემისა და სტრუქტურის შეუსაბამობა. პანდემიამ გამოავლინა ურბანული ცხოვრებისა და სტრუქტურის ცენტრალურობა, ყოველდღიურად თავის გასატანად დიდი მანძილების გავლის აუცილებლობა და ადამიანებზე ორიენტირებული გამწვანებული და საჯარო სივრცეების უკმარისობა. „ნელი ქალაქის სამეზობლო პროგრამა“ დაიწყება იზმირის სამ საპილოტე უბანში. იზმირის დიდი მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და მოსახლეობასთან.


„ნელი ქალაქის სამეზობლო პროგრამას“ აქვს ხუთი ძირითადი მიზანი.

- ▶ სამოქალაქო ჩართულობა: გათვალისწინებულია, რომ უბნის მაცხოვრებლებმა მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არამედ ურბანულ დაგეგმარებაშიც. აუცილებელია თითოეული მოქალაქის მონაწილეობის უზრუნველყოფა კულტურულ, სახელოვნებო და სპორტულ ღონისძიებებში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
- ▶ ინტერაქცია: საჯარო სივრცეები გადაკეთდება ისე, რომ უბნის მაცხოვრებლებმა შეძლონ ერთმანეთთან შეხვედრა და ღონისძიებების მოწყობა.

- ▶ **ჯანმრთელობა და უსაფრთხოება:** უბნები გახდება უფრო უსაფრთხო, მაცხოვრებლების მიერ უსაფრთხოების აღქმის შესაბამისად, და ამალდება ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები ჰოლისტიკური და პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკის მეშვეობით.
- ▶ **ქალაქის იდენტობა:** გაძლიერდება ქალაქის ურბანული იდენტობა, სოციალური ერთიანობის გაზრდისა და სოციალური ცნობიერების გავრცელების მიზნით. საჯარო სახელოსნოების საშუალებით, სადაც წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი პროდუქცია და სადაც დაფუძნდებიან ტრადიციული ხელობის ოსტატები, უბნის სული და ტრადიციები ახალ თაობებს გადაეცემა.
- ▶ **მრავალფუნქციურობა:** ერთი ფუნქციის მქონე უბნები გარდაიქმნება უბნებად, სადაც იქნებიან ვაჭრები და იქნება დასაქმების შესაძლებლობები და რომლებსაც ექნებათ კულტურული, სახელოვნებო და სპორტული ფუნქციები და ხალხისთვის ხელმისაწვდომი იქნება ძირითადი საქონელი და მომსახურება.

საკონტაქტო პირი

მერტ თურკბენი, იზმირის დიდი მუნიციპალიტეტი (თურქეთი)
 +90/53 17 79 34 10
 mertturkben@izmir.bel.tr

 **კლიმატის ალიანსი ბადენ-ვიურტემბერგის რეგიონსა და კომპანიებს შორის მწვანე და მდგრადი ეკონომიკის შექმნის მიზნით – ბადენ-ვიურტემბერგი (გერმანია)**

 **მოსახლეობა: 11 070 000**

კლიმატის დაცვა 21-ე საუკუნის მთავარი გლობალური გამოწვევაა. ეკონომიკას განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა აქვს. როგორც ევროპის ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ რეგიონს, ბადენ-ვიურტემბერგს სურს, იყოს ნოვატორი კლიმატის დაცვის მიმართულებით „ბადენ-ვიურტემბერგის კლიმატის ალიანსის“ (Baden-Württemberg Climate Alliance) საშუალებით, რომელიც წარმოადგენს პარტნიორობას სახელმწიფოსა და კომპანიებს შორის.

გვერდი 80 ▶ **ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების**


მაგალითად, 2020 წლის 14 ოქტომბერს, ბადენ-ვიურტემბერგის მხარის პარლამენტმა მიიღო „აქტი ბადენ-ვიურტემბერგში კლიმატის დაცვის შემდგომი განვითარების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ცვლილებას კლიმატის დაცვის აქტში და ითვალისწინებს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ კლიმატის დაცვასთან დაკავშირებული შეთანხმებების ხელმოწერას კომპანიებთან, რომელთაც სურთ ამგვარად დააფიქსირონ მათ მიერ კლიმატის დაცვის მიმართულებით გაწეული ძალისხმევა.

აღნიშნული კლიმატის დაცვის შესახებ შეთანხმებები არის „ბადენ-ვიურტემბერგის კლიმატის ალიანსის“ ნაწილი. გარდა ამისა, კლიმატის ნეიტრალიტეტისკენ მიმავალ კომპლექსურ გზაზე კომპანიებს აქვთ მხარდაჭერა თანმხლები კლიმატის დაცვის სტრატეგიით – „კომპანიები იცავენ კლიმატს“.

ბადენ-ვიურტემბერგში მოქმედმა შეძლებისდაგვარად მეტმა კომპანიამ უნდა განახორციელოს კორპორაციული კლიმატის დაცვა სისტემატურად და სტრუქტურირებული ფორმით და მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს სათბურის აირების გაფრქვევები. ყველა კორპორაციული სამიზნე ჯგუფი (დამწყებები, განვითარებული კომპანიები და ნოვატორები) უზრუნველყოფილი არიან ახალი, მათზე მორგებული მხარდაჭერითა და საკომუნიკაციო და ქსელური კონფეფციებით. ამგვარად ხდება მდგრადი და კლიმატ-ნეიტრალური ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა და, ამავდროულად, მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: www.klimabuendnis-bw.de.

საკონტაქტო პირი

შტეფან ბომი, სამართლის მაგისტრი, განყოფილების უფროსის მოადგილე, ევროკავშირი და პეტიციები, ბადენ-ვიურტემბერგის რეგიონული პარლამენტი, Konrad-Adenauer-Straße 3, 70173 Stuttgart +49/(0)711 20 63-357 • stefan.boehm@landtag-bw.de

 მოქალაქეები ინვესტიციას ახორციელებენ განახლებად ენერჯიაში – ეინდჰოვენი (ნიდერლანდები)

 მოსახლეობა: 355 889

ქალაქი ეინდჰოვენი მიიწევს უფრო მდგრადი მომავლისკენ და მიზნად ისახავს ენერგონეიტრალურობის მიღწევას 2045 წლისთვის. ამ ამბიციური მიზნის მისაღწევად ქალაქი ხელს უწყობს, მოტივაციას და შთაგონებას აძლევს მოქალაქეებს განახორციელონ ინვესტიციები განახლებადი ენერჯის ადგილობრივ წარმოებაში. ეინდჰოვენი ახდენს თავისი მოქალაქეების წახალისებას მონაწილეობა მიიღონ განახლებადი ენერჯის მწარმოებელ მოქალაქეთა კოოპერატივებში, როგორცაა რეგიონული კოოპერატივი „MorgenGroeneEnergie“ (მწვანე ენერჯია ხვალ).

„MorgenGroeneEnergie“ დაარსდა 2011 წელს მეზობელ ქალაქ ნუენენში ორი მოქალაქის მიერ. ორ წელიწადში კოოპერატივს უკვე ჰყავდა 500-ზე მეტი წევრი და ის მოიცავდა რამდენიმე მეზობელ ქალაქს (მათ შორის, ეინდჰოვენს). კოოპერატივის წევრები აწარმოებენ ენერჯიას, რომელსაც მოიხმარენ, მცირე ზომის განახლებადი ენერჯის სადგურებზე. კოოპერატივის მოგება ან მარჟა გამოიყენება წევრების ენერჯის გადასახადების შესამცირებლად და ახალი განახლებადი ენერჯის პროექტების დასაფინანსებლად. წევრები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს ახალ პროექტებთან და ინვესტიციებთან დაკავშირებით.

ქალაქი ეინდჰოვენი მჭიდროდ თანამშრომლობს „MorgenGroeneEnergie“ კოოპერატივთან, რათა საშუალება მისცეს თავის მოქალაქეებს, აქტიური როლი შეასრულონ ენერჯის წარმოებასა და მიწოდებაში. ეინდჰოვენის ცენტრში მდებარე ბლიქსემბომის უბნის მაცხოვრებლებმა პირველებმა ისარგებლეს ახალი საგადასახადო წესით, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადების დაქვითვას მომხმარებელთა უბანში კოოპერატივის მიერ წარმოებულ განახლებად ენერჯიაზე. ეინდჰოვენმა პროექტისთვის გამოყო ბლიქსემბომის საზოგადოებრივი ცენტრის სახურავი, რომელზედაც „MorgenGroeneEnergie“-მ მზის პანელები დაამონტაჟა. პროექტი დააფინანსეს ბლიქსემბომის და მიმდებარე უბნების მაცხოვრებლებმა. თითოეულ მაცხოვრებელს ჰქონდა შესაძლებლობა, ეყიდა საზოგადოებრივი ცენტრის სახურავზე დამონტაჟებული 228 მზის პანელიდან ერთი ან რამდენიმე პანელი და, ამგვარად, ეწარმოებინა ის ენერჯია, რომელსაც მოიხმარდა. ეინდჰოვენი მიზნად ისახავს მზის პანელების დამონტაჟებას მეტ სახურავზე ქალაქში და ცდილობს სხვა უბნების მაცხოვრებლების მოტივირებას, განახორციელონ ინვესტიციები მსგავს პროექტებში.

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ეფექტურად შეუწყოს ხელი და

საშუალება მისცეს მოქალაქეებს, განახორციელონ ინვესტიცია განახლებადი ენერჯის წარმოებაში. მას შეუძლია შეამციროს ინვესტირების ხარჯები და რისკები, განახლებადი ენერჯის სისტემების დასამონტაჟებლად საჯარო სახურავების შეთავაზებით. მას შეუძლია გაზარდოს მოქალაქეთა ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის განახლებადი ენერჯის კოოპერატივი და როგორ მუშაობს ის, ვებგვერდის, საინფორმაციო ღონისძიებებისა და საპილოტო პროექტების საშუალებით. მას ასევე შეუძლია სახელმძღვანელოების საშუალებით გაუზიაროს სხვებს საპილოტე პროექტიებიდან მიღებული გამოცდილება.

საკონტაქტო პირი

იანეკე კართაუსი, ენერჯის გადაცემა, ეინდჰოვენის მუნიციპალიტეტი
j.karthus@eindhoven.nl
MorgenGroeneEnergie: <https://www.morgengroeneenergie.nl/>



ინკლუზიური დასაქმება მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების გზით – რენი (საფრანგეთი)⁴²



მოსახლეობა: 354 000

ქალაქი რენი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში სახელმწიფო შესყიდვებისთვის იყენებს სოციალურ მუხლებს დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების გრძელვადიანი უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად. ამ მიდგომის ფარგლებში იქმნება პარტნიორობა სოციალურ საწარმოებთან და ხდება დამატებითი ღირებულების მქონე პროგრამების შემუშავება. ქალაქის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ამ პროგრამისთვის ჩამოეყალიბებინა გუნდი „guichet unique des clauses sociales“, რომელიც თანამშრომლობს ქალაქის ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტთან როგორც ერთიანი საკონტაქტო პირი და ეხმარება მათ ქალაქის შესყიდვებში სოციალური მუხლების დამატებაში. აღნიშნულის შედეგად ეტაპობრივად შეიცვალა ქალაქის სხვადასხვა დეპარტამენტის ხედავ შესყიდვებთან დაკავშირებით. შედეგად ქალაქს ახლა აქვს ძლიერი შიდა პარტნიორობა, განსაკუთრებით ნარჩენების მართვის, საჯარო სივრცეების მართვისა და სოციალურ დეპარტამენტებს შორის, რომლებმაც შეიმუშავეს რამდენიმე სოციალურად მომგებიანი პროექტი ნარჩენების მართვისა და გამწვანებული სივრცეების მოვლის მიმართულებით.

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის სოციალური მუხლიდან გამომდინარე პროექტების ერთ-ერთი მაგალითია ტენდერი ნარჩენების გადამუშავებაზე, რომელსაც ახორციელებს სოციალური საწარმო „La Feuille d’Erable“. საწარმო პასუხისმგებელია ქალაქში ნარჩენების შეგროვებასა და გადამუშავებაზე. ტენდერის ფარგლებში საწარმო ასევე ახორციელებს „სამსახურში დაბრუნების“ პროგრამას. პირები, რომელთაც გარკვეული დაბრკოლებები აქვთ დასაქმების კუთხით, დასაქმდებიან 6-დან 24 თვემდე ვადით, გაივლიან დამატებით გადამზადებას და მათ გაეწევათ დახმარება პროფესიული ორიენტაციისა და სამუშაოს მოძებნის კუთხით. სოციალური საწარმო „La Feuille d’Erable“ იღებს სახელმწიფო სუბსიდიას გადამზადებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დასაფარად და მმართველი პერსონალის მეტი წილი მიმაგრებული ჰყავს „სამსახურში დაბრუნების“ პროგრამაზე.

სოციალური მუხლების არსებობა ქალაქ რენის სახელმწიფო შესყიდვებში ხელს უწყობს ადგილობრივ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც ყოველწლიურად 500-1000 ადამიანს ეხმარებიან შრომის ბაზარზე დაბრუნებაში. სოციალური საწარმო ყოველწლიურად ასაქმებს დაახლოებით 50 ადამიანს „სამსახურში დაბრუნების“ პროგრამის ფარგლებში. ამ სოციალურ საწარმოში მუშაობისას ბენეფიციარები იძენენ ახალ უნარებს, როგორცაა, მაგალითად, სატვირთო მანქანის მართვა ბორტკომპიუტერით, ნარჩენების დახარისხება, ან მომხმარებელთა მომსახურების უნარები. შედეგად, ყოველწლიურად ბენეფიციართა დაახლოებით 60%-ს შეუძლია სამსახურში დაბრუნება ან შემდგომი გადამზადების გავლა. გადამზადებული პირები საქმდებიან ისეთ მუდმივ სამუშაოებზე, როგორცაა სატვირთო მანქანის მართვა, საწყობიდან გადასაზიდო ტვირთის მომზადება, ან პოზიციები საწარმოო ჯაჭვის რომელიმე რგოლში.

საკონტაქტო პირი

ნატალი რაიტი, სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის მიმართულების ოფიცერი ეკონომიკის, დასაქმებისა და ინოვაციების დეპარტამენტში, ქალაქი რენი (საფრანგეთი)

n.wright@agglo-rennesmetropole.fr

<https://www.feuille-erable.fr/>



საბჭოს გამწვანება და შრომისუნარიანობის ამაღლება – გლაზგო (გაერთიანებული სამეფო)



მოსახლეობა: 1 673 000

გლაზგოს ქალაქის საბჭოსთან თანამშრომლობით განხორციელებული სტაჟირების სქემის მეშვეობით მწვანე სექტორში დასაქმების შესაძლებლობა ეძლევათ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ დაბალი შრომისუნარიანობის პროფილი. სტაჟირების სქემა ასევე ხელსაყრელია ქალაქის საბჭოსთვისაც, რადგან არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს, ხოლო ნახშირბადის გაფრქვევების შემცირების შედეგად მიღებული დანაზოგი ფარავს დასაქმების ხარჯებს. „მწვანე მცველების“ სქემა არის სტაჟირების პროგრამა, რომელიც ხორციელდება საბჭოს ნახშირბადის მართვის გუნდში. პროგრამის მიზანია უნარებისა და გამოცდილების შექმნა ხანგრძლივად უმუშევარი პირების მიერ; ასევე იმ ახალგაზრდების მიერ, რომლებმაც სკოლა დროზე ადრე მიატოვეს, არ სწავლობენ, არ გადიან გადამზადებას ან არ არიან დასაქმებულები; ასევე შეიარაღებული ძალებიდან ახლახან დათხოვნილი პირების მიერ, რომლებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა სამხედრო სამსახურის გარდა სხვა სამუშაოზე დასაქმების გარდამავალ ეტაპზე. გარდა ამისა, პროგრამის შედეგად ქალაქის საბჭო იძენს მოტივირებულ პერსონალს ნახშირბადის შემცირების პროექტებისთვის.

პროგრამის ფარგლებში მსურველთა დასაქმება ხდება მწვანე მცველებად, რომლებიც მუშაობენ გამწვანებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის სხვადასხვა პროექტზე ქალაქის საბჭოს ძირითად სამსახურებში და ასევე საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ გარე ორგანიზაციებში. სქემაში მსურველთა ჩართვა ხდება ერთ წლამდე ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. მწვანე ეკონომიკა მუდმივად იზრდება, ხოლო გლაზგოს უკვე აქვს განახლებადი ენერჯის მიმართულებით ყველაზე მეტი სამუშაო ადგილი შოტლანდიაში. ეს სქემა წარმოადგენს სამომავლო ინვესტიციას, რადგან ის ეხმარება უმუშევარ პირებს, ისარგებლონ დასაქმების ახალი შესაძლებლობებით.

გლაზგოს ქალაქის საბჭო ასევე გასამრჯელოსაც უხდის მწვანე მცველებს. ეს არის წინდახედული ტენდენცია გაერთიანებულ სამეფოში. სულ უფრო მეტი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო იხდის მინიმალურ გასამრჯელოზე მეტს, რომელიც ამჟამად არ არის საკმარისად მაღალი ცხოვრების ხარჯების დასაფარად. ამის ნაცვლად,

საბჭო მინიმალურ გასამრჯელოს იყენებს ნიშნულად, რომელიც გამოითვლება გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრების საბაზისო ღირებულების მიხედვით. ეს უზრუნველყოფს ხარისხიან დასაქმებას. მწვანე მცველებს უტარდებათ ორკვირიანი საორიენტაციო ტრენინგი, რომელიც მოიცავს საბჭოს საქმიანობის და ნახშირბადის შემცირებასთან დაკავშირებული მიზნების გაცნობას. მონაწილეები ასევე სწავლობენ საბჭოს ენერჯის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, ენერჯისა და ნარჩენებთან დაკავშირებით კვლევების ჩატარებას და აუდიტის ანგარიშების წერას. ასევე ამ პროგრამისთვის სპეციალურად შეიქმნა მენეჯმენტის სტრუქტურა, რომელშიც შედის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერიც, რომელიც ახორციელებს პროგრამის ზედამხედველობას და უზრუნველყოფს დასაქმებულთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ფუნქციებში შედის მწვანე მცველების შერჩევა და სამსახურში მიღება, მათი გადამზადება, მათი მხარდაჭერის მოთხოვნების კოორდინაცია და მათი ეფექტურად გადანაწილება სამუშაოებზე, მათთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და დანაშოგის აღრიცხვა.

საკონტაქტო პირი

ენდრიუ მოატი, მთავარი მენეჯერი ნახშირბადის მართვის საკითხებში, გლაზგოს ქალაქის საბჭო (გაერთიანებული სამეფო)
andrew.mouat@glasgow.gov.uk



“#MERTZIG4ALL-GEMEINWOHL” (L'ÉCONOMIE DU BIEN COMMUN) – მერციგი (ლუქსემბურგი)

 მოსახლეობა: 2 293

პოლისტიკური მდგრადი ეკონომიკის მოდელის საინტერესო მაგალითია მერციგის მუნიციპალიტეტი ლუქსემბურგში. პროექტი “#Mertzig4all- Gemeinwohl”(L'économie du bien commun) ეფუძნება ავსტრიელი მეცნიერის კრისტიან ფელბერის ეკონომიკურ მოდელს. მერციგის მუნიციპალიტეტი არის პირველი მუნიციპალიტეტი ლუქსემბურგში, რომელმაც დაიწყო ამ მოდელის პრაქტიკაში დანერგვა. „ეკონომიკა საერთო სიკეთისთვის“ მოდელი მოიცავს სხვადასხვა ზომას, რომელთაგან თითოეული ეფუძნება შემდეგ ღირებულებათა პოლიტიკას: ადამიანის ღირსება, თანასწორი მოპყრობა, სოლიდარობა, სოციალური სამართლიანობა და ერთიანობა, ეკოლოგიური მდგრადობა და დემოკრატიული გვერდი 86 ► ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების

თანამშრომლობა. ამ პოლიტიკის მოქმედების სფეროები მოიცავს შემდეგს: გარემოს დაცვა მიწოდების ჯაჭვებში, ფინანსური პოლიტიკის ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, ეკოლოგიური ქვევის ხელშეწყობა, გარემოს მდგრადობა საზოგადოებაში და პასუხისმგებლობა გარემოზე ზემოქმედებაზე.

მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, რათა ეკონომიკურმა მოდელმა უზრუნველყოს არა მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობა, არამედ ასევე მისი ხანგრძლივად არსებობაც, სოციალური და მდგრადი მიზნებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით. ამასთან ერთად, მერციგის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა ეკოლოგიური შესყიდვების სახელმძღვანელო მითითებებიც მათ ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად. ისინი პრიორიტეტს ანიჭებენ ისეთი პროდუქციის შესყიდვას, რომელსაც აქვს ეკო-უტიკეტირება ან რომელიც არის სერტიფიცირებული, ასევე მუნიციპალური სკოლების სასადილოებში გამოსაყენებლად. მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს ეკოლოგიურ კრიტერიუმებს დაფინანსებისა და ბიუჯეტირების პროცესშიც, ხოლო მიმდინარე ინვესტიციების 66% ხორციელდება ეკოლოგიური და მდგრადობის მიზნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს სურს, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ეკოლოგიური გადასახადების, სახდელების და მოსაკრებლების არსებობას, რათა ისინი წარმოადგენდნენ წარმმართველ მექანიზმს მოქალაქეებისა და ბიზნესის ეკოლოგიურად გაცნობიერებული ქვევის ხელშეწყობისთვის. „Mertzig4all“-ის ანგარიშში ასახული სხვა ინიციატივები ეხება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს. მაგალითად, ველოსიპედის გამოყენების გაზრდის წახალისებით, მუნიციპალიტეტი ცდილობს უფრო მწვანე გახადოს თანამშრომლების სამსახურში სიარული. ბევრი სხვა ძალისხმევით პროექტი ცდილობს ზოგადად დანერგოს ეკოლოგიურად პასუხისმგებელი კულტურა, როდესაც საქმე ეხება კვების რაციონსა და საკვებს, ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნების დაცვას და კლიმატზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას. ეს ინიციატივები დეტალურად არის აღწერილი მუნიციპალიტეტის ანგარიშში (ფრანგულად ან გერმანულად), რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.mertzig.lu/mertzig4all/gemeinwohl/>

საკონტაქტო პირი

ენდერ შროდერი, კომუნალური მდივანი, მერციგის მუნიციპალიტეტი
(ლუქსემბურგი) aender.schroeder@mertzig.lu
+352/83 82 44-311

რეკომენდაციები



- **აირჩიეთ** ადგილობრივი კომპანიები თქვენს მუნიციპალიტეტში ან რეგიონში საჯარო მომსახურების მიწოდებისთვის.
- **გაუმჯობესეთ** ნარჩენების მართვის სისტემა თქვენს მუნიციპალიტეტში ან რეგიონში, მაგალითად, ნარჩენების გადამუშავების წახალისებით და მაცხოვრებლებისთვის მკაფიო მითითებების შემუშავებით ნარჩენების სწორად დახარისხებასთან დაკავშირებით.
- **ითანამშრომლეთ** ადგილობრივ კომპანიებთან და მხარი დაუჭირეთ მათ მდგრადობის მიღწევის პროცესში.
- **წახალისეთ** მოქალაქეთა მონაწილეობა პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, მაგალითად, საჯარო კონსულტაციების ან სათათბირო დემოკრატიის მეთოდების მეშვეობით, პროექტების დაგეგმვის საწყის ეტაპებზე.
- **ხელი შეუწყვეთ** სამუშაო ადგილების შექმნას მწვანე სექტორში.
- **დაასაქმეთ** არასაიმედო მდგომარეობაში მყოფი ადამიანები მდგრად ადგილობრივ საწარმოებში, მაგალითად, დააფუძნეთ მინის გადამამუშავებელი ცენტრი, სადაც დაასაქმებთ მხოლოდ უსახლკარო/არასაიმედო მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს.



ცნობიერების ამაღლება და განათლება

გარემოსა და კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ამაღლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი სივრცის შესაქმნელად, სადაც ყველას შეეძლება ჩაერთოს ამ საკითხებში. ეს ეხება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ყოველმხრივ ძალისხმევას, ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და ფიზიკურ პირებთან კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის მიმართულებით და მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია გარემოსთვის გლობალური საფრთხეების და მათი შემამსუბუქებელი სტრატეგიების შესახებ, ასევე უფრო ფართო ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, რომლებიც გაერთიანებულია სახელმძღვანელოს ამ ნაწილში.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მომავალი თაობებისთვის, არამედ ასევე ახლანდელი თაობებისთვისაც, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ ახლა და შეცვალონ მდგომარეობა. ადამიანებისთვის გარემოს დაცვის მნიშვნელობისა და გადაუდებელი აუცილებლობის ჩანერგვა არის ერთადერთი გზა გლობალური და კოორდინირებული რეაგირების უზრუნველსაყოფად. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში თავმოყრილია კარგი პრაქტიკის მაგალითები ამ საკითხზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

დაბოლოს, სათანადოდ უნდა შეფასდეს ყველა იმ პლატფორმის საშუალებით ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა, რომელიც აქვთ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს. გავრცელების დონისძიებების საშუალებით ქალაქებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ინფორმირებული საზოგადოება, რომელსაც გაცნობიერებული ექნება გარემოსდაცვითი საფრთხეები და ეცოდინება შესაძლო შემამსუბუქებელი ზომები, რომელთა მიღებაც თითოეულ ადამიანს შეუძლია. ამავდროულად, ამ ნაწილში განხილულია ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის განმსაზღვრელების ძალისხმევა, ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და მოქალაქეებთან და ჩამოაყალიბონ ეკოლოგიურად პასუხისმგებელი საზოგადოება.

ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევის ფარგლებში ასევე ხაზგასმული უნდა იყოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ადგილობრივი ხელისუფლება მარტო ვერ მოაგვარებს ყველა პრობლემას.

მოქალაქეებთან მათი სიახლოვიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, ითანამშრომლონ მათთან, ჩამოაყალიბონ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ეკოცენტრული და თაობათაშორისი მიდგომა და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმირებულობა - ამგვარად, გაუნაწილონ მოქალაქეებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ძალისხმევა.

დაიმახსოვრეთ!



ბევრი სახელმძღვანელო მითითება გამოქვეყნდა ქალაქებისა და რეგიონების დასახმარებლად კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, ქალაქებში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი. მასში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები ქალაქებისთვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესამსუბუქებლად და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.



 მოსახლეობა: 602 481

2011 წელს კოპენჰაგენმა მოამზადა ბიომრავალფეროვნების სტრატეგია სახელწოდებით „ადგილი ბუნებისთვის – ბიომრავალფეროვნების სტრატეგია“. ეს ყოვლისმომცველი სტრატეგია ითვალისწინებდა მოწყვლად უბნებში მდებარე სათამაშო მოედნების დაკომპლექტებას განათლების და ცნობიერების ამაღლების დანიშნულების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც ასწავლიდნენ და მითითებებს მისცემდნენ ბავშვებს, მათ მშობლებსა და სტუმრებს ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით.

კოპენჰაგენში უამრავი სათამაშო მოედანია, სადაც დღის განმავლობაში იმყოფება განათლების და ცნობიერების ამაღლების დანიშნულების მქონე პერსონალი. ხუთი ასეთი სათამაშო მოედანი მონაწილეობს ბუნების დეტექტივების პროექტში, რომელიც გულისხმობს ბუნებასთან დაკავშირებული მითითებების და სასწავლო მასალების დარიგებას ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის და ასევე დაწესებულებებისთვის. სათამაშო მოედნებზე ბავშვებს შეუძლიათ გაეცნონ ბუნებას და შეისწავლონ მათ გარშემო არსებული გარემო. მაგალითად, სათამაშო მოედნები მდებარეობს მოწყვლად უბნებში, სადაც ბევრ მოქალაქეს აქვს მწირი ინფორმაცია ბუნებასთან დაკავშირებით და ისინი იშვიათად გადაადგილდებიან თავიანთი უბნის გარდა სხვა ადგილებში. პროექტი დიდი ინტერესით სარგებლობს, ხოლო მისი ადგილობრივად დამკვიდრება და მის მიმართ ერთგულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროექტის გადარჩენისთვის.

საკონტაქტო პირი

იესპერ კრისტენსენი, ხელმძღვანელი ბავშვებისა და ახალგაზრდობის საკითხებში, კოპენჰაგენის ქალაქის საბჭო (დანია)
+45/33 66 33 66
<https://international.kk.dk/>



მდგრადი ცხოვრების შესახებ უწყვეტი განათლების პროგრამა, როგორც გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების პლატფორმა – ვალმიერა (ლატვია)

 მოსახლეობა: 24 868

2018 წლის შემოდგომიდან, ვალმიერას ინტეგრირებული ბიბლიოთეკა ვალმიერას მუნიციპალიტეტთან ერთად ახორციელებს არაფორმალურ საგანმანათლებლო კურსს სახელწოდებით „დაბალანსებული ცხოვრება: გარემო, ადამიანი, საზოგადოება“, რომელიც იქცა მდგრადობასთან დაკავშირებული განათლების, დებატებისა და საკითხების, ინიციატივებისა და კონტაქტების პლატფორმად. ეს არის ვალმიერას მხრიდან მდგრადობის გლობალურ საკვანძო საკითხებზე ადგილობრივი რეაგირების ერთ-ერთი ფორმა.

კურსი მოიცავს მდგრადი ცხოვრების წესთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემას, რაც საშუალებას აძლევს მის წევრებს, უსასყიდლოდ და მარტივად მიიღონ მონაწილეობა, ცოდნა და მთავონება თავიანთი ჩვევების შესაცვლელად.

ეს კურსი არის ლიცენზირებული არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მესამე სეზონიც განხორციელდება 2021-2022 წელს. თითოეულ სეზონზე პრაქტიკა მოიცავს ხუთ გაკვეთილს თვეში ერთხელ, შაბათობით. თემები განსხვავდება ადგილობრივი საკითხების მიხედვით, თუმცა, ამავედროულად, შენარჩუნებულია კურსის მთლიანი ჩარჩო ისეთ საკითხებზე, როგორცაა მდგრადობა, გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, გარემოსა და ბუნების შენარჩუნება, ურთიერთდამოკიდებულება და ზეგავლენა თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე. პირველ ორ სეზონზე კურსი გაიარა 135-ზე მეტმა მონაწილემ, რომელთაგან ბევრისთვის დამატებით ღირებულებას წარმოადგენდა პირდაპირი დისკუსიები და სხვა თანამოაზრეების გაცნობა.

საკონტაქტო პირი

კრისტინ კინი, ვალმიერას ინტეგრირებული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

+371/64 25 08 30 | kristine.kine@vcb.valmiera.lv



 *მოსახლეობა: 38 350*

ბოლო სამი წლის განმავლობაში მონაკოს მერია აწყობს „მწვანე ხუთშაბათს“, რომელიც მოიცავს საზოგადოებისთვის გამართული კონფერენციებისა და დებატების სერიას გარემოსა და მდგრადი განვითარების ძირითად თემებთან დაკავშირებით. თვეში ერთ ხუთშაბათს იწვევენ გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე მონაკოს დაწესებულებებისა და გაერთიანებების წარმომადგენლებს, რათა ისაუბრონ სამთავროში განხორციელებულ გარემოსდაცვით მოქმედებებზე. ამ ინიციატივის განხორციელება დაიწყო მუნიციპალიტეტის დეპუტატის მიერ, მონაკოს მერიაში მიმდინარე გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფარგლებში.

ისეთი თემების წარმოდგენით, როგორცაა მობილობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ნარჩენების შეგროვება და ურბანული დაბინძურება, ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ვაჭრობა, ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია, „მწვანე ხუთშაბათის“ შეხვედრების მიზანია მდგრადი განვითარებისა და გარემოს შესახებ ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერების ამაღლება. ამავდროულად, ქალაქის საბჭო რეგულარულად აწყობს სამუშაო შეხვედრებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით სურსათის ნარჩენების დახარისხებასა და შემცირებასთან დაკავშირებით და სხვა საკითხებზე, ასევე პლაკატების (ციფრულ) კამპანიებს ქალაქში პოზიტიური შეტყობინებებით და პლაკატების კამპანიებს სკოლის სასადილოებში, სურსათის ნარჩენების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ასამაღლებლად.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის თითოეულ განყოფილებაში დანიშნული არიან ამ საკითხზე მომუშავე პირები. ისინი პასუხისმგებელნი არიან ინფორმაციის გავრცელებაზე, ცნობიერების ამაღლებაზე და კარგი პრაქტიკის დამკვიდრებაზე. „ენერგეტიკული გადასვლის ეროვნული პაქტის“ (PNTE) მიზნების მისაღწევად, მერიაში და მუნიციპალურ ღონისძიებებზე მოხმარებიდან ამოღებულ იქნა ერთჯერადი პლასტმასის ნივთები, კერძოდ, ახლა გამოიყენება ეკოლოგიურად უსაფრთხო ჭიქები.

ეს ინიციატივა დასრულდა 2020 წელს. სამი წლის განმავლობაში ინფორმაციის გაცვლამ შესაძლებელი გახადა უამრავი დაწესებულებისა თუ გაერთიანების თავმოყრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მუნიციპალურ პერსონალთან სასაუბროდ.

„მწვანე ხუთშაბათის“ ფარგლებში ძირითადად წამოჭრილი იყო ისეთი საკითხები, როგორცაა სასურსათო ნარჩენები და ნარჩენების მართვა, განსაკუთრებით კი ერთჯერად პლასტმასის ნივთებთან მიმართებით. შედეგად, დაწესებულებებში ასეთი ნივთები მოხმარებიდან ამოიღეს.

აღნიშნულის შედეგად ასევე შეიქმნა მუნიციპალური დინამიკა როგორც დაწესებულების შიგნით, რეფერალური კომიტეტის დაფუძნებით, რომელიც რეგულარულად იკრიბება, ისე გარეთ, საზოგადოებისთვის სხვადასხვა ინიციატივის შემუშავებით, ასევე ცნობიერების ასამაღლებელი სამუშაო შეხვედრებით და კომუნიკაციით ამ თემაზე სხვადასხვა მედიასაშუალებით (სოციალური ქსელები, საჯარო გამოფენები, კომუნალური მიმოხილვა) და მონაკოს პარტნიორ დაწესებულებებთან და გაერთიანებებთან თანამშრომლობით.

საკონტაქტო პირი

ჟერომ ბონინი, ვაჭრობის, ადმინისტრაციული ნაგებობებისა და ბაზრების კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელი, ქალაქი მონაკო
jbonnin@mairie.mc

<p> ცრუ ინფორმაცია</p> <p>გადამუშავება არ არის რენტაბელური ან ენერგოეფექტური.</p>	<p> ფაქტი</p> <p>გადამუშავების სარგებელი პლანეტისთვის ამკარაა. ალუმინის</p>
<p>ქილების გადამუშავებით იზოგება იმ ენერჯის 95%, რომელიც საჭიროა ნედლეულისგან ახალი ქილების დასამზადებლად. ფოლადის და თუნუქის ქილების გადამუშავებით იზოგება ენერჯის 60-74%-ს; ქაღალდის გადამუშავებით იზოგება ენერჯის 60%; ხოლო პლასტმასის და მინის გადამუშავებით იზოგება იმ ენერჯის დაახლოებით მესამედი, რომელიც საჭიროა ამ პროდუქტების ხელუხლებელი მასალისგან დასამზადებლად.</p> <p>გარდა ამისა, გადამუშავება არის დინამიური მრეწველობა, რომელიც ხასიათდება კონკურენციითა და მუდმივი ინოვაციებით. ხშირ შემთხვევაში, გადამუშავებამ შეიძლება რეალურად მოიტანოს წმინდა დადებითი ფინანსური სარგებელი. ასევე ის ქმნის სამუშაო ადგილებს: გადამუშავების შედეგად იქმნება უფრო მეტი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი, ვიდრე ნაგავსაყრელების მოწყობა-მართვის ან ნარჩენების ინსინერაციის შედეგად.</p>	



კლიმატთან დაკავშირებული ლექციები და კონკურსები რაიონულ სკოლებში – ერზსებეტვაროს რაიონი, ბუდაპეშტი (უნგრეთი)

მოსახლეობა: 49 700

2030 წლისთვის, ერზსებეტვაროს რაიონი მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწევს გაფრქვევების შემცირებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მიმართულებით, ამ მიზნისთვის ადგილობრივების, მუშაკებისა და სტუმრების გაერთიანებით. რაიონში მოქმედი შემამსუბუქებელი ღონისძიებების ნაწილი მოიცავს კლიმატის შესახებ ლექციებისა და კონკურსების ჩატარებას რაიონის სკოლებში.

ღონისძიების პირველი ნაწილი მოიცავს კლიმატის დაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო ლექციების ჩატარებას საბავშვო ბაღების და სკოლების მასწავლებლებისა და აღმზრდელებისთვის, რომლებიც არიან მთავარი შუამავლები ბავშვებისთვის ცოდნის გადაცემის პროცესში, ამიტომ მათი მომზადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ღონისძიების მეორე ნაწილი მოიცავს სასკოლო კონკურსებს და ვიქტორინებს ერზსებეტვაროს რაიონის სკოლებში (მინიმუმ 10 სკოლა). კონკურსების გამართვაზე პასუხისმგებელი იქნებიან დარგის პროფესიონალები და პირველი ნაწილის ფარგლებში გადამზადებული აღმზრდელები. რაიონი მიზნად ისახავს შენობების ენერგომომარაგებით და ექსპლუატაციით გამოწვეული გაფრქვევების შემცირებას, შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას ყველა სექტორში, განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაფართოებას და მოწყვლადობისა და ტრანსპორტის გამონაბოლქვის შემცირებას ეკოლოგიურად უსაფრთხო ტრანსპორტის სახეობების პოპულარიზაციისა და საავტომობილო მოძრაობის შემცირების გზით. რაიონი გაზრდის სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების შეგუებადობას ცხელი კლიმატის მიმართ და შეამცირებს ადგილობრივი ტრანსპორტის და ტექნიკური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის ელემენტების მოწყვლადობას.

საკონტაქტო პირი

ჩაბა ტოსი, კლიმატის დაცვისა და მდგრადობის კაბინეტის ხელმძღვანელი, ერზსებეტვაროს რაიონი, ბუდაპეშტი (უნგრეთი)

+36/1462-32 51

toth.csaba@erzsebetvaros.hu



ლექციები, სამუშაო შეხვედრები და შესაძლებლობათა ზრდა მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით – ბონი (გერმანია)⁴⁴

 მოსახლეობა: 327 258

ქალაქმა ბონმა შეიმუშავა სხვადასხვა პროექტი მდგრადი განვითარების მიზნების აღქმადობისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, ქალაქი აწყობს ტრენინგს ქალაქის ხელმძღვანელობის პერსონალისთვის და ლექციებსა და სამუშაო შეხვედრებს მოქალაქეებისთვის ზრდასრულთა განათლების შეთავაზების ფარგლებში, აგრეთვე მომზადებული აქვს კამპანია „მდგრადი განვითარების მიზნების დღეები“. „კლიმატის ნებართვის“ (Klimaführerschein) წყალობით, კლიმატთან დაკავშირებულ განათლებაში ასევე ჩართულნი არიან სკოლის მოსწავლეებიც.

ქალაქ ბონის მიერ ორგანიზებული შესაძლებლობათა ზრდის პროგრამა ვრცელდება ქალაქის ხელმძღვანელობის ყველა თანამშრომელზე და მოიცავს რეგულარულ სამუშაო შეხვედრებს მდგრადი განვითარების მიზნების სხვადასხვა ასპექტისა და მუნიციპალურ ამოცანებთან მათი კავშირის შესახებ. ეს გადამზადების პროგრამა ასევე აძლიერებს ინფორმაციის უწყებათაშორის გაცვლას. საინტერესოა, რომ ბონმა ასევე გამოაცხადა ტენდერი პარკებისა და ბაღების დეპარტამენტში დასაქმებული თანამშრომლებისთვის ეთიკურად წარმოებული სამუშაო ტანსაცმლის შესაძენად.⁴⁵

გარდა ამისა, „ზრდასრულთა განათლების ცენტრის“ საშუალებით ქალაქში მუდმივად ტარდება ლექციები და სამუშაო შეხვედრები მდგრადი განვითარების მიზნების თემაზე, რომლის ფარგლებშიც ექვს თვეში ერთხელ განიხილება მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზანი. კამპანია „მდგრადი განვითარების მიზნების დღეები“, რომელიც დაიწყო 2018 წელს თემაზე „17 დღე 17 მიზნისთვის“, აერთიანებს ბევრ ინიციატივასა და ორგანიზაციას და არის ბონში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ერთ-ერთი მაგალითი. მრავალფეროვანი ღონისძიებებით, როგორცაა ველოტურები, მდგრადი პროექტები, მდგრადი განვითარების მიზნების პოეზიის საღამოები და ბარის ვიქტორინები, ქალაქის მიზანია განხორციელების პროცესის მხარდაჭერის გაზრდა. ფონდი „Bonn Climate Ambassadors“ აწყობს კლიმატთან დაკავშირებული

განათლების კურსებს დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის, რაც საშუალებას აძლევს მათ, მიიღონ „კლიმატის ნებართვა“. 2018 წლის მაისის ბოლოს 8000-ზე მეტი ბავშვი გახდა კლიმატის ელჩი.⁴⁶

საკონტაქტო პირი

Bundesstadt Bonn, Berliner Platz 2, 53103 Bonn

+49/22 87 70

Nachhaltiges Bonn. | Bundesstadt Bonn



გარემოსდაცვითი განათლება, პედაგოგიური რესურსები – სტრასბურგის ევრომეტროპოლი (საფრანგეთი)⁴⁷

მისახლეობა: 284 677

სტრასბურგის ევრომეტროპოლი ახდენს გარემოსდაცვითი განათლების, როგორც მოქალაქეთა ინდივიდუალური ცნობიერების ამაღლებისა და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმის, წახალისებას. მეთოდისტებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და პროექტის მენეჯერებს ქალაქი უზრუნველყოფს საჭირო საშუალებებით, რჩევებითა და ინფორმაციით, რაც უნმარება მათ გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების პროექტების განხორციელებაში.

კლიმატური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, სტრასბურგის ევრომეტროპოლის მიზანია თავის ყველა პოლიტიკაში მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება. ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ევრომეტროპოლის ტერიტორიაზე ეკოლოგიური კვალის შემცირება, მისი ყველა სუბიექტის ინიციატივების გაერთიანებით. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა გარემოსდაცვითი განათლება.

სტრასბურგის ევრომეტროპოლი ახორციელებს სამი ტიპის ღონისძიებებს:

- ▶ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო საშუალებების თხოვება და მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ▶ უფასო ვიზიტები ადგილზე: ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, დახარისხების ცენტრი, ნარჩენების აღდგენის მწვანე ცენტრი და სხვები, რაც იძლევა კონკრეტული და ორიგინალური

ფორმით გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებულობის ბევრ შესაძლებლობას;

- ▶ პარტნიორობა ადგილობრივ ასოციაციებთან, გარემოსდაცვითი განათლების სფეროში ინიციატივების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით.

ქალაქის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი, რომელიც მოიცავს ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო მექანიზმების ჩამონათვალს. ქალაქი უფასოდ გასცემს საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც შექმნილია ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემასთან პარტნიორობით და მიზნად ისახავს გარემოს დაცვასთან დაკავშირებით ბავშვების ცნობიერების ამაღლებას. აქტივობების დაწყებამდე მასწავლებლებს შესაძლოა, თან ახლდნენ მეთოდისტები, რათა მიაწოდონ მათ ზოგადი ინფორმაცია შერჩეულ თემასთან დაკავშირებით და ასევე ასწავლონ საგანმანათლებლო მასალების გამოყენება.

ქალაქის ვებგვერდზე ასევე წარმოდგენილია იმ ასოციაციების ჩამონათვალი, რომლებიც ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა თემაზე (ბიომრავალფეროვნება, წყალი, ენერჯია, კლიმატი, ნარჩენები და ეკომოქალაქეობა) საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის, იქნებიან ეს სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები თუ ფართო საზოგადოება.

საკონტაქტო პირი

ენ-ლაურა ჰეკელი, გარემოსდაცვითი განათლების კომუნიკაციის განყოფილება,
1 parc de l'Etoile, 67076 Strasbourg Cedex
+33/(0)3 68 98 69 74
anne-laure.heckel@strasbourg.eu



იცოდით თუ არა, რომ

მცხოვრებულების მიწოდების ჯაჭვები წარმოქმნის სათბური აირების გლობალური გაფრქვევების 14.5%-ს. მსოფლიო მასშტაბით მიღებული მტკნარი წყლის 70% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. პირუტყვის გამოკვებას ყოველწლიურად სჭირდება 6 მილიარდი ტონა საკვები, მათ შორის, მსოფლიოში წარმოებული მარცვლეულის ერთი მესამედი.

ადგილობრივად მოშენებული პირუტყვისთვისაც კი საჭიროა ისეთი კულტურების იმპორტი, როგორიცაა სოიო, რომელიც ჩვეულებრივ ლათინური ამერიკიდან შემოდის. მსოფლიოში გაუტყეურების თითქმის 90% გამოწვეულია სოფლის მეურნეობის გაფართოებით. ხორცის მოხმარების შემცირება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს გარემოზე.

წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).



- **განავითარეთ** ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ინდივიდუალურ დონეზე ყოველდღიური ჩვევების მცირედით შეცვლის წახალისებით.
- **ჩაერთეთ** ცენტრალურ ხელისუფლებასთან და სხვა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებთან დიალოგში, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად გლობალური საგანმანათლებლო სქემის შექმნის მიზნით.
- **ხელი შეუწყვეთ** თაობათაშორის დიალოგს და ცნობიერების ამაღლებას იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ ქალაქები და რეგიონები ეკოლოგიურად უფრო უსაფრთხო.
- **მოახდინეთ** სხვადასხვა საგანმანათლებლო საშუალებისა და არატრადიციული მექანიზმების **პოპულარიზაცია**, რათა გამოიწვიოთ დაინტერესება კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის საკითხების მიმართ.
- **უზრუნველყავით** ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, მათ შორის, უმცირესობებისა და იზოლირებული პირებისთვის.
- **წახალისეთ** მოქალაქეები, შეამცირონ ხორცის მოხმარება; დაიწყეთ სკოლებში ვეგეტარიანული საკვების მეტი ვარიანტების დამატებით.



მომსახურება და შესყიდვები

განმარტება

ამ კატეგორიაში შედის ადგილობრივი და რეგიონული მომსახურების „გამწვანებასთან“ დაკავშირებული ყველა პრაქტიკა, დაწყებული ნარჩენების შეგროვებით და დამთავრებული სახელმწიფო შესყიდვებში მწვანე მუხლების დამატებით. სახელმწიფო შესყიდვები შესაძლოა, იყოს მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ინოვაციური საქონლისა და მომსახურების განვითარებისთვის. ერთობლივი მუშაობით და რესურსების გაერთიანებით ქალაქებს, შესყიდვების ცენტრალურ ორგანოებს და სხვა მსხვილ სახელმწიფო შემსყიდველებს შეუძლიათ მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი საბაზრო ძალაუფლება და გავლენა მდგრადობაზე.

ყოველ ჯერზე, როდესაც ადამიანი ყიდულობს ეკოლოგიურად უსაფრთხო საქონელს, მომსახურებასა თუ სამუშაოს, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უფრო მდგრადი ეკონომიკის შექმნაში. თუმცა ფიზიკური პირი არ არის ერთადერთი მხარე, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე. მთავრობას, როგორც ძალიან მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციას, შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს შესყიდვების საქმიანობის ზემოქმედება გარემოზე, მიწოდების ბაზარზე არსებულ პრაქტიკაზე გავლენის მოხდენის გზით. მაგალითად, ნარჩენების შესამცირებლად არასაჭირო მოხმარების მართვით, ან ისეთ მომწოდებლებთან თანამშრომლობით, რომლებიც უკეთ აკმაყოფილებენ გარემოსდაცვით სტანდარტებს.

იცოდით თუ არა, რომ



ცირკულარული ეკონომიკის ცნება

ცირკულარული ეკონომიკა არის წარმოებისა და მოხმარების მოდელი, რომელიც გულისხმობს არსებული მასალებისა და პროდუქტების შეძლებისდაგვარად გაზიარებას, იჯარით გაცემას, ხელახლა გამოყენებას, შეკეთებას, განახლებასა და გადამუშავებას. მისი მიზანია პროდუქტის ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება (ცირკულარული ეკონომიკა: განმარტება, მნიშვნელობა და სარგებელი, ახალი ამბები, ევროპარლამენტი (europa.eu)).



ცირკულარული ეკონომიკა: ხელახლა გამოყენებული, გადამუშავებული ან მრავალჯერადი გამოყენების სამშენებლო მასალების შესყიდვა – ვენა (ავსტრია)⁴⁸

მოსახლეობა: 1 897 000

შეამცირე, ხელახლა გამოიყენე და გადაამუშავე იმისთვის, რომ ააშენო! შენობების რეკონსტრუქციის ან დანგრევის დროს ხდება ძალიან ბევრი მასალის გადაყრა და განადგურდება მათი სასარგებლო ექსპლუატაციის ვადის დასრულებამდე. „დიდი მყიდველების ინიციატივის“ (Big Buyers Initiative) ფარგლებში,⁴⁹ ქალაქმა ვენამ განახორციელა საპილოტე პროექტი სამშენებლო სექტორში ცირკულარობის გაუმჯობესების მიზნით, ხელახლა გამოყენებული, გადამუშავებული ან მრავალჯერადი გამოყენების სამშენებლო მასალებისა და დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვის ხელშეწყობის გზით.

პროექტი კონკრეტულად ითვალისწინებდა გადამუშავებული ბეტონისა და საიზოლაციო მასალის გამოყენებას ახალ შენობებში იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ შეუძლია ქალაქს გავლენა მოახდინოს ბაზარზე, სამშენებლო სექტორში უფრო ცირკულარული გადაწყვეტილებების მიმართულებით. ვინაიდან ამ დროისთვის მეორადი/გადამუშავებული მასალა შეზღუდული რაოდენობითაა ხელმისაწვდომი, მნიშვნელოვანია, რომ ქალაქმა მოახდინოს ინოვაციური გადაწყვეტილებების პოპულარიზაცია ტენდერების გამოცხადებისას. 2020 წლის გაზაფხულზე, ვენამ დაიწყო მუშაობა ტენდერზე ახალი სამშენებლო პროექტისთვის, რომელიც მოიცავს იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სრულყოფილი პროდუქტი. ამ პირველი საპილოტე პროექტის შედეგები, რომელიც 2023 წლის ზაფხულში დასრულდება, გამოყენებული იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ ცირკულარული მიდგომა სამშენებლო სექტორში წარმოადგენს უფრო მდგრად მიდგომას. საპილოტე პროექტი უკვე იქცა მეორე პროექტის შთაგონების წყაროდ, რომელიც მოიცავს სამშენებლო ჯაჭვის სხვა ფაზას, კერძოდ გარემონტებას, რაც ადასტურებს, რომ ცირკულარული მიდგომა შეიძლება და უნდა იქნეს კიდევ გამოყენებული შენობის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე. პროექტი „WieNeu+“

ზედამხედველობას გაუწევს ვენის ერთ-ერთი უბნის სარემონტო სამუშაოებს და, ამ შემთხვევაში, ის გეგმავს ცირკულარული მიდგომის გამოყენებას შეძლებისდაგვარად მეტი განახლება-აღდგენითი სამუშაოების დროს. გარდა ამისა, ქალაქის მაცხოვრებლებს პროექტს გაცნობენ ადგილზე, ხელახლა გამოყენებულ კონტეინერში გახსნილ დროებით ოფისში, სადაც საპილოტე პროექტების შესახებ ინფორმაციისა და ფოტოების გამოყენებით მოქალაქეებს აუხსნიან, თუ როგორ განხორციელდება რემონტი მეორადი მასალების გამოყენებით და რა საბოლოო სახე ექნება მას, ასევე განუმარტავენ გამოყენებული მიდგომის უპირატესობებსაც.

საკონტაქტო პირი

საიმონ კლემენტი, ICLEI, ადგილობრივი ხელისუფლება მდგრადობისთვის
+49/76 13 68 92 44
simon.clement@iclei.org



რესურსების ბანკი – ბერუმის მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)

მისახლეობა: 128 233

ბერუმის რესურსების ბანკი დაარსდა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში არსებული სამშენებლო უბნებიდან და ინფრასტრუქტურული პროექტებიდან მორჩენილი მასალების მაქსიმალურად ხელახლა გამოყენებას, გადამუშავებასა და მოხმარებას. მისი მიზანია უზრუნველყოს მორჩენილი მასალების მართვისა და განკარგვის საკითხების მდგრადი გადაწყვეტა, არსებული მორჩენილი მასალების გათვალისწინებისა და მათი მეორადი გამოყენებისთვის სასარგებლო ვარიანტების შეფასების გზით.

სანდვიკაში მდებარე კადეთანგენის რეკრეაციული ზონა არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება საგზაო პროექტიდან მორჩენილი მასალა იქცეს აქტივად ტერიტორიის განვითარების პროექტისთვის. რესურსების ბანკი ახლა უკვე მომხმარებელს სთავაზობს გარემოსდაცვით მონაცემებს რეალურ დროში, ისეთი გარემოსდაცვითი პარამეტრების, როგორიცაა მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ჰაერსა და წყალში, წამკითხველი სენსორების მეშვეობით.

საკონტაქტო პირი

სვეინ ფინანგერი, მუნიციპალური გარემოსდაცვითი სამსახურის

ხელმძღვანელი, ბერუმის მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)

svein.finnanger@baerum.kommune.no

+47/67 50 40 50; +47/95 99 09 76

ჰაერის ხარისხის პროგნოზირების მომსახურება „AIRTEXT“ – რიგა (ლატვია)

 მოსახლეობა: 614 618

მიუხედავად იმისა, რომ ჰაერის დაბინძურების დონე დაბალია უმეტეს თანამედროვე ევროპულ ქალაქში, ინფორმაცია ჰაერის დაბინძურების მოსალოდნელი დონეების შესახებ არის ძალიან გამოსადეგი. სხვა უპირატესობებთან ერთად, ხალხს შეუძლია წინასწარ მოემზადოს მომდევნო დღისთვის, რათა შეამციროს ჰაერის დაბინძურების გავლენა მათ ჯანმრთელობაზე. ბრიტანული და ლატვიური გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანიების CERC და EL&LE და ევროკავშირის „კოპერნიკის ატმოსფერული მონიტორინგის სამსახურის“ დახმარებით, რიგამ აამოქმედა ჰაერის ხარისხის პროგნოზირების მომსახურება „Riga airTEXT“.

„Riga airTEXT“ არის უფასო მომსახურება, რომელიც მაცხოვრებლებს მოკლე ტექსტური შეტყობინების და ელექტრონული ფოსტის საშუალებით აწვდის გაფრთხილებას ჰაერის ხარისხის, ამინდის, ულტრაიისფერი გამოსხივების, მტვრის და მომდევნო სამი დღის ჰაერის ტემპერატურის პროგნოზის შესახებ. მომსახურება ხელმისაწვდომია „Riga airTEXT“-ის ვებგვერდზე და ასევე მობილური აპლიკაციის სახით. „Riga airTEXT“-ის ვებგვერდზე (<http://www.rigaairtext.lv/>), რომელიც ხელმისაწვდომია ლატვიურ და ინგლისურ ენებზე, მაცხოვრებლებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ჰაერის ხარისხის შესახებ, მოიძიონ ინფორმაცია ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული გაფრთხილებების შესახებ და ასევე გამოიწერონ მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით გაფრთხილების მიღების მომსახურება. ინფორმაცია ჰაერის ხარისხის შესახებ ხელმისაწვდომია ქუჩების მიხედვით, ხოლო ინფორმაცია ულტრაიისფერი გამოსხივების, მტვრის და ჰაერის ტემპერატურის შესახებ ასახავს ქალაქის ადგილობრივ ზონებში არსებულ მდგომარეობას. „Riga airTEXT“-ის მომსახურების სახით პირველად

დაინერგა ADMS პროგნოზირების სისტემა, რომელიც მოიცავს „კოპერნიკის ატმოსფერული მონიტორინგის სამსახურის“ გლობალური ულტრაიისფერი გამოსხივების ინდექსის პროგნოზს და მტვრით დაბინძურების რეგიონულ პროგნოზს. მობილური აპლიკაცია ხელმისაწვდომია ლატვიურ ენაზე აიფონის და ანდროიდის სისტემის მქონე მობილური ტელეფონებისთვის. „ასთმის ასოციაციასთან“ და მედია სერვისებთან თანამშრომლობით, ქალაქი რიგა იყენებს ამ სისტემას მაცხოვრებლების ყოველდღიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად და შემდგომი ზომების საჭიროების შესაფასებლად.

საკონტაქტო პირი

იანის კლეპერისი, საცხოვრებლის მართვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი, რიგას ქალაქის საბჭო
+371/26 43 65 13
Janis.Kleperis@riga.lv



„EXERGI“-ის მიზანია იყოს კლიმატპოზიტიური – სტოკჰოლმი (შვედეთი)

 მისახლეობა: 975 551

სტოკჰოლმის ადგილობრივი ენერგეტიკული კომპანიის „Stockholm Exergi“, რომელსაც ფლობს ქალაქი სტოკჰოლმი და კომპანია „Fortum“, მიზანია გახდეს კლიმატპოზიტიური 2025 წლისთვის. ამ მიზნის მისაღწევად კომპანია მუშაობს რამდენიმე პროექტზე, რომელთაგან ორი ეხება ნახშირბადის ორჟანგის მოცილებას და ნარჩენებში პლასტმასის რაოდენობის შემცირებას. „Stockholm Exergi“ ამჟამად აშენებს ბიოენერჯის და ნახშირბადის დაჭერისა და შენახვის ქარხანას, ხოლო 2021 წლის გაზაფხულზე, კომპანიამ გახსნა ქარხანა, სადაც ხდება ნარჩენებში პლასტმასის დახარისხება.

კვლევისა და განვითარების საქმიანობის ფარგლებში კომპანია მუშაობს იმაზე, თუ როგორ შეუძლია ბიოენერჯიას და ნახშირბადის დაჭერასა და შენახვას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კლიმატთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო მიზნების მიღწევაში. ბიოენერჯის და ნახშირბადის დაჭერისა და შენახვის ტექნოლოგია გვერდი 108 ► ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის

არის გლობალური დათბობის შენელების და, საბოლოოდ, კლიმატის მდგრადობის ბალანსის აღდგენის ერთ-ერთი შესაძლო გზა. „Stockholm Exergi“-ის მიერ ჩატარებული გამოთვლები ცხადყოფს, რომ სტოკჰოლმის ბიოლოგიური კოგენერაციის ქარხანას აქვს წელიწადში 800 000 ტონა ნახშირბადის ორჟანგის დაჭერის პოტენციალი. სულ უფრო ცხადი ხდება კომპანიის გეგმები ბიოენერჯის და ნახშირბადის დაჭერისა და შენახვის ქარხანასთან დაკავშირებით სტოკჰოლმში ბიოსაწვავზე მომუშავე კომბინირებულ თბო და ელექტროსადგურზე. 2019 წლის დეკემბერში კომპანიამ გახსნა კვლევითი დაწესებულება, ხოლო 2020 წლის შემოდგომაზე გააფართოვა ის. აღნიშნულის მიზანია, რომ ინტეგრაციის მიმდინარე კვლევასთან ერთად კვლევითმა დაწესებულებამ უზრუნველყოს საკმარისად მყარი შედეგების მიღება, რომლის საფუძველზეც „Stockholm Exergi“ განახორციელებს ინვესტიციას ფართომასშტაბიან ობიექტში.

2021 წლის აპრილში, კომპანია „Sörab“-თან ერთად, რომელიც არის სტოკჰოლმის რეგიონის რამდენიმე მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ნარჩენების მართვის რეგიონული კომპანია, „Stockholm Exergi“-მ გახსნა ნარჩენების დახარისხების ქარხანა სტოკჰოლმის ჩრდილოეთით. ნარჩენების ხელახალი დახარისხება არის „Stockholm Exergi“-ს მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს ნახშირბადის ორჟანგის გაფრქვევების შემცირებას და მასალების გადამუშავების გაზრდას, რაც მნიშვნელოვანია ცირკულარული ეკონომიკის გაძლიერებისთვის. საყოფაცხოვრებო და ბიზნესის ნარჩენებში შეყოლილი პლასტიკის გამორჩევით შესაძლებელია ნარჩენებიდან დამატებით 75% პლასტიკის ამოღება მათ ინსინერაციამდე, რაც შეამცირებს ნახშირბადის ორჟანგის გაფრქვევებს. ასევე ხდება ლითონისა და სურსათის ნარჩენების დახარისხებაც. ეს ობიექტი წარმოადგენს ერთ-ერთ ღონისძიებას საოჯახო მეურნეობებისა და ბიზნესის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან ძალისხმევაზე დამატებით.

საკონტაქტო პირი

ოლგა აქსელსონი, კომპანია „Stockholm Exergi“-ს მდგრადი ქალაქის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი
kundservice@stockholmexergi.se
<https://www.stockholmexergi.se/>



შესყიდვები სუფთა მშენებლობის სექტორში⁵⁰ – ოსლოს მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)

☎ მოსახლეობა: 1 056 180

ოსლო არის ნორვეგიაში მეორე ადგილზე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, რომელიც შესყიდვების მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებს მშენებლობის მიმართულებით. მუნიციპალიტეტი იყენებს შესყიდვების სფეროში თავის უფლებამოსილებას, რათა დააჩქაროს მწვანე ცვლილები, შეინარჩუნოს კლიმატთან დაკავშირებული ამბიციური მიზნები და ხელი შეუწყოს ცირკულარულ ეკონომიკას. ოსლოს სახელმწიფო შესყიდვების სტრატეგიის თანახმად, მიმწოდებლებმა წვლილი უნდა შეიტანონ გადამუშავებაში, შეამცირონ ნარჩენები, მოძებნონ ეკოლოგიურად უფრო უსაფრთხო გადაწყვეტილებები და შეამცირონ ენერჯის მოხმარება. გარდა ამისა, ოსლო თანამშრომლობს ევროპის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჯგუფთან, რომლებიც ახდენენ პასუხისმგებელი მიწოდების ჯაჭვის პოპულარიზაციას და ამცირებენ სათბური აირების გაფრქვევებს, მაგალითად, წიაღისეული საწვავისგან და გაფრქვევებისგან თავისუფალი შენობებისა და სამშენებლო უბნების საშუალებით.

დაბინძურების მაკონტროლებელ ორგანოებთან დიალოგის ფარგლებში, ოსლოს ქალაქის ხელისუფლება დარაიონების ახალ გეგმებში ჩართავს მოთხოვნებს წიაღისეული საწვავისგან თავისუფალ შენობებსა და სამშენებლო უბნებთან დაკავშირებით და, თანდათანობით, ასევე მოთხოვნებს ნულოვანი გაფრქვევების მქონე შენობებსა და სამშენებლო უბნებთან დაკავშირებით. ქალაქი ოსლო უკვე ითხოვს საკუთარ პროექტებში წიაღისეული საწვავისგან თავისუფალ/ნულოვანი გაფრქვევების მქონე მშენებლობას. თუმცა, ყოველი ხუთი სამშენებლო უბნიდან ოთხი სახელმწიფო ან კერძო სექტორის საკუთრებაშია. წინასწარი შეფასებით, ქალაქის ხელისუფლების ახალი მოთხოვნები შესაძლოა, გავრცელდეს სამშენებლო საქმიანობის დაახლოებით 40-80%-ზე 2024 წლისთვის, და კიდევ გაიზარდოს 2030 წლამდე. შესაბამისად, ეს მექანიზმი მნიშვნელოვნად შეამცირებს გაფრქვევებს შენობებიდან და სამშენებლო უბნებიდან სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში. ეს არის მძლავრი რეაქცია ამ სექტორში გაფრქვევების შესახებ შეგროვებულ ახალ მონაცემებზე, საიდანაც გამომჩნდა, რომ გაფრქვევები სამშენებლო უბნებიდან უფრო მეტია, ვიდრე ვარაუდობდნენ.

2020 წლიდან, ქალაქი ასევე მოითხოვს საკუთარ პროექტებში

სამშენებლო უბნებზე ნაყარი მასალების ტრანსპორტირებას წიაღისეული საწვავის მოხმარების გარეშე. ამგვარად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ პრაქტიკულად ნულიდან 100%-მდე გაიზარდოს იმ პროექტების წილი, რომელთა ფარგლებშიც ქალაქი ოსლო, როგორც მყიდველი, მოითხოვს ნაყარი მასალების ტრანსპორტირებას წიაღისეული საწვავის მოხმარების გარეშე.

საკონტაქტო პირი

კამში გუნარათამი, ვიცე-მერი, ოსლოს მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)

+47/91 56 01 16

kamzy.gunaratnam@oslobystyre.no



მონაკო ნულოვანი ნარჩენებით – ქალაქი მონაკო (მონაკო)

მისახლეობა: 38 350

ქალაქ მონაკოს მიზანია ებრძოლოს ყველა სახის ნარჩენებს მრავალმხრივი სტრატეგიის საშუალებით, როგორცაა ჯიბის საფერფლეების დარიგება და სურსათის ნარჩენებთან დაკავშირებული სტრატეგიები, ან სხვადასხვა ნივთისთვის მეორე სიცოცხლის მინიჭების მცდელობა პროექტის „Monaco s'engage contre le gaspillage“ (MEG) საშუალებით.

2010 წელს ქალაქის მერიამ და კომპანიამ „Société Monégasque d'Assainissement“ (SMA) გააფორმეს პარტნიორობა ზაფხულის სეზონზე პლაჟებზე საფერფლეების დარიგებასთან დაკავშირებით. 2012 წელს პროექტს შეუერთდა სამთავროს ტურიზმისა და საკონვენციო ორგანოც. თავდაპირველად, პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქვიშაზე სიგარეტის ნამწვის რაოდენობის შემცირება და პლაჟის ხარისხის შენარჩუნება. ლარვოტოს პლაჟზე ყოველ ზაფხულს დაახლოებით 8 500 საფერფლე რიგდება. 2017 წლიდან ჯიბის საფერფლეები რიგდება ტურიზმის დეპარტამენტის სხვადასხვა საინფორმაციო პუნქტშიც. 2021 წელს პროექტმა ახალი განზომილება შეიძინა, რაც მოიცავდა ჯიბის საფერფლეების დარიგებას მთელს ქალაქში და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიას გარემოზე სიგარეტის ნამწვის უარყოფითი ზემოქმედების შესახებ.

2013 წელს ჩატარებული შეხვედრების პირველი რაუნდის შემდეგ, მონაკომ დაიწყო კამპანია „სურსათის ნარჩენები: ვიმოქმედოთ!“ (Food waste: let's take action!), ხოლო 2014 წლის ივნისში წარმოდგენილ იქნა

კონკრეტული სამოქმედო პროგრამა. შედგენილ იქნა ქარტია, რომელიც ხელმოსაწერად გადაეცა ფართო საზოგადოებას, და ასევე მომზადდა ბუკლეტი (კომიქსის სახით) ბავშვების ცნობიერების ასამაღლებლად. 2015 წელს ცნობიერების ამაღლების კამპანია გაგრძელდა პროექტით „მზარეულების გამოწვევა“ (Chefs' Challenge). პროექტის ფარგლებში, ორმა ცნობილმა მზარეულმა საკუთარი მთავრებით მოამზადა კერძები სამთავროს მაღაზიებიდან და კონდამინის ბაზრის მებოსტნეებისგან მიღებული სასურსათო პროდუქტებით (იმ პროდუქტებით რომლებიც გადასაყრელად იყო გამზადებული, თუმცა ჯერ კიდევ ვარგისი იყო საკვებად). ამ ღონისძიების მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ კერძის მომზადება ისეთი სასურსათო პროდუქტით, რომელსაც ეწურება მოქმედების ვადა, ან ოდნავ დამჭკნარი ან დაზიანებული ხილისა თუ ბოსტნეულის მოხმარება, არის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და მათი გამოყენებით შესაძლებელია გემრიელი კერძების მომზადება. გარდა ამისა, მონაკოს რესტორნების მფლობელების მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „La petite boîte“ (პატარა ყუთი). პროექტის ფარგლებში რესტორნების მომხმარებლებს ეძლევათ პატარა კონტეინერები, რომლითაც შეუძლიათ დარჩენილი კერძები და ბოთლები თან წაიღონ. 2016 წლიდან 50-ზე მეტმა დაწესებულებამ გამოთქვა პროექტში ჩართვის სურვილი. პროექტის დაწყებიდან დღემდე უფასოდ დარიგდა თითქმის 20 000 პატარა ყუთი.

და ბოლოს, „Monaco s'engage contre le gaspillage“ (MEG) ინიციატივის ფარგლებში ხდება წინასწარ გამოცხადებული სხვადასხვა კატეგორიის ნივთების შეგროვება (მაგ: სათამაშოები, წიგნები, ელექტრონული მოწყობილობები, საბნები, სასკოლო წიგნები და ა.შ.), რათა ადდგეს და, თუ შესაძლებელია, მეორე სიცოცხლე მიენიჭოს ნივთებს, რომლებსაც არ ან აღარ იყენებენ. აღნიშნული პროექტის მიზანია ყველა კატეგორიის ნარჩენების შემცირება და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა. ამის შემდეგ, შეგროვებული ნივთები გადანაწილდება ერთ ან რამდენიმე ასოციაციაში. პროექტისთვის ასევე შეიქმნა ვებგვერდი: (www.contrelegaspillage.mc).

საკონტაქტო პირი

ჟერომ ბონინი, ვაჭრობის, ადმინისტრაციული ნაგებობებისა და ბაზრების კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელი, ქალაქი მონაკო

jbonnin@mairie.mc



სამშენებლო პარტნიორების დიალოგი – მალმო (შვედეთი)⁵¹

მოსახლეობა: 344 166

ქალაქ მალმომში შედარებით დიდი ტერიტორიის განაშენიანების დროს ჩვეულებრივ იმართება „სამშენებლო დიალოგი“ ქალაქსა და სამშენებლო კომპანიებს შორის. ყველა მონაწილე სამშენებლო კომპანია და ყველა შესაბამისი მუნიციპალური დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს შეხვედრებს, რათა განიხილონ და შეიმუშაონ ერთიანი სტანდარტები და მიზნები გასაშენებელ ტერიტორიასთან დაკავშირებით. დიალოგი იწყება დაგეგმარების ოფიციალური პროცესის დაწყებამდე ან დეტალური გეგმის შემუშავების შემდეგ და, როგორც წესი, გრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაში.

დიალოგი სამშენებლო პარტნიორებს შორის არის წარმატებული მოდელი მალმომში და სულ უფრო მოთხოვნადი ხდება, რადგან ხელს უწყობს ყველა ჩართული მხარის მუშაობას. მუნიციპალიტეტისთვის ეს ნიშნავს იმას, რომ შეიძლება შეთანხმება იქნეს მიღწეული უფრო მკაცრ მიზნებზე, ვიდრე სამართლებრივად არის სავალდებულო, მაგალითად, შენობების ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის დეპარტამენტები შესაძლოა, შეთანხმდნენ საერთო პოზიციაზე და დასახონ პრიორიტეტები. სამშენებლო კომპანიებისთვის კი ეს ნიშნავს, მაგალითად, სამშენებლო ნებართვების მისაღებად განხილვის ვადების შემცირებას. გარდა ამისა, მიმდინარეობს ურთიერთსწავლების პროცესი მოწინავე და ახლად დაფუძნებულ სამშენებლო კომპანიებს შორის. კონკრეტული ტერიტორიისთვის ერთიანი მარკეტინგული სტრატეგია, როგორც წესი, ერთობლივად არის შემუშავებული და ეფექტურად მოიცავს ტერიტორიას.

საკონტაქტო პირი

როლანდ ზინკერნაგელი, გარემოს დაცვის დეპარტამენტი, ქალაქი მალმო (შვედეთი)

roland.zinkernagel@malmo.se



ქალაქ კაპანორის, რომელიც მდებარეობს იტალიის ჩრდილოეთით, აქვს ერთ-ერთი უმაღლესი მუნიციპალური გადამუშავების მაჩვენებელი ევროპაში. ნულოვანი ნარჩენების მქონე ქალაქი არის მტკიცე პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და საზოგადოების მონაწილეობის მაგალითი ინოვაციური შედეგების მიღწევის მიმართულებით. ეს მოდელი შესაძლოა, მარტივად იქნეს გადაღებული ნებისმიერ სხვა ადგილზე იტალიაში, რადგან იტალიის მუნიციპალიტეტების 98%-ში ცხოვრობს 50 000-ზე ნაკლები მაცხოვრებელი, რაც შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 66%-ს.

ნულოვანი ნარჩენების სტრატეგიას ხელი მოეწერა 2007 წელს და მას შემდეგ ნარჩენები შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე 40%-ით, 1.92 კგ-დან 1.18 კგ-მდე ერთ ადამიანზე წელიწადში. 2014 წელს ნარჩენების მხოლოდ 18% ხვდებოდა ნაგავსაყრელებზე. კაპანორიმ შეიმუშავა არაერთი სტრატეგია ნარჩენების ასეთი მკვეთრი შემცირებისთვის. პირველ რიგში, მუნიციპალიტეტმა დაწერა კარდაკარ შეგროვების სისტემა, რომლის მიზანიც იყო მაცხოვრებლების ჩართვა და მათთვის წყაროსთან დახარისხების პრაქტიკის სწავლება. გაიხსნა ხელახალი გამოყენების ცენტრი, სადაც შესაძლებელია ისეთი ნივთების, როგორცაა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სათამაშოები, ელექტროსაქონელი და ავეჯი, შეკეთება და გაჭირვებულთათვის მიყიდვა. 2012 წელს ცენტრში ჩაბარდა დაახლოებით 93 ტონა ნივთი. გარდა ამისა, 2009 წელს გაიხსნა სასურსათო მაღაზია, სადაც ბითუმად იყიდება 250-ზე მეტი დასახელების ადგილობრივი საკვები და სასმელი. მუნიციპალიტეტი საგადასახადო შეღავათებს უწესებს მცირე ბიზნესს იმ პროდუქტების შესანახად, რომლებიც შეიძლება შეივსოს მომხმარებელთა კონტეინერებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი წახალისებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და მონაწილეობას ისეთი აქტივობების ხელშეწყობით, როგორცაა კომპოსტირება საოჯახო მეურნეობებში, ან ერთობლივი მიდგომა საზოგადოებასთან შეხვედრების გზით, რომელთა მიზანია ინფორმაციის გავრცელება, უკუკავშირი და ნარჩენების დასახარისხებელი ნივთების ნაკრების უფასოდ დარიგება.

საკონტაქტო პირი

ჟან ლუკა ბუჩი, გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და ტოპონიმიკის სამსახური, ქალაქი კაპანორი (იტალია)

Reparathon – ქალაქი მონაკო (მონაკო)

 მოსახლეობა: 38 350

2021 წლის 27 ნოემბერს, მონაკოს სამთავროს ენერგეტიკული გადასვლის პაქტთან პარტნიორობით, მონაკოს მერიამ მოაწყო თავისი პირველი „Reparathon“. „Reparathon“-ის მიზანია იმ ადამიანებისა და ასოციაციების, რომლებმაც იციან ნივთების შეკეთება, დაკავშირება იმ პირებთან, რომელთაც სჭირდებათ ნივთების შეკეთება.

სოციალური ქსელების (Facebook, Instagram, LinkedIn) საშუალებით გაკეთებული პირველი განცხადების შემდეგ იმ ადამიანებისთვის, რომელთაც შეეძლოთ ნივთების შეკეთება ან კერვა, მონაკოს მერიამ მეორე განცხადება გააკეთა იმ მოქალაქეებისთვის, რომელთაც სჭირდებოდათ ნივთების შეკეთება, და მოუწოდა მათ, დაჰკავშირებოდნენ მერიას. ამის შემდეგ მერიამ ერთმანეთს შეუსაბამა მოთხოვნები და უნარები და განსაზღვრა შესაბამისი გრაფიკი.

შეკეთების 33 მოთხოვნიდან, შემკეთებლებმა მიიღეს 24 მოთხოვნა. ასევე, სამმა ადამიანმა სპონტანურად წარმოადგინა შესაკეთებელი ნივთები და, შესაბამისად, მიიღო მომსახურება.

„Reparathon“-ის პირველ ღონისძიებას მოჰყვა ბევრი დადებითი უკუკავშირი მოსახლეობის მხრიდან და ის რეგულარულად განხორციელდება. ღონისძიების გაგრძელების ფარგლებში ასევე შეიქმნება ქალაქის შემკეთებლებისა და დიზაინერების ციფრული საძიებელი, რათა მაცხოვრებლებს ჰქონდეთ არჩევანი ნივთების შეკეთებასა და განახლებას შორის.

საკონტაქტო პირი

ჟერომ ბონინი, ვაჭრობის, ადმინისტრაციული ნაგებობებისა და ბაზრების კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელი, ქალაქი მონაკო

jbonnin@mairie.mc

რეკომენდაციები



- **წახალისეთ** ნარჩენების მდგრადი მართვა ქალაქში გადამამუშავებელი ურნების განთავსებით და დანაგვიანების საწინააღმდეგო კამპანიების წარმოებით.
- **განახორციელეთ ინვესტიცია** მდგრადობაზე ორიენტირებულ მცირე ბიზნესში, მაგალითად ახალგაზრდა მეწარმეებისთვის კონკურსის მოწყობით და საუკეთესო იდეის დაფინანსებით.
- **მხარი დაუჭირეთ** უფრო მეტ მწვანე პოლიტიკას ეროვნულ დონეზე.
- **ხელი შეუწყვეთ** ცირკულარული ეკონომიკის სქემებს – ადგილობრივ ბიზნესს, რომელიც ყიდის ისეთ პროდუქტებს რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაძლებს (მაგ: მრავალჯერადი გამოყენების ლითონის ბოთლები), და სურსათის მაღაზიებს, რომლებიც ყიდიან პროდუქციას შეფუთვის გარეშე.
- **წახალისეთ ინოვაციურობა** ადგილობრივ დონეზე მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ეკოლოგიურად გაცნობიერებული ინიციატივებისთვის ეკონომიკური შეღავათების დაწესებით.



მდგრად
განვითარებასა
და კლიმატთან
დაკავშირებული
ადგილობრივი
სტრატეგიები

განმარტება

გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის ადგილობრივი სტრატეგიების შემუშავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხებზე ეფექტური რეაგირებისთვის. მდგრადი განვითარებისთვის ქვემოდან ზემოთ მიდგომის ეფექტურად განხორციელებამდე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ამიტომ ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებთან, რათა ერთად დავიცვათ გარემო.

თუმცა, ეროვნული სტრატეგიის ბევრ დოკუმენტში სუბნაციონალური (ადგილობრივი და რეგიონული) დონეები მხოლოდ ზოგადად არის განხილული, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის კონკრეტული და გაზომვადი მიზნებისა და შედეგების განსაზღვრის გარეშე. ამგვარად, სახელმძღვანელოს ამ ბოლო ნაწილში აღწერილია ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გაწეული ძალისხმევა კონკრეტული სტრატეგიების შემუშავების მიმართულებით, კლიმატსა და მდგრადობასთან დაკავშირებული კონკრეტული მიზნებით, რომლებიც მორგებულია ადგილობრივ და რეგიონულ რეალობას.

იცოდით თუ არა, რომ



გაეროს ადამიანთა დასახლებების პროგრამის (UN-Habitat) „ქალაქების კეთილდღეობის ინიციატივა“ არის გლობალური ინიციატივა, რომლის მიზანია შესაძლებლობების და ჩარევის სფეროების გამოვლენა ქალაქების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ინიციატივას აქვს ჰოლისტიკური მიდგომა და ის არის მდგრადი ურბანული განვითარების გაზომვის, ქალაქის ხედვის ჩამოყალიბებისა და გრძელვადიანი გეგმების შედგენის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქებში მდგრადი პრაქტიკისა და ინფრასტრუქტურის გაზრდას.

წყარო: ქალაქის კეთილდღეობის ინიციატივა, გაეროს ადამიანთა დასახლებების პროგრამა (unhabitat.org).

სისტემური მიდგომა მდგრადობის მონიტორინგის მიმართ – რიგა (ლატვია)

 მოსახლეობა: 614 618

რიგას მდგრადი განვითარების სტრატეგიით 2030 წლისთვის დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა დაბალანსებული განვითარება, რომელიც ხელს უწყობს რიგას მაცხოვრებლებისა და ექსპერტების ჩართულობას სტრატეგიის შემუშავებისა და წარმატებით განხორციელების პროცესში და ასევე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მონიტორინგს. ქალაქი რიგა ხელს უწყობს და მხარს უჭერს ისეთ დაგეგმარებას, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიის მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას, საზოგადოების ფართო ინტერესების გათვალისწინებით. დაგეგმარების პროცესი პირდაპირ გავლენას ახდენს ურბანული გარემოს ხარისხზე და ცხოვრების დონეზე. სწორედ მუნიციპალიტეტის მოვალეობებში შედის როგორც ურბანული გარემოს დაბალანსებული განვითარების, ისე ქალაქის განვითარების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.

უწყვეტ მონიტორინგს და ანგარიშგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ მოხდეს რიგაში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება, შესაძლო ხარვეზებისა და გამოწვევების განსაზღვრა და ასევე ამ ცოდნის გამოყენება დაგეგმვის პროცესის გასაუმჯობესებლად. რიგას მდგრადი განვითარების სტრატეგიისა და განვითარების პროგრამის ადგილობრივ დონეზე განხორციელების მონიტორინგის 14-წლიანი ისტორია აქვს.

მდგრადი განვითარების მონიტორინგი არის ყოველწლიური პროცესი, რომელიც ხორციელდება ქალაქის დონეზე და რომელშიც ჩართულია 29 დაწესებულება და რიგას ქალაქის საბჭოს სტრუქტურული ერთეულები, 2000-ზე მეტი მაცხოვრებელი რიგას 58 უბნიდან, ასევე ხუთი გარე ექსპერტი ეკონომიკის, სოციალური უზრუნველყოფის, ურბანული გარემოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მმართველობის სფეროებში. ეს მონიტორინგის პროცესი მოიცავს მონაცემთა შეგროვებას, შიდა და გარე შეფასებას და ანგარიშგებას. 2020 წლიდან, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ

ცნობიერების ამაღლების პროცესის ფარგლებში, მონიტორინგის ანგარიშში დამატებულია ახალი პუნქტი, რომელიც ეხება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას ქალაქ რიგაში.

რიგას განვითარების შესახებ საზოგადოებისთვის უახლესი ინფორმაციის მიწოდებისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, ყოველ წელს, ქალაქის საბჭოს მიერ მონიტორინგის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ეს ანგარიში ქვეყნდება სტრატეგიის მონიტორინგის სისტემის ვებგვერდზე (<https://sus.lv/>).

საკონტაქტო პირი

იურის გრიზანსი, ქალაქის განვითარების განყოფილება, რიგას საქალაქო საბჭო (ლატვია)

+371/67 01 35 95 • jurijs.grizans@riga.lv



კლიმატთან დაკავშირებული ბიუჯეტის შედგენა⁵³ – ოსლო (ნორვეგია)

მსახლეობა: 1 056 180

კლიმატთან დაკავშირებული ბიუჯეტის შედგენა არის ახალი მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც ამარტივებს დაგეგმვის ეტაპიდან მოქმედების ეტაპზე გადასვლას, ქალაქის კლიმატთან დაკავშირებული მიზნების შესაბამისი ღონისძიების განსაზღვრას, აგრეთვე მათი გამჭვირვალობისა და ჩართულობის უზრუნველყოფას. ასეთ სისტემაში, გაფრქვევების შემცირებისთვის ბიუჯეტი დგინდება და ანგარიში მზადდება ზუსტად ისევე, როგორც ფინანსური ხარჯების დაგეგმვისა და ანგარიშგების შემთხვევაში. პასუხისმგებლობები კარგად არის განსაზღვრული და უზრუნველყოფილია დაფინანსება ყველა ღონისძიებისთვის. რეგულარული ანგარიშგება ამარტივებს იმის გაზომვას, შეესაბამება თუ არა ღონისძიება მიზნებს, რაც იძლევა კორექტირების საშუალებას. ამგვარად, კლიმატთან დაკავშირებული ბიუჯეტი წარმოდგენას უქმნის ყველა დაინტერესებულ მხარეს იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ქალაქი კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად.

ქალაქი ოსლო სავარაუდოდ პირველი ქალაქი იყო მსოფლიოში, რომელმაც შექმნა ასეთი სისტემა. 2016 წლიდან ქალაქი

რეგულარულად აუმჯობესებს სისტემას, რომელიც ახლა უკვე მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც არის დანერგილი. ნორვეგიის სხვა ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით ასევე შეიქმნა სისტემა, რომელიც განკუთვნილია შედარებით პატარა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისთვის და ხელმისაწვდომია ყველასთვის „ნორვეგიის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების გაერთიანების“ ვებგვერდზე.

კლიმატთან დაკავშირებული ბიუჯეტი ცხადყოფს, რომ მიზნების მიღწევა მხოლოდ მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელების გზით არის შესაძლებელი. ამისთვის საჭიროა ქალაქის მაცხოვრებლების და ბიზნესის ჩართულობა, აქტიური და წარმატებული თანამშრომლობა რეგიონულ და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის და საკუთრივ ქალაქ ოსლოს მოწყობის ფარგლებში. ქალაქის ხელისუფლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებები არ იწვევდეს სოციალურ უთანასწორობას. ამგვარად, ყველა შესაბამის გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც კლიმატთან დაკავშირებული, ისე განაწილების შედეგები. ქალაქის 2021 წლის კლიმატთან დაკავშირებული ბიუჯეტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.klimaoslo.no/wp-content/uploads/sites/88/2021/02/Climate-Budget-2021-Oslo.pdf>.

საკონტაქტო პირი

ჰეიდი სორენსენი, ქალაქ ოსლოს კლიმატის სააგენტოს დირექტორი
+47/21 80 21 80 • heidi.sorensen@oslobystre.no
<https://www.klimaoslo.no/>



**რეკიავიკის მწვანე შეთანხმება
ნახშირბადნეიტრალურ ქალაქთან და
საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით –
რეკიავიკი (ისლანდია)⁵⁴**

მისახლეობა: 122 853

რეკიავიკმა მიზნად დაისახა, რომ 2040 წლისთვის გახდეს ნახშირბადნეიტრალური ქალაქი. მომდევნო ათწლეული იქნება მოქმედების ათწლეული და მნიშვნელოვანი გამოცდა მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ქალაქისთვის კლიმატის ცვლილებისა და ეკოლოგიური დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. თუ

პარიზის შეთანხმების მიზნები მიიღწევა, გაფრქვევები რეიკიავიკში განახევრდება 2030 წლისთვის, და კიდევ განახევრდება მომდევნო ათწლეულში. ასევე უნდა მოხდეს ნახშირბადის დაჭრის გეგმის განხორციელება.

2020 წლის დეკემბერში, COVID-19-ის შემდგომ ეკონომიკის აღდგენის საგზაო რუკის სახით ქალაქმა რეიკიავიკმა მიიღო „მწვანე შეთანხმება“. „მწვანე შეთანხმება“ ეხება მდგრადობის სამივე განზომილებას: ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ განზომილებებს. ამ გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინვესტირება მწვანე ინფრასტრუქტურაში და სოციალურ განვითარებაში ისე, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა. ასევე განახლდა „კლიმატთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა“, რომელიც თავდაპირველად 2015 წელს ამოქმედდა. „კლიმატთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა“ შეიძლება დაიყოს ექვს მთავარ მიზნად, რომლებიც ეხება როგორც კლიმატის, ისე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროექტებს. ეს მიზნებია: ენერჯის სრული გაცვლის ხელშეწყობა, ჯანმრთელობის ხელშეწყობი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის გაზრდა, ეკოლოგიურად უსაფრთხო ქალაქდაგეგმარება, ცირკულარული ეკონომიკის დანერგვა, დაბალნახშირბადიანი სამშენებლო მასალების და პროექტების გამოყენება და ნახშირბადის ეფექტური დაჭრა. რეიკიავიკის ქალაქის საბჭო დარწმუნებულია, რომ კლიმატზე ორიენტირება ნიშნავს მოქალაქეების ჯანმრთელობასა და მათი ცხოვრების დონეზე, ასევე მწვანე ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობაზე, ორიენტირებას.

საკონტაქტო პირი

მაგნუს ინგვი იოსეფსონი, კვლევითი პროგრამების მენეჯერი, მომსახურებისა და ინოვაციების დეპარტამენტი, ქალაქი რეიკიავიკი (ისლანდია)
Magnus.Yngvi.Josefsson@reykjavik.is



არენდალის მწვანე სტრატეგია – არენდალის მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)

მისახლეობა: 44 576

არენდალი არის ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტი ნორვეგიაში, რომელმაც მიზნად დაისახა 2030 წლის დღის წესრიგში წვლილის შეტანა და 2008 წლიდან ახორციელებს CO₂-ის შემამსუბუქებელ ღონისძიებებს. 2007-2017 წლებში არენდალში

გაფრქვევები შემცირდა 80%-ით და მუნიციპალიტეტმა მიიღო სასწრაფო ზომები კლიმატის ცვლილების და მისი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

„არენდალის მწვანე სტრატეგია“ (Green Strategy for Arendal), რომელიც არის კლიმატსა და ენერჯიასთან დაკავშირებული არენდალის ახალი გეგმა, სავარაუდოდ გარდაქმნის არენდალს „ეროვნულ დონეზე წამყვან და საერთაშორისოდ აღიარებულ კლიმატისა და გარემოს დამცავ ქალაქად და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის სასწავლო პარტნიორად“. ამ სტრატეგიის საშუალებით ადგილობრივი ხელისუფლება წახალისებს ბიზნესს, რომ გადავიდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო ოპერაციებზე.

საკონტაქტო პირი

არენდალის მუნიციპალიტეტი

+47/37 01 30 00

<https://www.arendal.kommune.no/english/contact/>



მდგრადობის სტრატეგია – ბადენ-ვიურტემბერგი (გერმანია)

 მოსახლეობა: 11 070 000

2007 წელს ამოქმედებული მდგრადობის სტრატეგია მიზნად ისახავს მდგრადობის მიზნის განხორციელების სტიმულირებასა და მხარდაჭერას ბადენ-ვიურტემბერგის რეგიონში. ეს არის პლატფორმა ფედერალური სახელმწიფოსთვის, მუნიციპალიტეტებისთვის, ბიზნესისთვის და საზოგადოებისთვის, რომელიც რეგულარულად ვითარდება. ყველაზე აქტუალური თემებია მიმდინარე თემატური პრიორიტეტები, როგორცაა კლიმატი და ენერჯია, განათლება მდგრადი განვითარებისთვის, მდგრადი მოხმარება და ცხოვრების წესი, აგრეთვე მდგრადი კლიმატ-სტრატეგიული ბიზნესი. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადმინისტრაციის სამაგალითო ფუნქცია და რეგიონულ დონეზე მყარი მდგრადი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმების დანერგვა.

რეგიონში მდგრადი განვითარების მონიტორინგისა და ხელშეწყობის მიზნით ბადენ-ვიურტემბერგი რეგულარულად ადგენს მდგრადობისა და ინდიკატორების ანგარიშებს. ამის შედეგად მდგრადობა ხდება კონკრეტული, გაზომვადი და შემოწმებადი. ასევე შეიქმნა რეგიონული

ხელისუფლების საკონსულტაციო საბჭო მდგრადი განვითარების საკითხებში, რომელიც კონსულტაციას უწევს ფედერალური სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს მდგრადობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და ახდენს ექსპერტებთან და მოქალაქეებთან მდგრადობის დიალოგის ინიცირებას. შეძლებისდაგვარად ბევრი სოციალური ჯგუფი განიხილავს მდგრადი ცხოვრების წესის საკითხებს. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: www.nachhaltigkeitsstrategie.de.

საკონტაქტო პირი

შტეფან ბომი, სამართლის მაგისტრი, განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე, ევროკავშირი და პეტიციები, ბადენ-ვიურტემბერგის რეგიონული პარლამენტი,
Konrad-Adenauer-Straße 3, 70173 Stuttgart
+49/(0)711 20 63-357
stefan.boehm@landtag-bw.de



კლიმატის და გარემოს დაცვის გეგმა, მწვანე ენერჯია – ბერლევაგის მუნიციპალიტეტი (ნორვეგია)

 მისახლეობა: 1 057

ბერლევაგმა მდგრადი განვითარების მიზნები ჩართო თავის გენერალურ გეგმაში, რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია კლიმატსა და გარემოზე. მუნიციპალიტეტი აქტიურ როლს ასრულებს „მწვანე გადასვლაში“ და მისი ხედვაა, რომ იყოს მწვანე და წახალისოს მდგრადი გადაწყვეტილებები ცირკულარულ ეკონომიკაში. რამდენიმე ინიციატივა არის შემუშავების პროცესში.

ბერლევაგმა გრძელი გზა გაიარა მწვანე ენერჯიის განვითარების პროცესში, „ქსელის გარე“ ქარზე მომუშავე დანადგარების პროექტის საშუალებით, რომელიც წარმოქმნის წყალბადის ენერჯიას – მომავალზე ორიენტირებულ ენერგომატარებელს, რომელსაც შეუძლია წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი ჩართულია მწვანე ენერჯიაზე გადასვლის სხვადასხვა რეგიონულ თუ ეროვნულ პროექტში, როგორცაა, მათ შორის, წყალბადის საწვავის გამოყენების წახალისება თვითმფრინავებსა და ბორნებში და ასევე რეგიონული ხელისუფლების ორგანოების დახმარება, შეისწავლონ, თუ როგორ შეიძლება წყალბადის, როგორც ენერგომატარებლის, გამოყენება

მთელი რეგიონის მიერ.

საკონტაქტო პირი

ბერლევაგის მუნიციპალიტეტი

+47/78 78 20 00

postmottak@berlevag.kommune.no



ენერგეტიკული ქალაქების ასოციაცია
(ASSOCIATION CITÉ DE L'ÉNERGIE)⁵⁵ – შვეიცარიის
რამდენიმე ქალაქი⁵⁶

„ენერგეტიკული ქალაქების ასოციაცია“ თავის თავს განიხილავს ენერჯისა და კლიმატთან დაკავშირებული ადგილობრივი პოლიტიკის კომპეტენტურ ცენტრად შვეიცარიაში. 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასოციაციამ გააერთიანა შვეიცარიის მუნიციპალიტეტები, დიდი ქალაქებისა და პატარა მთიანი სოფლების ჩათვლით, რომლებიც იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ენერჯისა და კლიმატის სფეროში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება მეტწილად შესაძლებელია ადგილობრივი და მუდმივი მონდომებით.

„ენერგეტიკული ქალაქის პროგრამის“ (Energy City Programme) საშუალებით ასოციაცია მხარს უჭერს მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც სურთ გახდნენ სამაგალითო, მდგრადი და ინოვაციური აქტორები ენერგეტიკის, კლიმატის, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში. ის წარმოადგენს მუნიციპალიტეტების ინტერესებს ენერჯისა და კლიმატის პოლიტიკაში, ადგენს მათთვის ოპტიმალურ ჩარჩო პირობებს, შეიმუშავებს უახლეს მექანიზმებს და განხორციელების დამხმარე საშუალებებს, აგრეთვე სთავაზობს მათ ყოვლისმომცველ ქსელს. „ენერგეტიკული ქალაქის პროგრამის“ გარდა, „ენერგეტიკული ქალაქების ასოციაცია“ სანიმუშო სკოლებს „ენერგეტიკული სკოლის“ ტიტულსაც ანიჭებს. ის ასევე არის ოფიციალური სერტიფიცირების ორგანო ფედერალური მთავრობის პროგრამისთვის „Sites 2000 watts“.

ასოციაციის წევრები არიან ძირითადად ქალაქები და მუნიციპალიტეტები, ასევე სხვა სახელმწიფო საწარმოები და ფიზიკური და იურიდიული პირები. 2021 წლის დასაწყისში ასოციაციას ჰყავდა დაახლოებით 660 წევრი მუნიციპალიტეტი და რეგიონი. შვეიცარიის მოსახლეობის 60%-ზე მეტი ცხოვრობს 460 ენერგეტიკული

ქალაქიდან ერთ-ერთში.

ასოციაციის მიზანია მუნიციპალიტეტის დონეზე მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკის შემუშავება. ის იცავს შვეიცარიის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ინტერესებს ენერგეტიკის პოლიტიკასთან დაკავშირებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ის მხარს უჭერს არსებული ენერგორესურსების ეკონომიურ და რაციონალურ გამოყენებას და ხელს უწყობს ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარებას.

საკონტაქტო პირი

მარენ კორნმანი, Secrétariat-Association Cité de l'énergie,
შვეიცარია maren.kornmann@enco-ag.ch
+41/061 965 99 00



მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა (SEAP) – ამარუსიონი (საბერძნეთი)⁵⁷

მოსახლეობა: 120 000

ამარუსიონი არის საბერძნეთის ერთ-ერთი წამყვანი ქალაქი ენერგეტიკული მდგრადობის თვალსაზრისით. ეს იყო პირველი ქალაქი საბერძნეთში, სადაც დაინერგა ინტეგრირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა, და ერთ-ერთი პირველი ქალაქი, რომელმაც დანერგა მწვანე კრიტერიუმები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში (მაგალითად, ენერგოეფექტური ნათურების და ელექტროსაქონლის შესყიდვების მიმართულებით). ის ასევე მუდმივად ცდილობს, გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის შენობების ენერგოეფექტურობა და მისაბაძი მაგალითი გახდეს მაცხოვრებლებისთვის. 2011 წელს ქალაქი შეუერთდა „მერების შეთანხმებას“, ხოლო ერთი წლის შემდეგ წარადგინა „მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა“. „მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმა“ იყო მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგი და მოიცავდა რამდენიმე სფეროს, როგორცაა ურბანული დაგეგმარება, მშენებლობა, ტრანსპორტი, შესყიდვები, ნარჩენების მართვა და განათლება.

„მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმის“ შეუფერხებლად და წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად, ქალაქში შეიქმნა მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმის საკითხებზე მომუშავე

უწყებათაშორისი კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტი დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის შემდეგი განყოფილებებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლებით:

- ▶ ტექნიკური მომსახურებისა და სამუშაოების დეპარტამენტი (შენობა-ნაგებობები, გარე განათება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერჯის წარმოება და ა.შ.);
- ▶ ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტი (ურბანული და მობილობის დაგეგმარება);
- ▶ გარემოს დაცვისა და ცხოვრების ხარისხის დეპარტამენტი;
- ▶ რესურსების დაგეგმვისა და შეფასების სამსახური („მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული საქმიანობის გარე დაფინანსება);
- ▶ ფინანსური მომსახურების მიმართულება („მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმასთან“ დაკავშირებული პროექტების შიდა დაფინანსება და ფინანსური მართვა);
- ▶ შესყიდვების დეპარტამენტი (ენერგოეფექტური შესყიდვები);
- ▶ საკონსულტაციო და განათლების კომიტეტი (საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების საქმიანობა);
- ▶ ხარისხის მართვისა და შიდა პროცედურების სამსახური („მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმასთან“ დაკავშირებული პროექტებისა და აქტივობების ხარისხის მართვა);
- ▶ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (ევროკავშირის ენერჯის პოლიტიკის მიღება, სხვა ქალაქებთან გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა).

ქალაქი მიზნად ისახავს CO₂-ის გაფრქვევების 20%-ით შემცირებას 2020 წლისთვის. დანაზოგის უდიდესი ნაწილი (77%) მოდის სამშენებლო სექტორზე. კომიტეტი საკვანძო როლს ასრულებს ამ მიზნების მიღწევაში. კომიტეტის ზედამხედველობით განხორციელდა ისეთი პროექტები, როგორიცაა:

- ▶ ენერგოაუდიტი და ენერგეტიკული სერტიფიკატები ყველა მუნიციპალური შენობისთვის; ოთხი შენობის ენერგოეფექტური აღდგენა ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების საშუალებით;
- ▶ მუნიციპალურ შენობებში არსებული ნათურების შეცვლა უფრო ენერგოეფექტური ნათურებით;
- ▶ ღია სივრცეების დიზაინის გაუმჯობესება მიკროკლიმატისა და ტემპერატურული კომფორტის პირობების გასაუმჯობესებლად.

საკონტაქტო პირი

ამიტის დიმიტრისი, ეროვნული რესურსების განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, ამარუსიონის მუნიციპალიტეტი (საბერძნეთი)
amidim@maroussi.gr



ადგილობრივი ზომები უფრო მწვანე ენერჯისთვის – გდინია (პოლონეთი)⁵⁸

მისახლეობა: 245 867

ქალაქი გდინია, რომელიც ახლახან დასახელდა პოლონეთის ყველაზე ენერგოეფექტურ ქალაქად, ძალისხმევას არ იშურებს იმისთვის, რომ გააუმჯობესოს მაცხოვრებლების ცხოვრების ღონე და, ამავდროულად, შეამციროს მუნიციპალური ხარჯები. ქალაქი მუშაობს სხვადასხვა გადაწყვეტილებაზე, როგორცაა განახლებული ავტობუსები, უკეთესად მომუშავე ქუჩის ლამპიონები, ნარჩენების გამოყენება ენერჯის წარმოებისთვის და ციფრული მერიის შექმნა ადგილობრივ სერვისებზე ეკოლოგიურად სუფთა და მარტივი წვდომის უზრუნველსაყოფად.

ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის ქარხანა: გდინიას ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის ქარხანა იყენებს ადგილობრივ ტექნოლოგიას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს დაბინძურება და შეამციროს ენერჯის ხარჯები. ქარხანა იმდენად წარმატებულია, რომ მუნიციპალიტეტი გეგმავს მის გაფართოებას ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისგან ბიოსაწვავის წარმოების მიზნით. გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი ავტობუსების ავტოპარკის ნახევარი იმუშავებს ამ ტიპის საწვავზე, რის შედეგადაც ბილეთის ფასი შემცირდება, ხოლო ქალაქში ჰაერი უფრო გასუფთავდება.

მდგრადი ტრანსპორტი: აშკარაა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის სფერო, სადაც განხორციელებულ მცირე ინვესტიციებს შეუძლიათ დიდი სარგებლის მოტანა მაცხოვრებლებისთვის; ბოლო ორი წლის განმავლობაში გდინიას ენერგოეფექტურმა ტროლეიბუსებმა 20%-ით შეამცირეს მუნიციპალური ელექტროენერჯის ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ადგილობრივ კომპანიას სურს ადაპტირება ეკოლოგიურად სუფთა და ჩუმ ელექტროსატრანსპორტო საშუალებებთან, ახალი ტროლეიბუსები, ზოგადად, ძვირია. ქალაქმა შეძლო ძველი დიზელზე მომუშავე ავტობუსების ჩანაცვლება

ენერგოეფექტური ტროლეიბუსებით ახალი სატრანსპორტო საშუალებების ღირებულების მხოლოდ მეოთხედის დაფინანსებით ევროპული ფონდებისგან.

ენერგოეფექტური ქუჩის ლამპიონები: ნახევარ ქალაქში ქუჩის ლამპიონების ენერგოეფექტური ალტერნატივით ჩანაცვლების შედეგად შემცირდა ქალაქის ელექტროენერჯის ხარჯები. ამან საშუალება მისცა ქალაქს, მნიშვნელოვნად შეემცირებინა ხარჯები და მოეხდინა დანაზოგის რეინვესტირება გარე განათების სისტემაში. გარდა იმისა, რომ მაცხოვრებლები თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ ქუჩის ლამპიონების რაოდენობის 50%-ზე მეტად ზრდით, ენერგოეფექტური ნათურები და ჭკვიანი კონტროლის სისტემები უზრუნველყოფს, რომ ელექტროენერჯია ფუჭად არ დაიხარჯოს.

საგზაო საცობის თავიდან აცილების სქემა: პიკის საათებში შუქნიშნის სინქრონიზებული მწვანე შუქის გამოყენების შედეგად მგზავრობის პერიოდი მცირდება, ჰაერის ხარისხი უმჯობესდება და მაცხოვრებლებიც უფრო მშვიდად გადაადგილდებიან. პოლონეთის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა ეს ფაქტორები ქალაქში საგზაო საცობის თავიდან აცილების სქემის შემუშავებისას. ქალაქში და მის შემოგარენში მთავარ გზაჯვარედინებზე დამონტაჟდა საცობის ამომცნობი კამერები; როდესაც ისინი აფიქსირებენ სატრანსპორტო საშუალებების რიგს, საგზაო მოძრაობის მართვის სისტემა ახდენს შუქნიშნის მწვანე შუქის რიტმის ადაპტირებას ამ უბანში გზის გამტარობის გაზრდის მიზნით. გდინია ასევე ეხმარება მანქანებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრებს ყოველდღიური მგზავრობის გაუმჯობესებაში, გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ მათთვის ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდებით და ფეხით მოსიარულეთათვის და ველოსიპედის მომხმარებელთათვის ქალაქის მთავარ უბნებში ალტერნატიული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.

საკონტაქტო პირი

ჰანა გორეცა-ბანასიკი, ქალაქი
გდინია (პოლონეთი) h.gorecka-
banasik@gdynia.pl



- **გააზიარეთ** ცოდნა და გამოცდილება არა მხოლოდ ქალაქებსა და რეგიონებს და ქალაქებსა და სოფლებს შორის, არამედ ასევე საზოგადოებაშიც.
- **ითანამშრომლეთ** სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება გარემოსდაცვით საკითხებში.
- **გააძლიერეთ** ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების ორგანოების ქმედებები კლიმატთან დაკავშირებით, ასევე მრავალდონიანი მმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა, ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესრულებასთან ერთად.
- **მოუწოდეთ** ეროვნულ ხელისუფლებას, აამაღლონ ცნობიერება და ჩართონ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში, ადამიანის უფლებათა დაცვის კომპონენტის გათვალისწინებით.
- **კონცენტრირება** **მოახდინეთ** მრავალდონიან თანამშრომლობაზე, რომელსაც შეუძლია გაზარდოს სუბნაციონალური ხელისუფლების ორგანოების შესაძლებლობები კლიმატთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისა და პოლიტიკის შემუშავებისას კლიმატისა და მდგრადობის კომპონენტის გათვალისწინების მიმართულებით.
- **გამოავლინეთ** და დაეყრდენით შეთანხმებულ მოქმედებას და კავშირებს სხვა ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ ხელისუფლების ორგანოებთან და მათ კლიმატთან დაკავშირებულ და განვითარების სტრატეგიებთან.



გამოყენებული მასალა და დამატებითი საკითხავი

ევროპის მწვანე შეთანხმება (A European Green Deal), https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en.

ევროპის საბჭო, გარემო (Council of Europe, The environment), <https://www.coe.int/en/web/compass/environment>.

ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებები და გარემო, პრიორიტეტი ევროპის საბჭოსთვის (Council of Europe, Human rights and the environment, a priority for the Council of Europe), <https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/human-rights-environment>.

Déjeant-Pons M., Pallemert M., *Human rights and the environment: საერთაშორისო და ევროპულ ჩარჩოებში გარემოსთან დაკავშირებული ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების შესახებ დოკუმენტებისა და სხვა საერთაშორისო ტექსტების კომპილემი*, ევროპის საბჭო ბელგიის სოციალურ საკითხთა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლობით, 2002 წლის ნოემბერი, <https://rm.coe.int/1680489692>.

ევროქალაქები, უკეთესი ცხოვრების ხარისხი ყველასთვის,

ევროქალაქების 2020-2030 წლების სტრატეგიული ჩარჩო (Eurocities, A better quality of life for all Eurocities' strategic framework 2020-2030), <https://eurocities.eu/about-us/a-better-quality-of-life-for-all-eurocities-strategic-framework/>.

ევროქალაქები, კლიმატის ცვლილება და ენერგეტიკული გადასვლა (Eurocities, Climate change and energy transition), <https://eurocities.eu/goals/climate-change-and-energy-transition/>.

ევროკავშირის „მერების შეთანხმება“ (EU Covenant of Mayors), <https://www.covenantofmayors.eu/en/>.

ევროპის მწვანე დედაქალაქი (European Green Capital), https://ec.europa.eu/environment/european_greencapital/about-the-award/policy-guidance/best-practice-publications/

ევროკავშირის „მერების შეთანხმება“ (Global Covenant of Mayors), <https://www.globalcovenantofmayors.org/>.

Knox J. H., “The Paris Agreement as a Human Rights Treaty”, June 2018, *Human Rights and 21st Century Challenges: Poverty, Conflict, and the Environment*, Akande et al. eds., Oxford University Press, available at: <https://ssrn.com/abstract=3192106>

2030 წლის დღის წესრიგის ლოკალიზაცია, მდგრადი განვითარების მიზნები და ადგილობრივი ხელისუფლება (Localising the 2030 Agenda, SDGs and local authorities), <https://sustainabledevelopment.un.org/index.php?page=view&type=30022&nr=754&menu=3170>.

Mayer B., “Human Rights in the Paris Agreement”, *Climate Law* 6, 2016, 109-117.

სიენას სოლიდარობის დეკლარაცია ეკოლოგიური კანონმდებლობისა და მმართველობის ასოციაციის ამოქმედებისას (The Siena Declaration of Solidarity at the Launch of the Ecological Law and Governance Association), 2017 წლის ოქტომბერი, <https://elgaworld.org/siena-declaration>.

მესამე მხარის ჩარევა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჩივარი No. 39371/20, სტრასბურგი, 2021 წლის 5 მაისი, <https://rm.coe.int/third-party-intervention-by-the->

council-of-europe-commissioner-for- hum/1680a26105.

UNFCCC, პარიზის შეთანხმება (The Paris Agreement), <https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement>.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახური (OHCHR), ადამიანის უფლებები და გარემო.

გაერო, მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის საგზაო რუკა: განხორციელება და მონიტორინგი სუბნაციონალურ დონეზე, „Local 2030“ – მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაცია (*Roadmap for localizing the SDGs: Implementation and monitoring at sub-national level, Local 2030 – Localizing the SDGs*),

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (UN Sustainable Development Goals (SDGs)), <https://sdgs.un.org/goals>.

გამოყენებული ლიტერატურა



ქვემოთ ჩამოთვლილი გამოყენებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ონლაინ, შტრიხკოდზე ან ვებგვერდის მისამართზე ერთი დაწკაპუნებით: www.coe.int/congress-handbook3-references

- 1 მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, პროექტი „Gabčíkovo-Nagymaros Project“, 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, 1997 წლის ანგარიშები, პარაგრაფი 53.
- 2 <https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/human-rights-environment>.
- 3 https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CCPR/Shared%20Documents/1_Global/CCPR_C_GC_36_8785_E.pdf.
- 4 <https://rm.coe.int/third-party-intervention-by-the-council-of-europe-commissioner-for-human/1680a26105>.
- 5 <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/living-in-a-clean-environment-a-neglected-human-rights-concern-for-all-of-us>.
- 6 <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/living-in-a-clean-environment-a-neglected-human-rights-concern-for-all-of-us>.
- 7 <https://rm.coe.int/protection-environnementale-en/16809fb087>.
- 8 <https://rm.coe.int/protection-environnementale-en/16809fb087>.
- 9 <https://www.globalcovenantofmayors.org/what-is-our-mission/>.
- 10 <https://www.covenantofmayors.eu/about/covenant-initiative/origins-and-development.html>.
- 11 https://ec.europa.eu/environment/topics/urban-environment/green-city-accord_en.
- 12 <https://rm.coe.int/native/09000016804e0374>.
- 13 <https://www.coe.int/en/web/portal/-/human-rights-and-climate-change-what-role-for-the-european-convention-on-human-rights->.
- 14 Work of PACE (updated December 2020): <https://rm.coe.int/pace-environment-and-human-rights/1680a09269>.
- 15 https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016809e59f9.
- 16 https://www.echr.coe.int/librarydocs/dh_dev_manual_environment_eng.pdf.
- 17 <https://stats.oecd.org/glossary/detail.aspx?ID=813#:~:text=The%20environment%20is%20the%20totality,dependent%20in%20all%20its%20activities>
- 18 <https://fr.unesco.org/themes/education-au-developpement-durable/comprendre-edd/developpement-durable>.
- 19 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია, 2020 წლის 27 თებერვალი.
- 20 <https://climate-adapt.eea.europa.eu/metadata/portals/urban-green-blue-grid-adaptation-measures-catalogue#:~:text=Green%20blue%20urban%20grids%20reduce,food%20short-ages%20in%20urban%20areas.&text=It%20also%20features%20Green%20Dblue,to%20various%20goals%20and%20parameters>.
- 21 <https://www.urbangreenbluegrids.com/about/introduction-to-green-blue-urban-grids/>.
- 22 <https://eurocities.eu/stories/looking-to-the-future-with-electric-garbage-trucks/>.
- 23 <https://sustainabledevelopment.un.org/index.php?page=view&type=30022&nr=754&menu=3170>.
- 24 <https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/speech-by-h.-bergmann>.
- 25 https://nws.eurocities.eu/MediaShell/media/Burgas_public%20transport%20vision.pdf.

- 26 https://krusevac.ls.gov.rs/wp-content/uploads/2020/09/poum_krusevac.pdf.
- 27 <https://jegkjorergront.no/Kampanje/Sporsmal-og-svar>.
- 28 https://ec.europa.eu/environment/europeangreencapital/wp-content/uploads/2011/04/MDR0763Rp00013_Good-Practice_Final2.pdf.
- 29 https://nws.euocities.eu/MediaShell/media/March15_Cities%20in%20action_Auld%20but%20not%20Reekie_Edinburgh.pdf.
- 30 https://nws.euocities.eu/MediaShell/media/Sep_Cities%20in%20action_Sustainable%20buildings_Warsaw.pdf
- 31 <https://www.urbangreenbluegrids.com/projects/hammarby-sjostad-stockholm-sweden/>.
- 32 <https://www.beograduzivo.rs/info/saobracaj/da-li-znate-gde-su-u-beogradu-pametni-semafori-i-kako-se-aktiviraju-njihovi-senzori/>.
- 33 <https://nws.euocities.eu/MediaShell/media/Cities%20in%20action-%20zoom%20in%20on%20your%20roof.pdf>.
- 34 https://nws.euocities.eu/MediaShell/media/353-green-web_final.pdf.
- 35 „Connecta VLCI“: 194 smart buildings and municipal facilities (valencia.es)
- 36 Green Initiatives at Local Level: Best Practice from Ukraine - News & Events (coe.int)
- 37 Green Economy | UNEP – UN Environment Programme.
- 38 <https://www.environment.brussels/state-environment/report-2011-2014/environment-sustainable-city/focus-alliance-emploi-environnement>.
- 39 http://www.cajetina.org.rs/sr/vest/predstavljen_lokalni_plan_za_upravljanjem_otpadom
- 40 <http://kjpzlatibor.rs/wp-content/uploads/2019/06/Cajetina-brosura-SKGO.pdf>
- 41 <https://www.cittaslow.org/>.
- 42 https://nws.euocities.eu/MediaShell/media/353-green-web_final.pdf.
- 43 https://ec.europa.eu/environment/europeangreencapital/wp-content/uploads/2012/07/Section-4-Nature-and-biodiversity_Copenhagen.pdf.
- 44 www.euocities.eu | EUROCITIES report on SDGs.
- 45 Schritt-fuer-Schritt-Zur-fairen-oeffentlichen-Beschaffung.pdf (femnet.de).
- 46 Die SDGs in Bonn. | Bundesstadt Bonn.
- 47 <https://www.strasbourg.eu/education-environnement>.
- 48 <https://euocities.eu/stories/reduce-reuse-and-recycle-to-build/>.
- 49 <https://sustainable-procurement.org/big-buyers/>.
- 50 https://www.c40knowledgehub.org/s/article/How-Oslo-is-driving-a-transition-to-clean-construction?language=en_US.
- 51 <https://nws.euocities.eu/MediaShell/media/Malmo%20construction%20dialogue.pdf>.
- 52 Italy Subnational Best Practices, Climate Scorecard.
- 53 https://webgate.ec.europa.eu/greencitytool/resources/docs/best_practices/Oslo_Climate_Budget_A01.pdf.
- 54 [https://www.thelancet.com/pdfs/journals/lanplh/PIIS2542-5196\(21\)00009-7.pdf](https://www.thelancet.com/pdfs/journals/lanplh/PIIS2542-5196(21)00009-7.pdf).
- 55 <https://www.energiestadt.ch/fr/page-daccueil-2.html>.
- 56 <https://www.energiestadt.ch/fr/cites-de-lenergie-membres-29.html>.
- 57 <https://nws.euocities.eu/MediaShell/media/Amaroussion%20SEAP%20Committee.pdf>.
- 58 https://nws.euocities.eu/MediaShell/media/CoM_CS_Gdynia_final.pdf.
https://nws.euoci-ties.eu/MediaShell/media/Burgas_public%20transport%20vision.pdf.

როგორ შეიძლება ადამიანის უფლებები ვაკციოთ მატერიალურ რეალობად, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება მოქალაქეებთან? სწორედ ეს არის ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის ამოცანა, რომელიც ახდენს ადამიანის უფლებათა დაცვის პოპულარიზაციას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეულ წარმომადგენლებს შორის, განსაკუთრებით იმ ვიზიტების დროს, რომელსაც ის ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ გამოყენების მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც არის ევროპის საბჭოს 46 წევრი სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება.

ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელოების სერია წარმოადგენს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ცნობიერების ამაღლების პროცესის ნაწილს. ეს არის პრაქტიკული ინსტრუმენტი ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეული თანამდებობის პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც წარმოდგენილია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მიერ შემუშავებული ინიციატივების მაგალითები, თითოეული მათგანის საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელოს მესამე ტომი ეძღვნება გარემოს და მდგრად განვითარებას, ვინაიდან უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო წარმოადგენს ყველა სახის უფლებით სარგებლობის წინაპირობას, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე გამოწვევების ფონზე. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და განმარტებულია, თუ რა წვლილი შეაქვთ სუბნაციონალურ ხელისუფლების ორგანოებს გარემოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ასევე აღწერილია ამ კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევები. ეს ტომი ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტრანსპორტი, საცხოვრებელი, მდგრადი ეკონომიკა, განათლება, სახელმწიფო შესყიდვები და მდგრადი განვითარების ადგილობრივი სტრატეგიები.

სახელმძღვანელოს პირველი ტომი ეძღვნება დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებას ლტოლვილებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, მიგრანტებთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ბოშათა და მომთაბარე ტომებთან და ლგბტქი პირებთან მიმართებით. სახელმძღვანელოს მეორე ტომი ეძღვნება სოციალურ უფლებებს, როგორიცაა განათლება, სამუშაო, საცხოვრებელი, ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და ინტეგრაცია.

ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმძღვანელოების ჩამოტვირთვა შესაძლებელია კონგრესის ვებგვერდიდან.

www.coe.int/congress-human-rights/fr
congress.monitoring@coe.int

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი ორგანიზაცია კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერებაზე საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში. კონგრესი შედგება ორი პალატისაგან - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პალატისა და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების პალატისაგან - და სამი კომიტეტისაგან. ის აერთიანებს 130 000-ზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ თანამდებობის პირს.

